ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 სექტემბერი ოთხშაბათი 2009
№218(12897) ფასი 60 თეთრი

ჩემპიონთა ლიგა

UEFA CHAMPIONS LEAGUE



# რატომ გაუშვეს ქეცბაია



## ახლა ნაკრებში?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ...

» გვერდი 2

# ჟოზე VS იბრა

## დღეს ინტერი-ბარსაა

» გვერდი 6-7



ლადო დვალიშვილი (მარცხნივ) ვან ბუიტენის წინააღმდეგ

## ლადომ ბაიერნი ბექჭებზე ვერ დადო

ჩემპიონთა ლიგა. გუშინდელი მატჩები » გვერდი 6

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი გადადგომის შესახებ...

# ქეცბაია ეროვნულ ნაკრებში?

## ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ...

**თემურ ქეცბაიამ** „ოლიმპიაკოსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. მასთან დაახლოებული ხალხი ბერძნული წყაროებისგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. ჯერ ოფიციალურზე ვთქვათ - კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, ოთხთვიანი მუშაობის შემდეგ „ოლიმპიაკოსი“ და 41 წლის ქართველი სპეციალისტი კონტრაქტის „ორმხრივი შეთანხმებით“ შეწყვეტაზე მორიგდნენ. სხვათა შორის, პრესსამსახურის უფროსმა **იანის მორალისმა** ისიც თქვა - არის სხვა მიზეზებიც, რაზეც ხმამაღლა არ ითქმებაო...

თავისთავად, გადაწყვეტილება უცნაურია. თემურმა კლუბი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ პირეოსელებისთვის ეს იშვიათი მოვლენა არ არის, თავისთავად ცხადია, რომ წარუმატებლობად ვერ ჩაითვლებოდა. უეფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, „ოლიმპიაკოსის“ ფანებს თურმე გულზე არ ეხატებოდათ ქეცბაიასეული საფეხბურთო ხედვა. გარდა ამისა, თემურს პრობლემები ჰქონდა ფეხბურთელებთანაც (90 პროცენტი მისი წინააღმდეგი იყოო) და პრეზიდენტმა **სოკრატის კოკალისმა** ამიტომაც გაათავისუფლა. იმასაც ამბობენ, ქეცბაია მოთამაშეებს აგინებდაო. მოარული ხმებით, „შერიფთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩის წინ გინებას ჩხუბიც მოჰყოლია. ფაქტია, რომ „ერგოტელისთან“ ამხანაგურ მატჩზე (0:5) „ოლიმპიაკოსს“ რამდენიმე ფეხბურთელი არ გაჰყვა.

ფანები უკმაყოფილონი დარჩნენ საბერძნეთის ჩემპიონატის მეორე ტურში უსახელო „კავალასთან“ შინ უგოლოდ დასრულებული მატჩის გამო და პრეზიდენტ კოკალისს უმალ მწვრთნელის გათავისუფლება მოსთხოვეს. კოკალისი იძულებული გახდა, ქომაგთა აზრი გაეთვალისწინებინა. ფანებთან შეხვედრისას მან განაცხადა - ქეცბაიაში შევცდი, ჩვენი დონის კლუბს ასეთი დაბალი რანგის მწვრთნელი არ შეეფერებოდაო...

„ლელო“ საკუთარი არხებით შეეცადა ინფორმაციების მოპოვებას. ეს ინფორმაციები კი სხვა შინაარსისა აღმოჩნდა. ქეცბაიასთან დაახლოებული ერთ-ერთი პირი ამტკიცებს, რომ „ოლიმპიაკოსში“ დანიშვნის დღიდან, პრეზიდენტი კოკალისი მწვრთნელის საქმეებში ჩარევას ცდილობდა. დიახ, ასეთი რამ მარტო საქართველოში როდი ხდება? ერთი სიტყვით, ქეცბაიას თავი მოაბეზრეს, მას კი ასეთები არ უყვარს (ან რომელ მწვრთნელს ახარებს, მის საქმეში ცხვირს რომ ყოფენ). კოკალისთან მას რამდენჯერმე მოვიდა კიდეც უსიამოვნება. ამიტომ, პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ფანების ხელით ემოქმედა. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო და, ქეცბაიამ წასვლა გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ „ოლიმპიაკოსთან“ ერთად, ქეცბაიას მოსკოვის „ლოკომოტივი“ და კიდევ რამდენიმე რუსული კლუბი ეპატიჟებოდა, თან საკმაოდ სარფიანი წინადადებით, მაგრამ თემურმა ნაკლებ ანაზღაურებაზე საბერძნეთში წასვლა ამჯობინა. „ლოკომოტივმა“ მაშინლა შესთავაზა **იური სიომინს** დაბრუნება, როცა ქართველისგან უარი მიიღო.

ქეცბაიას საკმაოდ საინტერესო წინადადებები ჰქონდა ინგლისიდანაც. ცნობილია, რომ მან უარი შეუთვალა „ნიუკასლს“, რომელიც მხოლოდ 6 მატჩით ეპატიჟებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებში მის მუშაობას, ეს ჯერჯერობით იდეის დონეზე რჩება. მისი ახლობლები ამას არ გამორიცხავენ, თუმცა იქვე დასძენენ - კონკრეტული შეთავაზება არ ყოფილაო.

საქართველოს ნაკრებში თემურ ქეცბაიას მისვლას არ გამორიცხავს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილიც**:

*„ამ ეტაპზე ფეხბურთის ფედერაციას კონტრაქტი აკავშირებს ექტორ კუპერთან. შესარჩევი ციკლის დასრულებამდე მის გაწყვეტას არ ვაპირებთ. ქეცბაიას დანიშვნაზეც წინასწარ ლაპარაკი ნაადრევია. თუმცა მე პირადად ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ნაკრებში ისეთმა წარმატებულმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა იმუშაონ, როგორებიც არიან თემურ ქეცბაია და შოთა არველაძე. ხაზგასმით ვამბობ - „წარმატებულ ქართველ ახალგაზრდა მწვრთნელებს“. ბოლო დროს მართლაც საინტერესო სპეციალისტები დაწინაურდნენ. მე თუ მკითხავთ, ჩვენი ნაკრებისთვის ქართველი მწვრთნელი ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს. თუმცა ვიმეორებ - სანამ კუპერთან კონტრაქტი გვაკავშირებს, მანამდე ქეცბაიას დანიშვნაზე ლაპარაკი ნაადრევია“,* - გვითხრა რამიშვილმა.

და ბოლოს: „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელად ქართულ ფეხბურთში დაფრთიანებული იმუშავებს - ქეცბაიას შემცვლელ **ბოჟიდარ ბანდოვიჩის** („ოლიმპიაკოსის“ ყოფილი სკაუტი) ასისტენტად „ნორჩი დინამოელში“ **რევაზ გაგუას** მიერ აღზრდილი **ანდრო ნინიადისი** დაინიშნა.

**მერაბ მამულაშვილი**



რას წერენ ჩვენებურებზე



თემურ ქეცბაია (მარცხნივ) და შოთა არველაძე

# ჩაშლილი ქართული დერბი

## რამ ჩააფიქრა კუმანი და არველაძე?

კონტინენტის ყველაზე პოპულარულ საკლუბო ტურნირში, ჩემპიონთა ლიგაზე დღეს ქართული დერბი უნდა შემდგარიყო, მაგრამ გუშინ გაცხადდა, რომ ქართველების დაპირისპირება ჩაიშალა. ჰოლანდიის ჩემპიონი „ალკმაარი“ საბერძნეთში გუშინ ჩაფრინდა და ელადის ოქროსმედალოსან „ოლიმპიაკოსს“ დღეს ეთამაშება, მაგრამ ამ ორივე პოლუსზე ქართველები უკვე აღარ არიან. თუ ჰოლანდიური კლუბში მთავარ მწვრთნელ **რონალდ კუმანს** ჩვენებური **შოთა არველაძე** უწევს ასისტენტობას, მასპინძელთა გუნდის სამწვრთნელო შტაბში ქართველები აღარ არიან. **თემურ ქეცბაიასთან** ერთად, „ოლიმპიაკოსის“ სამწვრთნელო შტაბი, მისმა ასისტენტმა **სოსო ჭედიამაც** დატოვა. თუმცა ამ თემაზე ვრცელ მასალას ამავე ნომერში იხილავთ. ჩაშლილი ქართული დერბის თემას გუშინ ჰოლანდიური გამოცემები შეეხნენ და ამჯერად ამაზე გვინდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

***„არველაძე მეგობარს აღარ დაუპირისპირდება“, „ქეცბაიას გადადგომამ კუმანი და არველაძე ჩააფიქრა“, „ნაკრებში თანაგუნდელების დერბი აღარ შედგება...*** ეს და სხვა სათაურები ამშვენებდა გუშინ ჰოლანდიურ გამოცემებისა და სააგენტოების „ფუტბალის“, „ჰოლანდტაგბლადტის“, „ნიუსლოგის“, „დე ტელეგრააფისა“ და სხვა წყაროების მასალებს, რომელიც „ოლიმპიაკოსი“-“ალკმაარის“ დღეს გასამართ შეხვედრას ეხებოდა. ეს კი ქართველი მკითხველისთვისაც არაა ინტერესმოკლებული და ამ თემის მნიშვნელოვან დეტალებს აქვე გაგაცნობთ.

*„ალკმაარის“ თავკაც რონალდ კუმანს ლიგის პირველი მეტოქის „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას გადადგომამ საფიქრალი გაუჩინა. კუმანის ასისტენტმა შოთა არველაძემ ეს ამბავი ათენის აეროპორტში შეიტყო და აშკარად დაეტყო, რომ კარგ ხასიათზე არ დადგა. ცხადია, უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, მეტოქის მწვრთნელის მოულოდნელი გადადგომა, მეორე გუნდის ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურად აღუნებს. გარდა ამისა, ეს ერთგვარი სიურპრიზი შეიძლება იყოს კუმანისთვის, - როგორც წინა კვირაში თავადვე განაცხადა, ქეცბაიას გუნდი კარგად ჰყავდა შესწავლილი. ახლა კი სხვა მწვრთნელის ტაქტიკა-სტრატეგიით მომართულ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება.*

*„ქეცბაიას გადადგომაში ჩვენთვის სასიამოვნო არაფერი უნდა იყოს. ეს ჩვენთვის თითქმის არაფერს ცვლის და ვფიქრობ, არაფერში წაგვადგება“, - ასეთი იყო რონალდ კუმანის პირველი რეაქცია“.*

*ქეცბაია კუმანისთვის მხოლოდ კოლეგაა, არველაძისთვის კი - კოლეგას გარდა, ახლო მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი. წლების განმავლობაში ისინი მხარდამხარ თამაშობდნენ საქართველოს ნაკრებში. შოთა არველაძეს, როგორც თავად აღნიშნა, ქეცბაიას პასით არაერთი გოლი აქვს გატანილი. შოთამ მეგობრის გუნდს, „ოლიმპიაკოსს“ ჯერ კიდევ ივლისში, ჰოლანდიური შეკრებისას შეავლო თვალი. როცა წილისყრამ ლიგაში ეს გუნდები მეტოქეებად აქცია, არველაძემ მაშინ ამას ბედის ერთგვარი გამოწვევაც კი უწოდა. ჯერჯერობით შოთა არველაძისთვისაც გამოცანად რჩება „ოლიმპიაკოსის“ თავკაცის ცვლილების მიზეზი...*

*„ქეცბაიასთან წლების ურთიერთობა მაკავშირებს და ის რომ თემური „ოლიმპიაკოსის“ თავკაცი აღარაა, ეს ჩემთვისაც მოულოდნელი და გულდასაწყვეტია. მეეჭვება, თემურს შედეგების გამო დაეტოვებინა პოსტი. ალბათ სხვა მიზეზი იყო, რაც ჯერ ჩემთვის უცნობია“, - უკმაყოფილო ხმით აღნიშნა საბერძნეთში უკვე ჩასულმა არველაძემ.*

*ქეცბაიას წასვლა „ოლიმპიაკოსს“ უფრო წაადგება თუ „ალკმაარს“ ამ კითხვას ოთხშაბათის მატჩი გასცემს პასუხს. ჰოლანდიელი გულშემატკივრები კი თვლიან, რომ ამ ცვლილებამ კუმანის გუნდის შანსები გაზარდა, ვნახოთ...“, -ასეთია ჰოლანდიელი მიმომხილველების პოზიცია და ვნახოთ, ვის რას უქადის ფორტუნა.*

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ტურის მწვრთნელი

# კაჭარავა, ოლიმპის ბედისწერა

ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა „ტურის მწვრთნელის“ გამოვლენა გაგვჭირვებია; ისეთი სიტუაციებიც გვახსოვს, ჩვენს არჩევანს აზრთა სხვადასხვაობა რომ გამოუწვევია; თუმცა, მეექვსე ტურის შემდეგ, ვფიქრობთ, არავისთვის საკამათო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „ტურის მწვრთნელად“ **კახა კაჭარავა** მივიჩნიეთ! სხვანაირად, ვერც იქნებოდა: კაჭარავას დამოძღვრილმა „დინამომ“ 13 სექტემბრის წვიმიან საღამოს მშვენიერი სანახაობა გვაჩუქა და დიდი ანგარიშით დაამარცხა სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი რუსთავის „ოლიმპი“!



კახა კაჭარავა (მარჯვნივ) ოლიმპთან თამაშში აქტიურად იყო ჩართული

კაჭარავა უკვე მეორედ მივიჩნიეთ „ტურის მწვრთნელად“ - პირველი შემთხვევა მესამე ტურის შემდეგ იყო, როცა „დინამომ“ ასევე დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხა ცხინვალის „სპარტაკი“. სხვათა შორის, „სპარტაკიც“ და „ოლიმპიც“, თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრამდე მანამდე უდანაკარგოდ ასპარეზობდნენ...

...კაჭარავა „დინამოში“ 2005 წელს დაბრუნდა, ოღონდ, მწვრთნელის რანგში - გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდროინდელი გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს ამჯერად „დინამო-2“-ის განვრთნა დაევალა. **ანდრეი ჩერნიშოვი, დუშან უჰრინი, რაინერ ცობელი** - წლების განმავლობაში ამ უცხოელ სპეციალისტებსაც ეხმარებოდა მთავარ გუნდში და, რაღა თქმა უნდა, არცთუ ცოტა გამოცდილებაც შეიძინა (განსაკუთრებით, ალბათ, უჰრინისგან). ერთი პერიოდი (ოღონდ, მცირე ხნით), „დინამოს“ მთავარი მწვრთნელიც იყო, თუმცა, მერე კვლავ უცხოელი სპეციალისტი მოიყვანეს და კაჭარავასაც ასისტენტის როლით დაკმაყოფილება მოუხდა. და აი, წინა ჩემპიონატში, კონკრეტულად კი, 2009 წლის აპრილის დასაწყისში, ცობელის გათავისუფლების შემდეგ, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ სეზონის ბოლომდე მთავარ მწვრთნელად კახა კაჭარავა დაამტკიცა. ახლა, ის გავიხსენოთ, თუ ვისთან ჰქონდა სადებიუტო შეხვედრა; ვისთან და... რუსთავის „ოლიმპთან“, მანამდე შთამბეჭდავი, 19-მატჩიანი წაუგებელი სერია რომ ჰქონდა! სადებიუტო მატჩში კაჭარავა ერთობ თამამ ექსპერიმენტზე წავიდა: „დინამოს“ ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირ **ილია სპასოევიჩის** ნაცვლად ძირითადში **დონალდ ჯუისი** დააყენა; თუმცა, უფრო დიდი სიურპრიზი, ასევე ძირითადში 18 წლის **ვაჟა ნემსაძის** გამოჩენა იყო და ჭაბუკმა ფეხბურთელმაც მწვრთნელის ნდობა შესანიშნავი თამაშით გაამართლა. ის შეხვედრა, „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა და „ოლიმპის“ წაუგებელი სერიაც შეწყდა...

...წინა სეზონში „დინამო“ ჩემპიონობას ვერ შესწვდა, მაგრამ კაჭარავას ხელმძღვანელობით უტიტულოდ ნამდვილად არ დარჩენილა - საქართველოს თასის ლამაზ და დრამატულ ფინალში გაიმარჯვა! თან, მეტოქედ კვლავაც „ოლიმპი“ ჰყავდა...

„დინამომ“ ამ ზაფხულს სავსებით ღირსეულად იასპარეზა ევროტურნირებზე და ძირითადად, უფრო გამოუცდელობის გამო ვერ დასძლია „ცრვენა ზვეზდას“ ბარიერი. ამასობაში, ახალი ჩემპიონატიც დაიწყო და როგორც ყოველთვის, „დინამოს“ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტებში მოვიხსენიებდით. თუმცა, უამრავი საკადრო პრობლემის გამო, „დინამო“ სტაბილურად ვერ ასპარეზობდა - შთამბეჭდავ შეხვედრას... უფერული ასპარეზობა მოჰყვებოდა; განსაკუთრებით მტკივნეული კი ერთ-ერთ პრინციპულ მეტოქესთან, „ზესტაფონთან“ დიდი ანგარიშით მარცხი (1:4) იყო; ამ შეხვედრის მერე კი „დინამოს“ უკვე „ოლიმპთან“ მატჩი ელოდა...

ტურის წინათქმაშიც ვწერდით, რომ „დინამო“ და „ოლიმპი“ ამ შეხვედრას აშკარად სხვადასხვა „ხასიათზე“ ხვდებოდნენ; სატურნირო მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, მეტოქეებს ასევე სხვადასხვა პირობებში მოუწიათ მატჩისათვის მზადებამ. ბოლოს და ბოლოს, ალბათ არ იყო უმნიშვნელო ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში „დინამოდან“ ერთდროულად ხუთი ფეხბურთელი იყო (**გურამ კაშია, ლევან ხმალაძე, მათე ვაწაძე, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა**) გამოძახებული (პლუს ჯუისი - კამერუნის ახალგაზრდულში); ამას დავუმატოთ მანამდე ტრავმირებული სამი ფეხბურთელი (**კრშკო, ფირცხალავა, ჩარასი**) და გაურკვევლობა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, **გიორგი მერებაშვილის** ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

..."ოლიმპთან" მატჩამდე „დინამომ“ მართლაც სასარგებლო სპარინგი ჩაატარა ბაქოს „ინტერთან“ (იმ შეხვედრაში, კაჭარავამ თავის გამოჩენის შანსი უამრავ ახალგაზრდას მისცა); მაგრამ, ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან შეხვედრაში „დინამოს“ ფავორიტად შერაცხვას ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე. მით უფრო, როცა ავადმყოფობის გამო სათადარიგოთა სკამზე მოუწიათ დასხდომამ გიორგი მერებაშვილსა და მათე ვაწაძეს - გუნდის შეტევების ორივე ლიდერს...

...გუშინაც აღვნიშნეთ და დღესაც გავიმეორებთ: „დინამომ“ ერთპიროვნული ლიდერი ყველა კომპონენტში დაჯაბნა! უპირველეს ყოვლისა, მასპინძელთა უპირატესობა არა მხოლოდ მონდომება-მოტივაციაში გამოიხატა, არამედ ფლანგების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებასა და, საერთოდ, ფეხბურთის სწორად თამაშშიც; ბევრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა „დინამოს“ სასტარტო შემადგენლობა, როცა კაჭარავამ „საყრდენებად“ ორი ჭაბუკი გაამწესა: **გიორგი მამუჩაშვილი** და **ვაჟა ნემსაძე**, ხოლო **დავით დილმელაშვილმა** უფრო შეტევის ხაზისკენ „აიწია“; ისიც ნიშანდობლივია, რომ მწვრთნელი ბოლომდე ენდო **ჯორჯ აკირემის**, ვინც, სანამ მოედნიდან გააძევებდნენ, ერთობ სასარგებლოდ თამაშობდა. სხვათა შორის, ნამდვილად არ იყო შემთხვევითი ის ფაქტიც, რომ დინამოელთა ოთხი გოლი მარჯვენა ფლანგიდან გავიდა; ანუ, მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ სტუმართა მარცხენა ფლანგი აშკარად „ჩავარდა“ და კაჭარავას გუნდმაც ეს უპირატესობა მაქსიმალურად გამოიყენა.

...ჩემპიონატი გრძელია და სხვა გუნდების მსგავსად, „დინამოსაც“ კიდევ არაერთხელ მოუწევს საკუთარი ამბიციების დამტკიცება; ისე როგორც, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მთავარ მწვრთნელს კახა კაჭარავას, რომლის მიერ სწორად არჩეული ტაქტიკის წყალობითაც „დინამომ“ ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. თან, ნუ დაგვავიწყდება, თუ რა უძღოდა წინ „დინამო“-"ოლიმპის" შეხვედრას: ჯერ „ზესტაფონთან“ დიდი ანგარიშით წაგება, მერე კი... ცილისწამებათა მთელი კასკადი მავანთა მხრიდან...

**გია ტუხაშვილი**

ტურის ფეხბურთელი

# ევროპაში უკეთ გამოსვლისთვის...

## კოშკაძე ახალგაზრდებს და ხორვატს ემადლიერება

რუსთავის „ოლიმპთან“ ალეკო კოშკაძემ გაიბრწყინა და კარიერაში საუკეთესო თამაში ჩაატარა. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველმა ორ გოლს ერთი საგოლე გადაცემაც დაუმატა, „ოლიმპის“ განადგურებაში (4:0) ლომის წილი დაიდო და მეოთხე გოლიც მისი მონაწილეობით გავიდა. კოშკაძეს ლამის ყველაფერი გამოსდიოდა, რასაც მოისურვებდა - პასები, დარტყმები, შეტევების ორგანიზება.

მსგავსი შედეგიანი და სასარგებლო ფეხბურთელი ტურში სხვა არ ყოფილა და „ლელომ“ ალეკო კოშკაძე ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

**- ალეკო, თუ არ მეშლება, მსგავსი ეფექტური მატჩი აქამდე არ ჩაგიტარებია?**

- მეც არ მახსენდება. მეორე სუნთქვა გამეხსნა, საერთოდ არ დავღლილვარ. ეტყობა, მარჯვენა ფეხზე ავდექი. არასდროს შეხვედრაში ორი გოლი და საგოლე გადაცემა არ გამიკეთებია. დუბლი კი შემისრულებია, თუმცა, „ქეთო და კოტესი“ არ იყოს, ეს იყო პეტერბურგში, ანუ დიდი ხნის წინ, „მერანში“ გამოსვლის დროს. საგოლე გადაცემები უფრო მეხერხებოდა.

**- „მერანის“ შემდეგ დიდი დრო გავიდა. მაშინ კარგ ფორმაში იყავი, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში არ გიწვევდნენ.**

- დიდი დაინტერესება არ ჰქონიათ, მაგრამ ცოდვა იქნება, გულგრილობა ყველას დავაბრალო: ირანთან ორი საკონტროლო მატჩი დაიგეგმა და ვახტანგ კოპალეიშვილმა მიმიწვია. სამწუხაროდ, ფეხი მტკიოდა და შეკრებაზე ვერ გამოვცხადდი. შემდეგ, შვეიცარია-ირლანდიასთან მატჩამდე რეზო არველაძემ გამომიძახა, მაგრამ ფეხი მომტყდა და ეს შანსიც ხელიდან გავუშვი. საერთოდ, ტრავმებმა ძალიან დამალალატა. „ამერში“ მშვენიერ ფორმაში როდესაც ვიყავი, ფეხი მოვიტეხე და საკმაოდ დიდი დრო გამიცდა. ფეხბურთი კი გამართლებაზეა. ტრავმა, თანაც ფეხის მოტეხილობა იოლი დასავიწყებელი არაა. საერთო ჯამში, სულ მცირე, ერთი წელი მაინც გამიცდა და უკან დამხია. არადა, იყო დრო, როდესაც საკმაოდ კარგ ფორმაში ვიყავი.

**- „ამერიდან“ ამის გამო გაგიშვეს?**

- არავის გავუშვივარ. „ბათუმში“ ფორმის აღსადგენად მათამაშეს და არა დაწუნების გამო. ეს პერიოდი კარგად მახსენდება, ფორმაც აღვიდგინე. „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი ნუკრი გოგიტიძე ცალკე მავარჯიშებდა და მაგრად მეხმარებოდა. ასეთი კარგი ადამიანი იშვიათად მინახავს.

**- საწყენად არ მიიღო და თბილისის „დინამოში“ შენი ტრანსფერი მოულოდნელი აღმოჩნდა. 27 წლის ფეხბურთელით „დინამო“ მხოლოდ მაშინ ინტერესდება, თუკი ის ნაკრების წევრია. შენ კი ნაკრების მწვრთნელები არც გაკვირდებოდნენ.**

- „დინამომდე“ ძალიან კარგი სეზონი ჩავატარე, მაგრამ თქვენი არ იყოს, „დინამოს“ მიწვევა პირადად ჩემთვისაც მოულოდნელობა აღმოჩნდა. არ მჯეროდა, ასეთი ამბიციური კლუბისთვის საინტერესო მოთამაშე თუ გავხდებოდი.

საკუთარი თავის რწმენა კი არ მქონდა დაკარგული, უბრალოდ, რამდენიმე საკმაოდ კარგი სეზონი ჩავატარე, მაგრამ ყურადღებით განებივრებული არ ვიყავი.

**- „დინამო“-"ოლიმპზეც" ვილაპარაკოთ. პრინციპული შეხვედრა სენსაციური შედეგით დასრულდა (4:0). მით უფრო, რომ ლიდერების არყოფნაში გამოუცდელმა მამუჩიშვილმა და ნემსაძემ ითამაშეს.**

- მათ ეს შეხვედრა ძალიან კარგად ჩაატარეს. თავიდან ვფიქრობდი, როგორ შევძლებდით პატარა ბიჭებით საკმაოდ მაღალი კლასის ბრაზილიელების დამარცხებას. ამ დროს, კაჭარავას დავალება ზუსტად შეასრულეს, დილმელაშვილი კარნახობდა და მაგარი კმაყოფილი დავრჩი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახალგაზრდების წინსვლა



მიხარია. კაჭარავამ შემადგენლობა აშკარად გამოიცნო. თამაში კი ძალიან იღბლიანად დავიწყეთ, მაგრამ ეს მხოლოდ იღბლის ბრალი არ იყო, მონდომებით, ჭკვიანურად ვითამაშეთ და მეტოქე დავჩაგრეთ.

**- ჩვენი გუნდებისა თუ ფეხბურთელების ნაკლი ევროპელებთან შეხვედრისას ნათლად ჩანს. „ცრვენა ზვეზდასთან“ ათლეტ სერბებთან დაპირისპირებაში ჯანის ნაკლებობა გეტყობოდა.**

- სერბებთან ბოლოს მართლა გადავიღალე, რადგან ბევრი ვიმოძრავე. საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ლიდერებთან გვიწევს ასეთი სირბილი. თუმცა, მე ახლა ისე კარგად ვარ მომზადებული, როგორც არასდროს. ეს „დინამოს“ ხორვატი ფიზმომზადების მწვრთნელის დამსახურებაა. მან ყველა ფეხბურთელს თავისი ხელი დაატყო, საქმის მცოდნეა თვალებდახუჭული ვენდობით. უკვე ვგრძნობ, რომ მთელი გუნდი გაცილებით უკეთ ვმოძრაობთ, ვიდრე გასულ სეზონში. წელს ისეთი რთული ჩემპიონატი გველის, რომ ეს ფაქტორი საჩვენოდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

**- ამტკიცებენ, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისთვის წელს დამატებითი სტიმული გუნდის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა გახდაო.**

- ჩვენ ყოველთვის გვქონდა სტიმული, მაგრამ ძლიერი კონკურენტები კიდევ უფრო გვაძლიერებენ. სხვათა შორის, კახა კაჭარავას ეხერხება ბიჭები საბრძოლოდ განაწყოს.

**- სხვა რამეს ვგულისხმობ, ამბობენ, გუნდის წინააღმდეგ სერიოზული ძალები გააქტიურდნენო.**

- არ ვიცი, „დინამოს“ წინააღმდეგ ვინ და რატომ იბრძვის, მაგრამ მონდომებულები ნაღდად ვართ. სხვათა შორის, თქვენ რაც ბრძანეთ, იმაზე მნიშვნელოვანი სპორტული სტიმულია. ჩვენ წელს ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპში მოხვედრა ვერ მოვახერხეთ, არადა, შეგვეძლო. სამწუხაროდ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და „ცრვენა ზვეზდასთან“ დასაშვებზე მეტი ანგარიშით დავმარცხდით. ამის შემდეგ დავაკვირდი, ყველა ფეხბურთელი ვარჯიშზე თავს იკლავს, რადგან გვინდა, რომ თბილისის „დინამომ“ მომავალი წელს ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწიოს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმულია. ყველა სპორტსმენი დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოსვლაზე ოცნებობს. ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო თამაშებში უცხოური კლუბების ყურადღებას მიიქცევ.

**- თბილისის „დინამო“ საკმაოდ რთულად შესაგუებელი გუნდია. ბევრი კარგი ფეხბურთელი დაიჩრდილა, შენ კი ადაპტაცია არ გაგჭირვებია.**

- ალბათ, ესეც სპორტული ყინის ბრალია. მართალია, ძველი დრო აღარაა, მაგრამ თბილისის „დინამოში“ თამაში დღემდე ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა. მე ამ კლუბში 27 წლისა მიმიწვიეს, „დინამოში“ მხოლოდ ჩარიცხვა არ მაკმაყოფილებდა, მინდოდა მაგრადაც მეთამაშა. ეს იყო ჩემი სტიმული. საერთოდ, ყველგან ვცდილობდი, თავი არ შემერცხვინა.

**- შენი აზრით, თბილისის „დინამოს“ კონკურენტებიდან ჩემპიონობისთვის ბრძოლის რეალური შანსი რომელ გუნდს აქვს?**

- წელს ცოტა რთულია ამის წინასწარ გამოცნობა, თუმცა, ვფიქრობ, რომ ოქროს მედლებისთვის „ზესტაფონტან“ და რუსთავის „ოლიმპთან“ ვიბრძოლებთ. „ვიტ ჯორჯიაც“ ძლიერი კლუბია, მაგრამ წელს კონკურენციას ვერ გაგვიწევს. კლუბს კი არ ვაკნინებ, გასულ ჩემპიონატში ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონობის შენარჩუნება გაუჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# ირაკლი ძარია

# ნახავთ, კიდევ ბევრს გავიტან

## იმერელთა ნახევარმცველს სჯერა, რომ კონკურენტებს უკან ჩამოიტოვებს



კვირას ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ზესტაფონმა" მორიგი ქულები დაკარგა - ბოლნისში უგოლო თამაშის შემდეგ გია გეგუჩაძის გუნდი გორში „ვიტ ჯორჯიას" დაუზავდა (1:1). არადა, ზესტაფონელები მასპინძლებს სჯობდნენ, თუმცა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ზესტაფონელთაგან გოლი ირაკლი ძარიამ გაიტანა. დღეს ის „ლელოს" რესპონდენტია. საინტერესოა, რა მოხდა გორში, რატომ იყვნენ უკმაყოფილონი „ზესტაფონის" გულშემატკივრები? ძარიას სწორედ ამ და სხვა თემებზე ვესაუბრებით...

**- საუბარი „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩით დავიწყოთ. როგორ შეიძლება შევაჯამოთ ეს თამაში?**

- საინტერესო და დაძაბული მატჩი იყო. მოქმედ ჩემპიონთან, თანაც სტუმრად, თამაში იოლი ნამდვილად არ არის. თუმცა მეტოქე კარგად გვყავდა შესწავლილი და ყველანაირად ვეცადეთ, ბურთზე კონტროლი დაგვემყარებინა. ეს შევძელით კიდეც, ბურთს მეტწილად სწორედ ჩვენ ვაკონტროლებდით და საგოლე მომენტებიც არაერთი გვქონდა, სხვათა შორის, ანგარიშის გახსნამდეც. მაგალითად, გელაშვილს შეეძლო პირველი გოლის გატანა, კარგი შანსი ჰქონდა დვალსაც, მაგრამ ვერ შევაგდეთ და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, დავისაჯეთ - აქეთ მივიღეთ გოლი. საბედნიეროდ, 10 წუთში გავათანაბრეთ ანგარიში, თუმცა მეტი ველარ შევძელით. არ ვიცი, ვინ როგორც შეაფასებს თამაშს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მეტოქეს ვაჯობეთ.

**- „ზესტაფონის" გულშემატკივრები მსაჯობით უკმაყოფილონი იყვნენ. იქნებ, თქვენ აგვიხსნათ მიზეზი?**

- მსაჯებზე ლაპარაკი არ მიყვარს და ამ თემას ყოველთვის თავს ვარიდებ. ფანები ფიქრობენ, რომ არბიტრმა ორსამ ეპიზოდში ჩვენი მეტოქე დაინდო - არ დაგვინიშნა ჯარიმები, რომელსაც შეიძლებოდა, ხიფათი მოჰყოლოდა. ყველაზე მეტი უკმაყოფილება კი გამოიწვია იმან, რომ თამაშს მხოლოდ 2 წუთი დაამატეს, მაშინ, როცა შეხვედრის მსვლელობის დროს ჩვეულებრივ 6 ცვლილება გაკეთდა, იყო სხვა მცირე პაუზებიც... თანაც, შეტევაში ვიყავით, როცა არბიტრმა თამაში დაამთავრა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი პროტესტს გამოიწვევდა გულშემატკივარებში.

**- რამდენად ლოგიკურია მატჩის ანგარიში?**

- იმიტომ კი არ ვამბობ, რომ „ზესტაფონში" ვთამაშობ, მაგრამ ერთი წუთით რომ წარმოვიდგინო თავი გუნდის ქომაგად, აუცილებლად ვიტყოდი, რომ შედეგი ლოგიკური არ იყო - გამარჯვებას „ზესტაფონი" იმსახურებდა.

**- არადა, გორში რომ მოგეგოთ, „ოლიმპი" მხოლოდ ქულით იქნებოდა წინ. რუსთაველები ხომ „დინამოსთან" დამარცხდნენ...**

- სამწუხაროდ, ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ. მაგრამ არაფერია - რუსთაველებს ერთი ტურის შემდეგ ვუმასპინძლებთ, ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მანამდე კი „სპარტაკი" უნდა დავამარცხოთ და ასეთ შემთხვევაში „ოლიმპს" ქულებით გავუტოლდებით... რა, გამოვრიცხავთ, რომ რუსთაველებმა „ვიტ ჯორჯიასთან" ქულები დაკარგონ? რა ვიცი, ვნახოთ, რა მოხდება. ისე არ გამოგვივიდეს, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

**- გოლი რა ვითარებაში გაიტანეთ?**

- აფციაურმა საჯარიმოში ჩააწოდა, კარიდან გამოსულმა მეკარემ კი ბურთი პირდაპირ ჩემკენ მოიგერია, ჰოდა, მეც აღარ დავახანე - საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი კარში დავარტყი, გზად მცველს მოხვდა და კარში შეგორდა.

**- მეტოქეზე რას იტყოდით? მოგეწონათ „ვიტ ჯორჯია"?**

- ეს მატჩი მათთვისაც რთული იყო. „ვიტ ჯორჯია" მოქმედი ჩემპიონია, კარგი შემადგენლობაც ჰყავს... გორშიც კარგად ითამაშეს, მაგრამ... რაღა დაგიმალოთ და, მათგან მეტს ველოდი.

**- „ზესტაფონი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და „ვიტ ჯორჯიას" დარ მეტოქეებთან დაპირისპირებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ ტიპის შეხვედრებია გადამწყვეტი სატურნირო ცხრილში ადგილების გადანაწილებაში...**

- ახლა „ვიტ ჯორჯიას" ორჯერ შინ უნდა ვეთამაშოთ. რთული იქნება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ამ გუნდს საკუთარ მოედანზე ორივეჯერ დავამარცხებთ... და არა მარტო „ვიტ ჯორჯიას", სხვა კონკურენტებსაც უნდა ვძლიოთ.

**- სიტყვამ მოიტანა და, კონკურენტებად კიდევ რომელ გუნდებს მიიჩნევთ?**

- „ოლიმპს", „დინამოს"...

**- თქვენ და „სპარტაკს" 12-12 ქულა გაქვთ და მეორე-მესამე ადგილებს იყოფთ. ეს გუნდი არ არის „ზესტაფონის" კონკურენტი?**

- არა მგონია, „სპარტაკის" მიზანი ჩემპიონობა იყოს. თუმცა ამ გუნდის იგნორირება არ შეიძლება, ისინი კიდევ ბევრს გაამწარებენ... კიდევ ერთი გუნდია, რომელიც ცხრილში ჯერ ზემოთ არ ჩანს, მაგრამ ისიც ბევრს დააკარგვინებს ქულებს...

**- რომელ გუნდს გულისხმობთ?**

- „სიონს". აგერ ნახეთ, ბოლნისში ბევრი დატოვებს ქულებს.

**- ამ გუნდს „ზესტაფონის" ყოფილი თავკაცი თემურ მახარაძე წვრთნის. ამიტომ გაამახვილეთ ყურადღება „სიონზე" თუ უბრალოდ, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე ამბობთ? ბოლნისში ხომ 0:0 ითამაშეთ...**

- ასე იყო, ბოლნისში ქულები დავკარგეთ... „სიონი" მაგრად დაგვხვდა... რაც შეეხება კითხვას, მახარაძე გამოცდილი მწვრთნელია და იცის, რომელ გუნდს როგორ ეთამაშოს. გარდა ამისა, ბოლნისელებს ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ - ეს არის გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავი და კიდევ ერთხელ ვამბობ - ბევრს გაამწარებენ.

**- რა შეცვალა გია გეგუჩაძემ „ზესტაფონში"?**

- ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი გუნდის მწვრთნელია - მართლა ბევრი რამ შეცვალა. ბურთზე მეტ კონტროლს გვთხოვს და უმისამართოდ მოგერიებას გვიკრძალავს... ითხოვს ფლანგებზე აქტიურობასაც... მოკლედ, ცდილობს, თანამედროვე ფეხბურთის პრინციპები დანერგოს.

**- უკვე წლებია „ზესტაფონში" ხართ. გუნდის შეცვლაზე არ გიფიქრიათ?**

- ჯერ ერთი, კლუბთან კიდევ 2 წლით მაკავშირებს კონტრაქტი, და მეორეც - მინდა, ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ორი სეზონი გავატარო. ამის მერე ვეცდები, უკეთეს ლიგაში გადავიდე. საქართველოში კი სხვაგან სად უნდა ვითამაშო? ხომ ხედავთ, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული დვალი, აფციაური და კორღალიძე სწორედ „ზესტაფონში" მოვიდნენ.

**- ექსპერტთა აზრით, „ზესტაფონი" ახლა უკეთესი გუნდია, ვიდრე წინა სეზონში იყო. ირაკლი ძარიას რამდენად შეეხო ეს პროგრესი?**

- (იცინის) გასულ სეზონში ბევრ საგოლე მომენტს ვაფუჭებდი. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე. ამ კომპონენტში ახლა აშკარად უკეთ ვარ, უფრო ხშირად ვურტყამ ბურთს კარში... ადრე თუ გვიან, ეს შედეგებშიც აისახება. ჯერ მხოლოდ 6 ტური გავიდა და ერთი გოლი უკვე გავიტანე, კიდევ ბევრს შევაგდებ. მით უმეტეს, ამ ჩემპიონატში უფრო მეტი ტურია, ვიდრე წინა სეზონში იყო.

**დავით ცაბაძე**

ფეხბურთელის ბედი

# რა ქვეყანაა საქართველო?

## ამერის დაშლას ფეხბურთელებიც შეეწირნენ

ქვეყანაში, სადაც არათუ ტალანტებს, ხეირიან ფეხბურთელებსაც კი სანთლით უნდა ვეძებდეთ, უგუნდოდ ბევრი საინტერესო მოთამაშე რჩება. საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულები (ლინიანოში), 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში ელიტრაუნდის ორგზის მონაწილეები, საქართველოს თასის ორგზის გამარჯვებულები - ასეთია ტიტულები იმ მოთამაშეებისა, რომლებიც დღეისათვის „თამაშგარეში" აღმოჩნდნენ.

ვგულისხმობთ თბილისის „ამერის" ფეხბურთელებს **ზურაბ გვაძაბიასა** და **ზურაბ მჭედლიშვილს**. გვაძაბია 21 წლისაა, მჭედლიშვილი 20-ის, მათი სანაკრებო და საკლუბო კარიერა ზემოთაც შეგახსენეთ, მაგრამ რად გინდა - ორივეს გზები გადაეკეტა.

სეზონი დაიწყო, კლუბები დაკომპლექტდა, მაგრამ დასახელებული ფეხბურთელები ვერც ერთ განაცხადში ვერ ამოვიკითხეთ.

*„ზაფხულის დასაწყისში საზღვარგარეთ წასვლის იმედი მქონდა, ბელორუსში ან ლიტვაში მოწყობას მპირდებოდნენ, მაგრამ ორივე ვარიანტი ჩაიშალა. სამწუხაროდ, გუნდი ვერც საქართველოში მოვძებნე, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე აბსურდებს მეუბნებოდნენ - შემადგენლობები გუნდები დავაკომპლექტეთო. რამდენიმე გუნდს მივაკითხე, გასინჯვაზეც კი უარი მითხრეს. ლექსო რეხვიაშვილის დახმარებით, დროებით იპოდრომზე ფუტზალელებთან ერთად ვვარჯიშობ. მე არ ვიცი, ჩემ მიმართ ასეთი დამოკიდებულება რას მივაწერო. ნაღდად ვერ ვიტყვი, რომ ფორმიდან ამოვვარდი და დამიწუნეს. ან როგორ დამიწუნებდნენ, როდესაც არც გამსინჯეს. არადა, ასე მგონია, რომ ფეხბურთში დასაქმებული ხალხი ასე თუ ისე უნდა მიცნობდნენ. ახალგაზრდულ ნაკრებებში თხუთმეტამდე შეხვედრა ჩავატარე და დღევანდელ მდგომარეობაში ჩავარდნას ვერც წარმოვიდგენდი. რას ვიზამ, ვივარჯიშებ და ადრე თუ გვიან საინტერესო წინადადება აუცილებლად გამოჩნდება. სხვათა შორის, „ამერიდან" მხლოდ მე არ ვარ ასეთი მდგომარეობაში - უგუნდოდაა ახალგაზრდულ ნაკრების ყოფილი წევრი ზურაბ მჭედლიშვილი და ბუთა კაკაბაძე", - გვითხრა ზურაბ გვაძაბიამ.*

საინტერესო ახალგაზრდების უგულებელყოფა ქართულ ფეხბურთში უცხო მოვლენა ნამდვილად არის. **კახა კალაძე** მშობლიურ სამტრედიაში დაიწუნეს, **გიორგი ქინქლაძე** სკოლის შემდეგ ლამის უნიჭოდ მონათლეს, **ზურაბ ხიზანიშვილი** თბილისის „დინამომ" 25 ათას დოლარად გაყიდა. ფაქტობრივად, „დინამოდან" გააგდეს **ოთარ ხიზანეიშვილი**. „დინამო" იოლად შეელია **ლევან ყენიასაც**, წლების წინ დუბლშემადგენობიდან გააგდეს **დავით სირაძე**, საუკეთესო ქართველი მეკარის, **აკაკი დევაძის** ბედი სამი წელი არავის აინტერესებდა და იმდენი მოახერხა, ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა, **დავით კვირკველია** მშობლიურ ლანჩხუთის „გურიაში" ვერ დააფასეს და ა.შ.

21 წლის ასაკში შეეშვა ფეხბურთს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „თბილისის" ყოფილი კაპიტანი **ბესო მიქიაშვილი**, **კობა ჟორჟიკაშვილის** თაობის გუნდის ნამდვილი ლიდერი.

1999 წლის ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი 28 წლის **ვალერი გაგუა** ფეხბურთიდან წავიდა და დღეისათვის პირველი ლიგის „ნორჩ დინამოელს" **გია ხიზანიშვილთან** ერთად ავარჯიშებს.

ფეხბურთს 23 წლისა ჩამოშორდა 18-წლამდელების კაპიტანი **სოსო დევიძე**. სამწუხაროდ, ციხეშია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **მურთაზ ბურნაძე**.

კიდევ რომელი ერთი გავიხსენოთ? გრძელი სიაა იმ ფეხბურთელებისა, რომლებიც ნაადრევად წამოიჩიტნენ, მაგრამ ნაადრევადვე დავივიწყეთ.

ადამიანები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ნიჭიერ ფეხბურთელებს ხელს ჰკრავენ და ჩაგრავენ, საბოლოო ჯამში ქართული ფეხბურთს ცუდ სამსახურს უწევენ. რომ არა საფეხბურეთო სამყაროს იგნორირება, ვინ იცის, იქნებ ბურნაძე ციხეში არც მოხვედრილიყო.

არ ვამტკიცებთ, რომ გვაძაბია და მჭედლიშვილი ქართული ფეხბურთის ნათელი ხვალინდელი დღის გარანტები არიან, შესაძლოა, ორივე ტრავმებმაც დაალალატა, მაგრამ ხაზგადასასმელი მოთამაშეებიც არ არიან. ბოლოს და ბოლოს, სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში წლების განმავლობაში გამოდიოდნენ.

ჩვენს პატარა ქვეყანას კი ადამიანების გაწირვის უფლება არ აქვს...

**მერაბ მამულაშვილი**




## დუბლიორთა ჩემპიონატი

V ტური

**სიონი-გაგრა 2:2**

1:0 ოქროპირიძე (11-პენ), 2:0 უგულავა (45), 2:1 ჩხაიძე (55), 2:2 ბელქანია (72)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

**ვიტ ჯორჯია-დინამო 0:2**

0:1 სიხარულიძე (35), 0:2 სიხარულიძე (77)

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

**ოლიმპი-ზესტაფონი 2:0**

1:0 მუკათარიძე (37), 2:0 ჯანგველაძე (59)

არბიტრი: ზვ. ასკაროლლი

**სამტრედია-ლოკომოტივი 4:0**

1:0 ხაჩიბერაძე (22), 2:0 კაპანაძე (34), 3:0 კაპანაძე (58), 4:0 ხაჩიბერაძე (86)

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**ბაია-სპარტაკი 0:2**

0:1 გ. იაშვილი (66), 0:2 გ. ოსეფაშვილი (82)

არბიტრი: ბ. გლუშჩუკი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 5 | 3 | 1 | 1 | 19-6 | 10 |
| 2. ოლიმპი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-9 | 9 |
| 3. ლოკომოტივი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-9 | 9 |
| 4. დინამო | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 6. ზესტაფონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 7. სპარტაკი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-18 | 6 |
| 8. ბაია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 9. სამტრედია | 5 | 1 | 1 | 3 | 7-8 | 4 |
| 10. სიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 10-10 | 4 |

**ძაბუკთა ლიგა. II ტური**

| 1992-93 | |
|---|---|
| ბაია-ზესტაფონი | 5:2 |
| სამტრედია-ვიტ ჯორჯია | 4:1 |
| სიონი-დინამო | 0:5 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 2:0 |
| გაგრა-ლოკომოტივი | 2:1 |

| 1994-95 | |
|---|---|
| ბაია-ზესტაფონი | 6:1 |
| სამტრედია-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| სიონი-დინამო | 1:1 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 5:0 |
| გაგრა-ლოკომოტივი | 1:3 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სერგო კუტივაძეს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ყოფილ თანამშრომელს, ვეტერან მსაჯს თემურ ფანიაშვილს დედის, ფიფას არბიტრს ლევან ფანიაშვილს ბებიის გარდაცვალების გამო.

ინტერვიუ

# ლევან ყენია
# მომავალ ტურებში უკეთ ვითამაშებ

**კვირას ლევან ყენიამ „შალკეს“ ძირითად შემადგენლობაში პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. „ხუმარებმა“ სტუმრად „კიოლნს“ 2:1 სძლიეს. ყენიასთვის ეს მატჩი არცთუ წარმატებული გამოდგა. მისი თამაში „კიკერმა“ 4-იანით შეაფასა, რაც ნამდვილად არაა კარგი ნიშანი. „ლელოსთან“ ინტერვიუში თავად ლევანმაც აღიარა, რომ კიოლნში თამაში არ ნაუვიდა.**

- რატომ ვერ შეძელი ბოლო ტურში თავის გამოჩენა?

- სამწუხაროა, რომ „კიოლნთან“ ცუდად ვითამაშე. არადა, განსაკუთრებულად მონდომებული ვიყავი. მაგათმა ხომ პირველად გამამწესა ძირითად შემადგენლობაში და ძალიან მინდოდა, მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო ვყოფილიყავი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მაგრამ ეგ არაფერი, მომავალ ტურებში უკეთ ვითამაშებ. კიდევ კარგი, გუნდმა რომ მოიგო, ჩემთვის ესეც ძალიან სასიხარულოა. კობიაშვილის გოლი ლევანზე არანაკლებ გამეხარდა. დარწმუნებული ვარ, იგი მყარად დაიბრუნებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში.

**- სათადარიგოთა სკამზე დაბრუნების საფრთხე ხომ არ შეგექმნა?**

- ძირითადში თამაში არავის აქვს გარანტირებული, თუმცა ვგრძნობ, რომ მაგათი მენდობა. მთავარია, ძველებურად გავაგრძელო შრომა და მასთან არაფერი დამეკარგება.

**- „კიოლნამდე“ ჯერ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშე, შემდეგ ახალგაზრდულში. ბუნდესლიგის გასულ ტურში დაღლილობას ხომ არ გრძნობდი?**

- შეიძლება, ყველაფერი მართლაც დაღლილობის ბრალი იყო. ნაკრებების შემადგენლობაში ორი რთული მატჩი ჩავატარე, ასეთი დატვირთვის შემდეგ კი ძალების აღდგენა არცთუ იოლია.

**- სანაკრებო შეხვედრებს როგორ გაიხსენებ?**

- იტალიასთან მარცხმა ძალიან დამწყვიტა გული. საკუთარი თამაშითაც არ დავრჩი კმაყოფილი. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და კახა კალაძეს მხარდაჭერას ვუცხადებ. იმ ხალხს, კი ვინც იგი შეურაცხყო, შევახსენებ, რომ კალაძე დიდი ფეხბურთელია, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია და ჩვენი ნაკრებისთვისაც ბევრი აქვს გაკეთებული.

თურქეთის დამარცხებით კი უდიდესი სიამოვნება მივიღე. მთელმა გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა და მეტოქე დამსახურებულად გავანადგურეთ. საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდული ნაკრები გვყავს, ამ გუნდს ბევრი შეუძლია. თუ კიდევ მომეცემა ახალგაზრდულში თამაშის შესაძლებლობა, თავს არც მაშინ დავზოგავ.

**- „შალკეს“ დავუბრუნდეთ. „კიოლნთან“ მატჩის შემდეგ მაგათს ხომ არ უსაუბრია შენთან?**

- არა, რადგან იგი ფეხბურთელებს პირისპირ ძალიან იშვიათად ელაპარაკება. იგი ფეხბურთელებთან ყოველთვის დისტანციას ინარჩუნებს, თუმცა ეს ფაქტი მე და ჩემს თანაგუნდელებს დისკომფორტს ნამდვილად არ გვიქმნის.

**- „კიოლნთან“ გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ „შალკემ“ ჩავარდნა უკვე დაძლია?**

- არა, გუნდი იდეალურ ფორმაში ჯერ არ შესულა, მაგრამ ნელ-ნელა თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებთ. საკადრო პრობლემები „შალკეს“ ცუდ მდგომარეობაში აგდებს. განსაკუთრებით გვაკლია ძლიერი საყრდენი ნახევარმცველი. მაგათი ჯერმენ ჯონსის გამოჯანმრთელებას მოუთმენლად ელის. ეს ფეხბურთელი „შალკესთვის“ დიდი ძალაა, მისი ღირსეული შემცვლელი არ გვყავს.

**- ახალი ფეხბურთელების შეძენა ხომ არ იგეგმება?**

- ამის თქმა ზუსტად არ შემიძლია, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს ამ თემაზე არასოდეს გველაპარაკება.

**- გულშემატკივრები ჩემპიონობას გადაჭრით ითხოვენ?**

- საკითხი ასე არ დგას, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურად შეგვიძლია. მაგათის ხელში გუნდი დღითიდღე პროგრესირებს, დანარჩენს კი ბუნდესლიგის მიმდინარეობა გამოაჩენს.

**ლევან ჯანიბაშვილი**

საქართველო-იტალიის კულისები





# ეცადეთ, მომავალს იმედით შეხედოთ!

**5 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ იტალიის ნაკრებს უმასპინძლა. სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ - მარჩელო ლიპის გუნდს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ და რომ არა კაპიტნის „ავტოდუბლი“, თამაში, სულ მცირე, ფრედ დასრულდებოდა...**

**საინტერესო ხალხის სტუმრობაზე წერასა თუ თხრობას რა სჯობს, ჰოდა, ახლა სწორედ ამ კუთხით მინდა გავაშუქო იტალიელთა თავგადასავალი საქართველოში...**

აპენინური დელეგაცია საქართველოს დედაქალაქში 4 სექტემბერს ჩამოფრინდა და დაახლოებით 4 საათისთვის, სრული წარმომადგენლობით, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე იყო დისლოცირებული. „სკუადრა აძურას“ ვარჯიშის დაწყებამდე ორივე ქვეყნის მედიის წარმომადგენლები სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შევიკრიბეთ. სტუმართა შორის ჟურნალისტთა უჩვეულო სიმრავლე იგრძნობოდა... იტალიელ კოლეგებთან ჩემი პირველი შეხვედრაც სწორედ იქ შედგა, ერთმანეთში ინფორმაციები გავცვალეთ... მათი დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემგან საქართველოს ნაკრების 16 წლის ნახევარმცველის **ჯანო ანანიძეს** ხსენებამ...

ეს არც გამკვირვებია, რადგან ზოგადად რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ნებისმიერი დაპირისპირება უცხოელი ჟურნალისტებისთვის ნამდვილი მისწრებაა და ამ მხრივ, არც სპორტული პრესაა გამონაკლისი. იტალიელი კოლეგები იმდენად გაერთნენ ანინიძის წარსულისა და მომავლის განხილვით, „სკუადრა აძურას“ რომ მინდორზე სავარჯიშოდ გავიდა, გამოეპარათ.

- ზუსტად როგორ იწერება მისი სახელი და გვარი?

- საქართველოს რომელ ქალაქში დაიბადა?

- რუსეთში როდის წავიდნენ საცხოვრებლად?

- 2 მილიონ დოლარზე უარი რომ თქვა, მის ოჯახს ფინანსურად ალბათ არ უნდა უჭირდეს...

- მამამისი რას საქმიანობს?

- რუსეთმა როგორ გადაიტანა „პატარა გმირის“ არჩევანი?

- ხვალინდელ მატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნება?

- კუპერის გადაწყვეტილება თქვენთვისაც მოულოდნელი ხომ არ იყო?

- ფიზიკურად როგორი აღნაგობისაა? დაბალია თუ მაღალი? ქერაა თუ შავგვრემანი?

ერთდროულად მეკითხებოდა უამრავი იტალიელი ჟურნალისტი. მეც დიდი ენთუზიაზმით ვპასუხობდი მათ ყველა კითხვას, რადგან გულის სიღრმეში ძალიან მახარებდა ჩვენებურის მიმართ ასეთი ინტერესი... თუმცა ამდენი ჟურნალისტის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება არც ისე ადვილი აღმოჩნდა და ბოლოს ვთხოვე - პრესლოჟაში გადავინაცვლოთ, ასე იტალიის ნაკრების ვარჯიშსაც მივადევნებთ თვალს და პარალელურად, თუ რამე კითხვა გაგიჩნდებათ, იქვე გიპასუხებ-მეთქი...

პრესლოჟაში გავედით თუ არა, მათი დიდი ნაწილი მიმოიფანტა, ჩემთან დარჩნენ „გაძეტა დელო სპორტის“ წამყვანი ჟურნალისტები - **მასიმო ჩეკინი და ალბერტო ჩერუტი.** ანანიძის თემაზე საუბარი, ასე ვთქვათ, უკვე მეგობრულ წრეში გავაგრძელეთ:

**ჩეკინი:** - ხომ ხედავ, იტალიელებს ყველაფრის გაზვიადება გვიყვარს... აი, ნახავ, ხვალ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ანანიძეზე ხმაურიანი სათაურებით იქნება გადაჭრელებული...

**ჩერუტი:** - მეტსაც გეტყვი, აუცილებლად გაავლებენ პარალელს ანანიძესა და რომელიმე ცნობილ უცხოელ ფეხბურთელს შორის. აი, როგორც შარშან, მჭედლიძეს ქართველი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ვუწოდეთ და წელს კი ყენიას - ქართველი მესი...

**ჩეკინი:** - მე უკვე ვიცი, ვისაც შეადარებენ...

„გაძეტას“ ჟურნალისტები ანანიძის თემამ აზარტში შეიყვანა. ორივეს განსხვავებული ვერსია ჰქონდა იმაზე, თუ რომელ უცხოელ ფეხბურთელს შეადარებდნენ ჯანოს მათი კოლეგები... ცოტა ხანში მათ უკვე ერთმანეთში დაიწყეს კამათი და ქართულ რესტორანში ქეიფზე ნაძლევიც დადეს. წაგებული ვერსიის მქონე ჟურნალისტი ქართულ კერძების დასაგემოვნებლად გვეპატიჟებოდა. რაკი მე ყველა შემთხვევაში გამარჯვებული ვრჩებოდი, გადავწყვიტე მოვლენებისთვის წინ არ გამესწრო და იტალიური მედიის შეფასებას დაველოდებოდი...

დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია - მეორე დილით შევედი თუ არა იტალიურ საიტებზე, დამხვდა სწორედ ის ნაწინასწარმეტყველები ხმაურიანი სათაურები - **„Ananidze come Amauri, e Guerra tra Georgia e Russia“ - „ანანიძე საქართველოს ამაურია, ახალი ომი რუსეთ-საქართველოს შორის“; „Lite Georgia-Russia per Ananidze“ - „ჩხუბი რუსეთ-საქართველოს შორის ანანიძის გამო“; „Russia contro Georgia per Amauri di Georgia“ - „რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ქართველი ამაურისთვის“.**

„გაძეტას“ ჟურნალისტები არ შემცდარან - ანანიძისთვის უცხოელი ანალოგის გამოძებნა ჩვენს იტალიელ კოლეგებს ნამდვილად არ გასჭირვებიათ. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ისე მინდოდა, გამეგო, ჩეკინისა და ჩერუტის შორის რომელმა გამოიცნო „ამაურის ვერსია“... ამ ფიქრებში გართული, მალე ჩვენი კოლეგების სასტუმროსაც მივადექი... იტალიელები უკვე ჩამწკრივებულნი მელოდებოდნენ. მათთვის დაპირებული „თბილისის ტური“ უნდა ჩამეტარებინა (ნაკრების ვარჯიშზე ჟურნალისტები გამომიტყდნენ - ბევრი ჩვენგანი საქართველოში უკვე მეხუთედ ჩამოვიდა და თქვენი ქვეყნის ისტორიას საერთოდ არ ვიცნობთ, არც ქალაქი გვაქვს ნორმალურად დათვალიერებული და თუ შეძლებ, მატჩამდე თბილისისას და საქართველოს ისტორია გაგვაცანიო).

იმ დილით, თბილისის ცენტრში საქართველოს მთავრობამ „ხალხთან დიალოგის“ ეგიდით საკუთარი ნაშრომ-ნალვაწის გამოფენა გამართა. რუსთაველის პროსპექტი გადაკეტილი იყო. ბუნებრივია, იტალიელები დაინტერესდნენ და რომ გაიგეს, რა ხდებოდა, აღფრთოვანდნენ...

თბილისის დათვალიერება სამების საკათედრო ტაძრით დავიწყეთ, მალე დედაქალაქის ისტორიული ნაწილი ფეხით მოვატარე... აპენინური მედიის წარმომადგენლები აღტაცებას ვერ ფარავდნენ ეროვნული ცეკვებით, მუსიკით, ანბანით, მინანქრითა და ძვირფასი ქვებით შექმნილი ხატებით, ხალხის სილაღით, სტუმართმოყვარეობით... ყველა ერთხმად აცხადებდა - გასულ წლებთან შედარებით, თბილისი ძალიან წინ წასულაო...

როგორც გაირკვა, ზემოხსენებულ ნაძლევში ჩეკინიმ გაიმარჯვა. დაპირებისამებრ, სადილს ჩერუტიმ უმასპინძლა, მაგრამ არა - ქართულ, არამედ იტალიურ რესტორანში... (ჟურნალისტთა უმეტესობამ ხაჭაპური რომ მიირთვა, მსუბუქ იტალიურ კერძებზე გადასვლა არჩია). სუფრასთან შეპარვით ვიკითხე - ალბათ, ფიქრობთ, იტალიის ნაკრებს იოლი გასეირნება ელოდება საქართველოსთან-მეთქი...

ამაზე უმრავლესობამ მიპასუხა - წესით ასეც უნდა იყოს, მაგრამ თქვენი ახალგაზრდა ტალანტებისგან ყველაფერია მოსალოდნელი და რადგან „სკუადრა აძურას“, ზოგადად, საშუალო დონის გუნდებთან უფრო უჭირს თამაში, არც ისე იოლი მატჩი უნდა იყოს, როგორიც წარმოგვიდგენიაო...

ალბათ, არც ერთ მათგანს არ ეგონა, რომ მატჩის პირველ ტაიმში ესოდენ უსახურ იტალიის ნაკრებს ვნახავდით. შესვენებისას ისინი ვერ მალავდნენ გაღიზიანებას თავიანთი გუნდის თამაშით:

- ხედავ, რა საცოდავად თამაშობენ? ამ ნაკრებით სურს ლიპის სამხრეთ აფრიკაში გამარჯვება? ნუთუ ვერ ხვდება, რომ სერიოზული ცვლილებები აქვს განსახორციელებელი? ის კი ერთსა და იმავეს იმეორებს - კასანო არ მიხსენოთო... ვისაც მე მინდა, იმას ვათამაშებო... აქ გადაწყვეტილებებს მარტო მე ვიღებო... და სერიოზული არგუმენტებიც კი არ აქვს თავისი ქმედებების გასამართლებლად, - ნაწყენი და გაბრაზებული ტონით მითხრა Rai-ს ოპერატორმა...

თუ პირველი ტაიმით კმაყოფილნი ვიყავით ქართველი ჟურნალისტები, მეორე ნახევარში ყველაფერი შეიცვალა - წყენა, გაბრაზება და გაოგნება ამჯერად ჩვენ გვეხატა სახეებზე... თუმცა არ დაგიმალავთ და, კალაძის მეორე ავტოგოლის შემდეგ განცვიფრებას ვერც იტალიელი ჟურნალისტები მალავდნენ...

ჩემ გვერდით მჯდომმა უდინეს რადიოს კორესპონდენტმა **ალესანდრა გორიმ** განცვიფრებულმა გადმომილაპარაკა - მგონი, ის დროა, Forza Azzurri-ის ნაცვლად Forza Kala ვიყვიროთო! ცოტა ხანში, საკუთარ ნაკრებსა და მის თავკაცზე განაწყენებული Rai-ს კორესპონდენტი მომიახლოვდა და სრული სერიოზულობით მითხრა:

- მგონი, გუშინ ანანიძეზე ზედმეტი მოგვივიდა და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოგვეპარა, როგორიცაა ახალი თავდამსხმელი იტალიის ნაკრებში - ნახე, რა დუბლი შეგვისრულა? გამოცდილ ბომბარდირსაც კი შეშურდებოდა!

ნამატჩევს, საპრესკონფერენციო დარბაზში გასვლამდე, იქვე ალბერტო ჩერუტის ვკითხე აზრი თამაშზე:

- დასანანია... თქვენი ნაკრებიდან გაცილებით მეტს ველოდი... იმედები გამიცრუეთ... საქართველოსნაირი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყანა და ფეხბურთზე ასე შეყვარებული ერის ნაკრები ჯგუფში ბოლო ადგილზე ნამდვილად არ უნდა იყოს. ჩვენებმა ძალიან ცუდად ითამაშეს... ასე შორს ვერ წავალთ... რაც შეეხება კალაძეს, ის ძალიან შემეცოდა... ალბათ, გულშემატკივარი ამის შემდეგ მას ყოველთვის დაუსტვენს...

პრესკონფერენცია დამთავრდა. იტალიელმა კოლეგებმა ბოლო შენიშვნები ჩაიწერეს, გამომშვიდობებისას კი ღიმილით მითხრეს: „გულს ნუ გაიტეხთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება... მართალია, დღევანდელი ავტოდუბლი ნამდვილად იშვიათობაა და გვეეჭვება, კიდევ განმეორდეს სადმე, მაგრამ ეცადეთ, მომავალს მაინც იმედით შეხედოთ, ჩვენ კი არ გემშვიდობებით... გული გვიგრძნობს, ტრადიცია არ დაირღვევა და მომდევნო შესარჩევ ციკლშიც ერთ ჯგუფში მოვხვდებით“.

ასე დასრულდა საქართველოს ნაკრებისთვის კიდევ ერთი საფეხბურთო საღამო... ჩვენ კი დიდი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ამ სირცხვილსაც გადავიტანთ, ტყუილ-მართალის ძიება კონკრეტულ შედეგამდე მაინც ვერ მიგვიყვანს და ასე კამათ-კამათით მივალთ კიდევ ერთ შესარჩევ ციკლამდე...

ყველაზე მეტად კი „კორიერე დელო სპორტში“ დაბეჭდილმა სტატიამ დამწყვიტა გული. საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველის ორმა ავტოგოლმა უცხოურ ტოტალიზატორებს ახალი იდეა მიაწოდა - ისინი მოთამაშეებს სთავაზობენ ფსონებს, ჩერნოგორია-საქართველოს (10 ოქტომბერი) ნაკრებთა მატჩისთვის. კოეფიციენტები ასე გადანაწილდა:

1.17 - კალაძე პირველივე წუთიდან იქნება მინდორზე.

4.50 - კუპერი საერთოდ არ შეიყვანს განაცხადში.

21 - კიდევ ერთ ავტოგოლს გაიტანს...

**მაია ჯიჯავა**

## უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა | I ტური

# რეალითი შოუ იწყება

## ბომბარდირთა ძველი გვარდია და... გრაფიტე

გუშინ თელ-ავივში **ლადო დვალიშვილმა** ბურთს ქვინტი წაჰკრა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიც დაიწყო. ქართველი გულშემატკივარი სწორედ ჩვენი ნაკრების ახალი ბომბარდირისგან ელოდა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ სასწაულს, მაგრამ ებრაული დავითისა და გერმანული გოლიათის ბრძოლა უთანასწორო გამოდგა - „ბაიერნმა" 3:0 გაიმარჯვა. თუმცა ჩვენებურს ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, ბევრი იმოძრავა და ორჯერ (0:1-ზე) სახიფათოდაც დაემუქრა გერმანული გრანდის კარს. „ბაიერნის" რიგებში დუბლი 20 წლის **თომას მიულერმა** შეასრულა.

ვფიქრობთ, ახალ საფეხბურთო სეზონში ახალი „გალაქტიკოსი" მრავალ ისეთ შოუს შემოგვთავაზებს, როგორიც გუშინ შვეიცარიაში დადგა - მადრიდელებმა ქვეყნის ჩემპიონ „ციურიხს" 5:2 მოუგეს. მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულმა ფეხბურთელმა **კრიშტიანო რონალდომ** კი დუბლი საჯარიმო დარტყმებით შეასრულა. თუკი მისი პირველი საჯარიმო უზადო იყო, მეორე შემთხვევაში პორტუგალიელს მეკარეც „ნაეხმარა". რონალდოს გარდა, თავი **რაულმა**, **იგუაინმა** და **გუტიმ** გამოიჩინეს.

რაული ვახსენეთ და, ჩემპიონთა ლიგას გაშინაურებულ ბომბარდირთა ძველი გვარდიის წევრებმაც გამოიჩინეს თავი, ზოგან კი თამაშის ბედიც გადაწყვიტეს. მაგალითისთვის, ბოლო დროს შეჭირვებულ „მილანს" ორი გოლით **ფილიპო ინძაგიმ** გაამარჯვებინა. თავი გამოიჩინეს ჩელსელმა **ნიკოლა ანელკამ** და მანჩესტერელმა **პოლ სქოულზმა**.

ჩემპიონთა ლიგისთვის ახალი სახეა „ვოლფსბურგის" ბრაზილიელი ფორვარდი **გრაფიტე**, რომელმაც მოსკოვის ცსკა-ს ჰეთ-თრიკი შეუსრულა. პირველი ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა მადრიდში დაფიქსირდა - „ატლეტიკომ" მოკრძალებულ აპოელ-ს (კვიპროსი) ვერაფერი მოუხერხა - 0:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### A ჯგუფი

#### იუვენტუსი-ბორდო 1:1

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - კასერესი, ლეგროტალიე, კანავარო (66. ძებინა), გროსო - მარკიზიო, ფელიპე მელო, ჯოვინკო (73. კამორანეზი), ტიაგო (81. პოულსენი) - იაკვინტა, ამაური.

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო (55. რამე) - შალმე, პლანიუსი, სიანი, ტრემულინასი - ფერნანდო, დიარა - პლაშილი (77. გუფრანი), გურკუფი, ვენდელი - შამახი.

**გოლები:** 1:0 იაკვინტა (63), 1:1 პლაშილი (75)

**მაყურებელი:** 17 513

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: იუვენტუსი
პირველი კუთხური: იუვენტუსი
პირველი ჯარიმა: იუვენტუსი
პირველი გაფრთხილება: ბორდო

| | | |
|---|---|---|
| 22 (11) | დარტყმა | 14 (5) |
| 17 | ჯარიმა | 17 |
| 9 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 2 | თამაშგარე | 3 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

#### მაქაბი-ბაიერნი 0:3

**მაქაბი (4-2-3-1):** დავიდოვიჩი - მეშუმარი (73. რაფაელოვი), ტეიშეირა, კეინანი, მასილელა - ბოკოლი, კაიალი (68. არბეიტმანი) - გოლასა, კატანი, ლადირი (68. ოსმანი) - დვალიშვილი.

**ბაიერნი (4-3-3):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, პრანჯიჩი - მიულერი, ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი - რობენი (77. ოტლი), ოლიჩი (86. სოსა), რიბერი (64. გომესი).

**გოლები:** 0:1 ვან ბუიტენი (64), 0:2 მიულერი (85), 0:3 მიულერი (88)

**მაყურებელი:** 38 789

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: მაქაბი
პირველი კუთხური: ბაიერნი
პირველი ჯარიმა: ბაიერნი
პირველი გაფრთხილება: ბაიერნი

| | | |
|---|---|---|
| 10 (5) | დარტყმა | 14 (7) |
| 12 | ჯარიმა | 13 |
| 4 | კუთხური | 10 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 1 | თამაშგარე | 2 |
| 41% | ბურთის ფლობა | 59% |

### B ჯგუფი

#### ვოლფსბურგი-ცსკა 3:1

**ვოლფსბურგი (4-3-3):** ბენალიო - რიტერი, მადლუნგი, ბარძალი, შეფერი - მიშიმოვიჩი, ჟოსუ, გენტნერი (92. ჰასებე) - გრაფიტე (89. სანტანა), ჯეკო, მარტინსი (65. ზიანი).

**ცსკა (4-2-3-1):** აკინფეევი - შემბერასი, ვ. ბერეზუცკი (84. ნეციდი), იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი - ალდონინი (68. მამაევი), რაჰიმიჩი - კრასიჩი, ძაგოევი, შჩენიკოვი (57. პილიევი) - გილერმე.

**გოლები:** 1:0 გრაფიტე (36), 2:0 გრაფიტე (41 პენ), 2:1 ძაგოევი (76), 3:1 გრაფიტე (86)

**მაყურებელი:** 25 017

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ცსკა
პირველი კუთხური: ვოლფსბურგი
პირველი ჯარიმა: ვოლფსბურგი
პირველი გაფრთხილება: ცსკა

| | | |
|---|---|---|
| 15 (5) | დარტყმა | 11 (4) |
| 11 | ჯარიმა | 20 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 2 | თამაშგარე | 1 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

#### ბეშიქთაში-მანჩესტერი 0:1

**ბეშიქთაში (4-2-3-1):** ჰაკანი - იბრაჰიმ კაში, შივოკი, ფერარი, იბრაჰიმ უზულმესი - ეკრემი, ერნსტი - ჰოლოშკო (84. ნიჰათი), როდრიგო ტაბატა (69. ტელო), სერდარი (59. იუსუფი) - ნობრე.

**მანჩესტერი (4-4-2):** ფოსტერი - ნევილი, ევანსი, ვიდიჩი, ევრა - კერიკი (63. ბერბატოვი), სქოულზი, ანდერსონი, ნანი - ვალენსია (84. პარკი), რუნი (64. ოუენი).

**გოლი:** 0:1 სქოულზი (77)

**მაყურებელი:** 26 448

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: მანჩესტერი
პირველი კუთხური: მანჩესტერი
პირველი ჯარიმა: მანჩესტერი
პირველი გაფრთხილება: ბეშიქთაში

| | | |
|---|---|---|
| 8 (1) | დარტყმა | 14 (6) |
| 10 | ჯარიმა | 10 |
| 9 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 3 | თამაშგარე | 6 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

### C ჯგუფი

#### ციურიხი-რეალი 2:5

**ციურიხი (4-1-4-1):** ლეონი - სტაჰელი (88. გაჯიჩი), ტიჰინენი, როშა, კოხი - აეგერტერი - ფონლანტენი, ოკონკვო (66. აბდი), მარგაირასი, ალფონსე - ჰასლი (46. ჯურიჩი).

**რეალი (4-2-2-2):** კასილიასი - არბელოა, პეპე, ალბიოლი, დრენტე - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო (59. გაგო) - კაკა, კრიშტიანო რონალდო - იგუაინი (68. გუტი), რაული.

**გოლები:** 0:1 რონალდო (27), 0:2 რაული (34), 0:3 იგუაინი (45), 1:3 მარგაირასი (64), 2:3 აეგერტერი (65), 2:4 რონალდო (89), 2:5 გუტი (94)

**მაყურებელი:** 24 424

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ციურიხი
პირველი კუთხური: ციურიხი
პირველი ჯარიმა: ციურიხი
პირველი გაფრთხილება: რეალი

| | | |
|---|---|---|
| 9 (5) | დარტყმა | 17 (7) |
| 17 | ჯარიმა | 14 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 2 | გაფრთხილება | 6 |
| 5 | თამაშგარე | 2 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

#### მარსელი-მილანი 1:2

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - კაბორე, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - სისე (88. მორიენტესი), მბია, შეირუ - ბრანდაო, ლუჩო (75. ბენ არფა), ნიანგი.

**მილანი (4-4-2):** სტორარი - ოდო, ნესტა, ტიაგო სილვა, ძამბროტა - ფლამინი, პირლო, ზეედორფი (93. აბატე), ამბროზინი (53. გატუზო) - ინძაგი (87. ჰუნტელაარი), პატო.

**გოლები:** 0:1 ინძაგი (28), 1:1 ჰაინცე (49), 1:2 ინძაგი (74)

**მაყურებელი:** 55 434

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: მარსელი
პირველი კუთხური: მილანი
პირველი ჯარიმა: მარსელი
პირველი გაფრთხილება: მილანი

| | | |
|---|---|---|
| 18 (4) | დარტყმა | 6 (3) |
| 22 | ჯარიმა | 23 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 2 | თამაშგარე | 4 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

### D ჯგუფი

#### ჩელსი-პორტუ 1:0

**ჩელსი (4-3-2-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კარვალიო, ტერი, ე. კოული - ბალაკი, ესიენი, ლემპარდი - კალუ (77. ბელეტი), მალუდა - ანელკა.

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - ფუსილე, როლანდო, ბრუნო ალვეში, პერეირა - გუარინი, ფერნანდო, მეირელეში - მარიანო გონსალესი (54. ფალკაო), ჰალკი, როდრიგესი (64. ვარელა).

**გოლი:** 1:0 ანელკა (48)

**გაძევება:** ფერნანდო (92)

**მაყურებელი:** 39 436

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ჩელსი
პირველი კუთხური: ჩელსი
პირველი ჯარიმა: პორტუ
პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 21 (6) | დარტყმა | 18 (7) |
| 16 | ჯარიმა | 21 |
| 7 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 2 | თამაშგარე | 1 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

#### ატლეტიკო-აპოელ 0:0

**ატლეტიკო (4-4-2):** ასენხო - პერეა (67. სინამა პონგოლე), იბანიესი, უიფალუში, დომინგესი - ხურადო, ასუნსაო, სანტანა (51. მაქსი), სიმაო - აგერო, ფორლანი.

**აპოელ (4-2-3-1):** ქიოტისი - პურსაიტიდესი, კონტისი, პუალო ჟორჟე (46. გრნჩაროვი), ჰაქსი - მიხაილი, ნუნო მორაიში - კოსოვსკი, პინტო, ხარალამბიდესი (67. საციასი) - ჟეელიაკოვი (81. პაულისტა).

**მაყურებელი:** 30 628

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ატლეტიკო
პირველი კუთხური: ატლეტიკო
პირველი ჯარიმა: აპოელ
პირველი გაფრთხილება: აპოელ

| | | |
|---|---|---|
| 23 (11) | დარტყმა | 7 (1) |
| 15 | ჯარიმა | 18 |
| 7 | კუთხური | 7 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 0 | თამაშგარე | 8 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |



გრაფიტემ ცსკა-ს სამი გოლი მიართვა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის წინ



# ყოჩების დუელი

## სამუელ ეტოო, თუ ზლატან იბრაჰიმოვიჩი - ვისი აჯობებს?

**დღეს მთელი საფეხბურთო ევროპის ყურადღების ცენტრშია მილანია, სადაც იტალიის ჩემპიონი „ინტერი" ესპანეთის ჩემპიონსა და ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულ „ბარსელონას" მასპინძლობს. მატჩი ისედაც უდიდეს ინტერესს გამოიწვევდა, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და სამუელ ეტოოს ამბავმა ამ შეხვედრას ინტრიგა გაუათმაგა...**

### E ჯგუფი

#### ლიონი-ფიორენტინა

„ლიონი" და „ფიორენტინა", ისევე, როგორც შარშან, წელსაც ერთ ჯგუფში მოხვდნენ და შესაბამისად, ერთმანეთს საკმაოდ კარგად იცნობენ. ერთი წლის წინ, ლიონში მატჩში ფრედ 2:2 დასრულდა, სახლში კი, ტოსკანელებმა ფრანგულ გრანდთან 1:1 ნააგეს და მერვედფინალში „ბაიერნთან" ერთად სწორედ ფრანგები გავიდნენ, „ვიოლა" კი ჯგუფში ჩარჩა. ალსანიშნავია, რომ შიდა ჩემპიონატებში ორივე გუნდი დაუმარცხებელია. არადა, შარშან „ლიონმა" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა ძალიან ცუდად დაიწყო. იმის გათვალისწინებით, რომ ამ გუნდებს წელს ჯგუფში „ლივერპულის" სახით აშკარა ფავორიტი ჰყავს, ფაქტია, რომ „ლიონისა" და „ფიორენტინას" შორის მატჩებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

იტალიელებს იმედი აქვთ, რომ **ადრიან მუტუ** დღეს საღამომდე მწყობრში იქნება. გასულ უქმეებზე, „კალიარისთან" 1:0-ზე მოგებულ მატჩში რუმინელმა თავდამსხმელმა ვერ ითამაშა, დღეს კი შეიძლება, მოედანზე ვიხილოთ. *„რაც სეზონი დაიწყო, თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ, რაც ოპტიმისტურად განწყობის უფლებას მაძლევს,"* - ეს კი ფლორენციელთა თავკაცც **ჩეზარე პრანდელის** სიტყვებია. „ფიორენტინას" ძირითად შემადგენლობაში, **მარკო დონადელს კრისტიანო ძანეტი** შეცვლის.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი (4-4-2):** ლორისი - კრისი, რევეილერი, ა. სისოხო, მ. ბოდმერი - მ. ბასტოსი, მაკუნი, პიანიჩი, მ. გონალონსი - გომისი, ლისანდრო ლოპესი.

**ფიორენტინა (4-4-2):** ფრეი - კომოტო, გამბერინი, დაინელი, პასკუალი - მარკიონი, მონტოლივო, კ. ძანეტი, ვარგასი - იოვეტიჩი, ჯილარდინო.

**არბიტრი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

#### ლივერპული-დებრეცენი

„ლივერპული" „დებრეცენთან", თანაც, საკუთარ მოედანზე, უპირობო ფავორიტია და სასწაული უნდა მოხდეს, **რაფა ბენიტესის** შეგირდებმა დღეს სამი ქულა რომ ვერ მოიპოვონ. მართალია, „დებრეცენი" უნგრეთის ჩემპიონია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი გახლავთ. ალსანიშნავია, რომ უნგრული კლუბი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ბოლოს 1995/96 წლების სეზონში თამაშობდა (ფერენცვაროში). „ლივერპული"კი არა მარტო ამ მატჩის, არამედ ზოგადად ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. ბენიტესის შეგირდებმა გასულ უქმეებზე „ბარნლის" 4:0 მოუგეს და ასე რომ, დღევანდელი მატჩისთვის გენერალური რეპეტიცია ნამდვილად შედგა.

**ხავიერ მასკერანო** კი გამოჯანმრთელდა და განაცხადშია, მაგრამ ბენიტესი მას სავარაუდოდ თავიდანვე არ ათამაშებს. არგენტინელს ისევ **ლუკას ლეივა** შეცვლის, რომელმაც გასულ უქმეებზეც შესანიშნავად ისაპარეზა. ბენიტესის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ **ბენაიუნმა** „ბარნლისთან" ჰეთთრიკი შეასრულა, გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი სწორედ ლუკასი იყო. იტალიელი ახალწვეული **ალბერტო აკვილანი** ისევ გამოჯანმრთელების სტადიაშია.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული (4-2-3-1):** რეინა - ჯონსონი, შკრტელი, კარაგერი, ინსუა - ლუკასი, ჯერარდი - კუიტი, ბენაიუნი, რიერა - ფერნანდო ტორესი.

**დებრეცენი (4-4-2):** პოლშიჩი - ბერნათი, მეჟაროში, ფოდორი, ბოდნარი - ჩვიტკოვიჩი, კისი, ჟაკალი, ლეანდრო დე ალმეიდა - ა. კულიბალი, ოლა.

**არბიტრი:** პედრო ოლივეირა ალვეშ გარსია (პორტუგალია)

### F ჯგუფი

#### დინამო-რუბინი

კიევის „დინამოსა" და ყაზანის „რუბინის" მატჩი, „ინტერ"-"ბარსელონას" გამო, ჩრდილშია მოქცეული. ექსპერტები ფავორიტის როლს უკრაინულ კლუბს ანიჭებენ, რადგან კიეველებს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის გაცილებით დიდი გამოცდილება აქვთ, „რუბინი" კი ტურნირის დებიუტანტია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „დინამოში" **ანდრეი შევჩენკო** თამაშობს! შევა კიევურ კლუბში 10 წლის შემდეგ დაბრუნდა!

სავარაუდო შემადგენლობები

**დინამო (4-4-2):** ბოგუში - ბეტაო, ალმეიდა, დიაქატე, მანძიუკი - ერიომენკო, გიოანე, მაგრაო, ნინკოვიჩი - შევჩენკო, მილევსკი.

**რუბინი (4-4-2):** რიჟიკოვი - ანსალდი, სეზარი, კალეშინი, შარონოვი - ბისტროვი, სემაკი, რიაზანცევი, გოქდენიზი - დომინგესი, ბუხაროვი.

**არბიტრი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

>> მე-7 გვერდზე

# უცხოური ფეხბური

**ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის წინ**

« მე-6 გვერდიდან

### ინტერი–ბარსელონა

რაზე ოცნებობენ მილანის „ინტერის" გულშემატკივრები დღეს სალამოს? ცხადია, გამარჯვებაზე, მაგრამ ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ნერაძურის" ფანთა საკმაოდ დიდი ნაწილის ოცნება ესეცაა: **ვალტერ სამუელმა** ან **ლუსიომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი** არ გაახარონ, ან უკეთეს შემთხვევაში ფეხი მოსტეხონ (ამისათვის, უპრიანი იქნებოდა **მარკო მატერაცის** ძირითად შემადგენლობაში გამწესება), ხოლო **სამუელ ეტოომ** კი „ბარსას" ჰეთ-თრიკი შეუსრულოს. იბრას დასამტკიცებელი არაფერი აქვს, მან თავისი შესაძლებლობები „ინტერში" თამაშისას სწორედ რომ 100 პროცენტით დაამტკიცა. ა.ა, ეტოომ კი „ბარსელონას" უნდა დაუმტკიცოს, რომ მისი ზლატანში ხურდად გაშვება დიდი შეცდომა და პირადად კამერუნელის შეურაცხყოფა იყო.

შვედი თავდამსხმელი, რომელიც გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, იმედოვნებს, რომ „სან სიროს" პუბლიკა არ დაუსტვენს, მაგრამ ამის იმედი არ უნდა ჰქონდეს. *„არ ვიცი, ვიზეიმებ თუ არა, თუკი „ინტერს" გოლს გავუტან,"* - ამბობს იბრაჰიმოვიჩი. ცხადია, ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებენ მას „ინტერის" გულშემატკივრები. თუ ცუდად მიიღეს, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მაგრად იზეიმებს.

*„სამუელ ეტოო მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია. წინა სეზონში ასეთი ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყო, ახლა კი ეტოოა საუკეთესო. ყველა ჩემი ფეხბურთელი საუკეთესოა!"* - თქვა „ინტერის" თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** გასულ უქმეებზე. „ბარსას" წინააღმდეგ ითამაშებს კატალონიელთა კიდევ ერთი ექსფეხბურთელი **ტიაგო მოტაც**. მოურინიომ იცის, რომ მისი გუნდი უდიდესი გამოცდის წინაშე დგას, მაგრამ დარწმუნებულია, რომ „ინტერს" „ბარსას" დამარცხება შეუძლია.

*„კატალონიური გრანდის ფეხბურთელებს თვალდახუჭული თამაშიც შეუძლიათ. „ბარსა" ძალიან მაგარი გუნდია, მაგრამ თამაში 0:0-დან იწყება და ჩვენ ვიცით, რომ ამ თამაშის მოგება შეგვიძლია,"* - განაცხადა პორტუგალიელმა ტაქტიკოსმა.

*„ზუსტად ვიცი, რომ მოურინიო ამ თამაშისთვის ძალიან კარგად მოემზადებოდა. ის ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მისმა გუნდმა მოიგოს,"* - ეს იბრაჰიმოვიჩის სიტყვებია. აქვე გეტყვით, რომ „ინტერმა" დღემდე ესპანურ კლუბებს 15-ჯერ უმასპინძლა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

დაბოლოს: მოურინიომ გუშინ ჟურნალისტებს ძირითადი შემადგენლობა გაანდო. პორტუგალიელის თქმით, ის მხოლოდ იმაზე ორჭოფობს, **დეიან სტანკოვიჩი** ათამაშოს, თუ **სალი მუნტარი**.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი** (4-3-1-2): ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ - ხ. ძანეტი, მოტა, სტანკოვიჩი (ან მუნტარი) - სნეიდერი - მილიტო, ეტოო.

**ბარსელონა** (4-3-3): ვალდესი - ალვესი, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ჩავი, ტურე, კეიტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, ანრი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

### G ჯგუფი

### სევილია–უნირეა

ესპანური „სევილია" რუმინულ „უნირეასთან" ფავორიტადაა შერაცხული, მეტადრე იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია. მეტსაც გეტყვით: „უნირეა" ევროტურნირებზე სულაც მხოლოდ მეორედ თამაშობს. წინა სეზონში ამ გუნდმა უეფას თასზე იასპარეზა და „ჰამბურგთან" დუელში დამარცხდა (0:0, 0:2). ასე რომ, ანდალუსიელთა გამარჯვების გარდა ნებისმიერი შედეგი უდიდესი სენსაცია იქნება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**სევილია** (4-4-2): პალოპი - ადრიანო, სკილაჩი, ესკუდე, ნავარო - კაპელი, ზოკორა, რენატო, ნავასი - კანუტე, ფაბიანო.

**უნირეა** (4-4-2): არლაუსკისი - მაფტეი, გალამაზი, ფერნანდესი, ბრანდანი - აპოსტოლი, მეჰმედოვიჩი, ფრუნცა, პადურეტუ - ბილასკო, რუსესკუ.

**არბიტრი:** მატეო ტრეფოლონი (იტალია)

### შტუტგარტი–რეინჯერსი

„შტუტგარტისთვის" „რეინჯერსი" ჩემპიონთა ლიგაში განუყოფელი მეტოქეა. შვაბები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე აქამდე ორჯერ თამაშობდნენ (2007/08 და 2003/04 წლების სეზონებში) და ჯგუფში ორჯერვე „რეინჯერსი" ჰყავდათ და ორი წლის წინ, გერმანულმა კლუბმა შოტლანდიურ გრანდს ერთადერთი თამაში მოუგო. მაგრამ „შტუტგარტში" კარგად ახსოვთ ამ გუნდის ბოლო, ძალიან წარუმატებელი გამოსვლა ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე, როცა შვაბებმა ჯგუფში ექვსიდან ხუთი თამაში წააგეს. გერმანელთა მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** ალბათ ისევ ორ თავდამსხმელს ათამაშებს. იმ დროს, როცა ექიმებმა ახალწვეულს **კუზმანოვიჩს** მწვანე შუქი აუნთეს, ბელორუს **ალიაკსანდრ ჰლების** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. „რეინჯერსი" შოტლანდიის ჩემპიონატს კი ლიდერობს, მაგრამ ამ უქმეებზე გუნდმა „მოზერველთან" ულიმლამო ფრე ითამაშა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მწვრთნელმა **უოლტერ სმიტმა** ძალები დაზოგა. „მოზერველთან" მან **ნეისმიტი** და **ტომსონი** დაასვენა, გამოჯანმრთელდა და დღეს აუცილებლად ითამაშებს კაპიტანი **უეირი**.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**შტუტგარტი** (4-4-2): ლემანი - ტრეში, ტასკი, დელპიერი, ბოკა - ხედირა, ჰიტცლშპერგერი - ჰილბერტი, ჰლები - პოგრებნიაკი, მარიკა.

**რეინჯერსი** (4-5-1): მაკგრეგორი - უაითეკერი, ბუგერა, უეირი, პაპაცი - ნაჩო ნოვო, სტ. დევისი, პედრო მენდეში, ტომსონი, ნეისმიტი - კ. მილერი.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

### H ჯგუფი

### სტანდარდი–არსენალი

ლიეჟის „სტანდარდს" უდიდესი კოლაფსიდან 16 წლის შემდეგ, ლონდონის „არსენალზე" შურისძიების შანსი ეძლევა. თუ არ გახსოვთ, გაგახსენებთ: 1993/94 წლების სეზონში თასების მფლობელთა თასზე „არსენალმა" „სტანდარდს" ლიეჟში 7:0 მოუგო, რაც ამ გუნდის ისტორიაში, ევროსარბიელზე საკუთარ მოედანზე განცდილი ყველაზე კატასტროფული მარცხია. „სტანდარდი" ბელგიის ჩემპიონია და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირველად თამაშობს, „არსენალი" კი, მოგეხსენებათ, ძალიან გამოცდილი „ლიგელია", რაც ამ გუნდს, მიუხედავად გასვლითი მატჩისა, ფავორიტის სტატუსს ანიჭებს.

ბელგიელთა მთავარი იმედი **მილან იოვანოვიჩია**, რომელზეც ზაფხულში დიდი ტაციაობა იყო, მაგრამ ფორვარდი „სტანდარდში" დარჩა. ლონდონური კლუბი ფავორიტია და თანაც, **არსენ ვენგერის** შეგირდებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისეთი ლიდერების წასვლას, როგორებიც იყვნენ **ემანუელ ადებაიორი** და **კოლო ტურე** (ორივემ „მანჩესტერ სიტის" მიაშურა), „მეთოფეებზე" დიდად არ უმოქმედია.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**სტანდარდი** (4-4-2): ბოლატი - მარკოსი, მანგალა, სარი, როჩა - ნიკაისე, ვიტსელი, კარკელა, დე კამარგო - მბოკანი, იოვანოვიჩი.

**არსენალი** (4-4-2): მანონე - სანია, ვერმალენი, გალასი, კლიში - სონგი, ფაბრეგასი, როსიცკი, დიაბი - ბენდტნერი, ედუარდო.

**არბიტრი:** იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

### ოლიმპიაკოსი–ალკმაარი

**თემურ ქეცბაიას** გათავისუფლების ამბავი ევროპული პრესისთვის მეხის გავარდნასავით იყო, რადგან „ოლიმპიაკოსს" სეზონი ცუდად ნამდვილად არ დაუწყია. პირიქით, გუნდმა მხოლოდ ერთი ფრე ითამაშა და სხვა ყველა თამაში მოიგო, ამასთან, წარმატებით დაძლია ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიც და ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ახლახან დანიშნული ქართველი მწვრთნელი მაინც გაათავისუფლეს და როგორც ჩანს, მიზეზი ის იყო, რომ თემურს გუნდის წამყვან ფეხბურთელებთან არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა...

მოკლედ, დღეს, „ალკმაართან" მატჩში გუნდს **ბოზიდარ ბანდოვიჩი** და **ანდრეას ნინიადისი** უხელმძღვანელებენ. მიუხედავად ასეთი მოულოდნელი გადაადგილებისა, მატჩის ფავორიტად მაინც ბერძნები უნდა მივიჩნიოთ, რადგან „ოლიმპიაკოსი" საკუთარ კედლებში ყოველთვის ძალიან კარგად თამაშობს. თუმცა „ალკმაარი", გუნდი, რომელმაც მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** („ბაიერნში" გადავიდა) და წამყვანი ფეხბურთელი **დე ზეეუვი** („აიაქსს" მიაშურა) დაკარგა, მატჩის წინ იმედიანადაა. ასე რომ, ქართული დუელი („ალკმაარის" ერთ-ერთი მწვრთნელი **შოთა არველაძეა**) არ შედგა, რისთვისაც შოთამ ჯავრი უნდა იყაროს, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ოლიმპიაკოსი** (4-4-2): ნიკოპოლიდისი - ჟეველაკოვი, მელბერგი, პაპადოპულოსი, რაულ ბრავო - ლედესმა, დუდუ, ტოროსიდისი, გალეტი - ლეონარდო, მიტროღლუ.

**ალკმაარი** (4-4-2): რომერო - იალიენსი, მოისანდერი, კლავანი, პოულსენი - სხაარსი, მაარტენსი, ჰოლმანი, და სილვა - დემბელე, ლენსი.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**გოტფრიდ ლენცი**



მთელი ევროპა ზლატანისა და ეტოოს დუელის მოლოდინშია

**პრემიერლიგური ბიზნესი**

# მსოფლიოში ყველაზე... ლივერპული

„ლივერპულმა" 80 მილიონ ფუნტად ღირებულ სპონსორულ ხელშეკრულებას გამოჰკრა ხელი და როგორც ერთ-ერთმა ინგლისურმა ტაბლოიდმა დაწერა, ამით „მანჩესტერ იუნაიტედს" სილა გააწნა. ერთი სიტყვით, მშვიდობით მკერდზე დაწერილო „კარლსბერგო", მერსისაიდელთა წითელ მაისურებს მომავალში, მთელი ოთხი წლის განმავლობაში ასეთი წარწერა დაამშვენებს: Standard Chartered Bank. სხვათა შორის, „მანჩესტერ იუნაიტედს" კბილი ახალი სპონსორული ხელშეკრულების საჯარო წარდგენისას ლივერპულელთა მმართველმა დირექტორმა **კრისტიან პარსლოუმაც** გაჰკრა:

*„დიახ, ეს ჩვენ ვართ, „ლივერპული", მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კლუბი და იმას რომ სწორედ ჩვენ ვართ პლანეტაზე ყველაზე პოპულარულები, მრავალი რამ გვიდასტურებს. თუნდაც ასეთი ფაქტი: ჩვენს ვებსაიტს ყოველდღიურად გაცილებით მეტი ადამიანი სტუმრობს, ვიდრე ნებისმიერი სხვა კლუბისას. სწორედ ქომაგთა უთვალავმა არმიამ გახადა შესაძლებელი მსხვილი სპონსორული ხელშეკრულების მოძიება და გაფორმება. რასაკვირველია, ჩვენი მიზანი მსოფლიოში უძლიერესი გუნდის ყოლაც გახლავთ და მინდა გითხრათ, რომ ყველაზე პოპულარული კლუბებიდან საუკეთესო გუნდის ყოლამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. არ დაგიმალავთ, ისტორიულად, ყველაზე წარმატებული კომერციის დატრიალება ჩვენი კოზირი არასდროს ყოფილა, მაგრამ სამომავლოდ ამის მიღწევაც სრულიად შესაძლებელია".*

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" თავის მხრივ, ასეთივე, 80 მილიონიანი ხელშეკრულება ამერიკულ „AON CORPORATION" სამი თვის წინ გააფორმა და მომავალ ზაფხულს ფინანსურად შეჭირვებულ AIG-ს შეცვლის. და სანამ „იუნაიტედი" ახალი სპონსორით იწონებდა თავს, „ენფილდ როუდზე" ხალხს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, რადგან ივნისში გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშში მერსისაიდელთათვის სასიკეთო არაფერი ეწერა. მართალია, ამ ანგარიშის თანახმად საკუთრივ „ლივერპულს" სარფი ჰქონდა ნანახი, მაგრამ მის მფლობელ კომპანიას მთელი წლის განმავლობაში 42.6 მილიონი ფუნტი ეზარალა. მერსისაიდელთა ამერიკელმა მეპატრონეებმა **ტომ ჰიკსმა** და **ჯორჯ ჯილეტმა** ორი წლის წინ კლუბის შესაძენად 350 მილიონი ფუნტი ისესხეს და ახლა, პროცენტებით 36 მილიონი ჰქონდათ გადასახდელი.

თუმცა ზემოხსენებულმა დირექტორმა პარსლოუმ გულშემატკივარს გუნება გამოუკეთა. მან თქვა, რომ ახალი ხელშეკრულებით მიღებული ოთხმოცივე მილიონი „ლივერპულში" დარჩება.

*„კლუბის წლიური შემოსავალი და მოგება მხოლოდ კლუბს ეკუთვნის. ის „ლივერპულში" რჩება, რათა ჩვენივე ინტერესებისთვის დაიხარჯოს. ახლა, უპირველეს ყოვლისა, ფრიად მგრძნობიარე საკითხს, სახელფასო ფონდს გადავხედავთ. გადავხედავთ კიდევ ერთ არანაკლებ მგრძნობიარე საკითხს: შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც ტრანსფერებზე უნდა დაიხარჯოს",* - თქვა პარსლოუმ.

სხვათა შორის, თანხის გარკვეული ნაწილი ახალი 60-ათასიანი სტადიონის, „სტენლი პარკის" დიდი ხნის დაპირებული პროექტისთვისაც გადაიდება, თუმცა უპირველესი გეგმები ზემოთ ჩამოვთვალეთ.

ალსანიშნავია, რომ „ლივერპულის" მწვრთნელ **რაფა ბენიტესს** მერსისაიდელთა ყოფილ აღმასრულებელ შეფ **რიკ პერისთან** საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ პერიმ ამ ზაფხულს კლუბი დატოვა. სამაგიეროდ, მწვრთნელი 45 წლის პარსლოუთი გახლავთ აღფრთოვანებული. ამ კაცმა ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკში დიდ თანამდებობაზე მუშაობა დათმო, რათა თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ბავშვობის საყვარელ კლუბს დახმარებოდა. ბენიტესმა განაცხადა:

*„ჩვენ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს, ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს. როგორც კი რაიმეს გაკეთებას დავაპირებ, ის მხარში მიდგას. მას უყვარს თავისი კლუბი და უნდა მას საუკეთესო მიღწევები ჰქონდეს. პარსლოუს ჩვენი ამოცანები ძალიან კარგად ესმის".*

და თავად პარსლოუ: *„ჩემი ერთ-ერთი მთავარი პროექტი ახალი სტადიონის აგებაა. როგორც კი საჭირბოროტო ფინანსურ საკითხებს ერთხელ და საბოლოოდ მოვაგვარებთ, „სტენლი პარკის" მშენებლობას შევუდგებით".*

**ილია ბაბუნაშვილი**



ინტერვიუ

გერდ მიულერი და ფილიპო ინძაგი

# სუპერპიპო: გერდი დღეს 100 მილიონი ეღირებოდა!

## ორი მსოფლიო გოლეადორის შეხვედრა მიუნხენში

**გერდ მიულერი**

დაიბადა 1945 წლის 3 ნოემბერს

**ტიტულები:** მსოფლიოს ჩემპიონი (1974); ევროპის ჩემპიონი (1972); ჩემპიონთა თასის გამარჯვებული (1974, 1975, 1976); გერმანიის ჩემპიონი (1969, 1972, 1973, 1974).
**გოლები:** ბუნდესლიგაში 365 (427 მატჩში, ბაიერნი); გერმანიის ნაკრებში 68 (62 მატჩში); ევროთასებზე 62 (65 მატჩში).

**ფილიპო ინძაგი**

დაიბადა 1973 წლის 9 აგვისტოს

**ტიტულები:** მსოფლიოს ჩემპიონი (2006); ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული (2003, 2007); იტალიის ჩემპიონი (1998, იუვენტუსი), 2004 (მილანი).
**გოლები:** სერია A-ში 151 (333 მატჩში, ატალანტა, პარმა, იუვენტუსი, მილანი); იტალიის ნაკრებში 25 (57 მატჩში); ევროთასებზე 66 (105 მატჩში).



გერდ მიულერი და ფილიპო ინძაგი

**ფილიპო ინძაგის** აშკარად ეტყობა, რომ ანერვიულდა. რა ანერვიულებს „მილანის" 36 წლის გოლეადორს, რომელმაც ევროტურნირებზე 66 გოლი გაიტანა? რამდენიმე წამში პიპო მისთვის მისაბაძ მაგალითს, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს, 63 წლის გერდ მიულერს შეხვდება. ნაციის ბომბარდირად წოდებული გერდი წლების განმავლობაში ევროტურნირების საუკეთესო ბომბარდირი იყო 62 გოლით - იყო მანამდე, სანამ მას ინძაგიმ არ გადაასწრო (2007/08 წლების სეზონში). გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" სუპერპიპო და „ნაციის ბომბარდირი" გერდ მიულერი ერთმანეთს შეახვედრა...

**- ჰერ მიულერ, თქვენს დროს გოლების გატანა უფრო ადვილი იყო, არა?**

**გერდ მიულერი:** - როგორ გეკადრებათ, პირიქით! მაშინ ბევრი გოლის გატანა გაცილებით რთული იყო. წარმოიდგინეთ, ცენტრალური თავდამსხმელის შეჩერებას ჯერ სტოპერი ცდილობდა, შემდეგ კი მის უკან მდგომი ლიბერო. თანაც, მაშინ გუნდები პერსონალურ დაცვას თამაშობდნენ და პირადად მე მუდმივად ორი ფეხბურთელი მმეურვეობდა. დღეს კი გუნდები ზონურ დაცვას მიმართავენ და ერთ ხაზზე განლაგებული ოთხი მცველით თამაშობენ, რის გამოც, თავდამსხმელებს ასეთი პრობლემები აღარ ექმნებათ.

**ფილიპო ინძაგი:** - სენიორ მიულერ, მე თქვენი გოლები, სამწუხაროდ, მხოლოდ ტელევიზორში მაქვს ნანახი. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის თქვენთან შეხვედრა უდიდესი პატივია. იცით, ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ თამაშობდით 13-ნომრიანი მაისურით. იტალიაში ყველა დიდ თავდამსხმელს 9 ნომერი უყვარდა და ასეა ზოგადად მსოფლიოშიც. თქვენ კი მე-13 ნომრით თამაშობდით...

**მიულერი:** - ყოველთვის 13-ნომრიანი მაისურით არ ვთამაშობდი. ამ ნომერს მხოლოდ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე ვილებდი ხოლმე. მიზეზი მარტივი იყო: ეს ნომერი არავის უნდოდა, რადგან გერმანიაში რიცხვი 13 უიღბლობასთან ასოცირდება. მე კი ასეთი სისულელეების არ მჯეროდა და მით უმეტეს, არ მეშინოდა.

**ინძაგი:** - იტალიაში კი პირიქით, 13 იღბლიანი რიცხვია.

**- ფილიპო, როდის გახდა გერდ მიულერი თქვენთვის მისაბაძი?**

**ინძაგი:** - როცა ჩემპიონთა ლიგაში პირველად ვითამაშე. ვერასდროს წარმოვიდგენდი და ვერც კი ვიოცნებებდი, რომ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე ამდენ გოლს გავიტანდი. მაგრამ ძალიან გამიმართლა, ბევრი გოლი გამქონდა და ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი იმ ადამიანს, რომელიც ევროტურნირების ბომბარდირთა დავაში ძალიან წინ იყო და რომლის ნამოწევაც, ჩემს ბავშვობაში ყველას უტოპიად ეჩვენებოდა. სწორედ მაშინ გახდა გერდ მიულერი ჩემთვის მისაბაძი.

**- ჰერ მიულერ, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ინძაგისგან რას აიღებდით? რა აკლდა მიულერს ისეთი, რაც პიპოს აქვს?**

**მიულერი:** - (იცინის) წონას... მე ყოველთვის პუტკუნა ვიყავით, ფილიპო კი გამხდარია... კარგი ფეხბურთელი გამხდარი უნდა იყოს.

**ინძაგი:** - მე კი გერდის სისწრაფეს ვისურვებდი. უფრო სწრაფი რომ ვყოფილიყავი, ალბათ გაცილებით მეტ გოლს გავიტანდი. გარდა ამისა, მეტოქის კართან ჩასაფრებული გერდ მიულერი ძალიან ჭკვიანურად მოქმედებდა.

**მიულერი:** - დღეს თავდამსხმელი იძულებულია, ხშირად დაიხიოს უკან და ბურთით თუ უბურთოდ ბევრი ირბინოს.

**ინძაგი:** - მე მაინც მეტოქის საჯარიმოში დარჩენას ვამჯობინებ ხოლმე. სირბილი კი სხვების საქმეა, განსაკუთრებით, ნახევარმცველების (იცინის). ზანტი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ კარგი იქნებოდა, მეტი სისწრაფე რომ მქონდეს.

**- ფილიპო, გერმანიაში და კერძოდ მიუნხენში, თქვენ ლამის პერსონა ნონ გრატა ხართ, რადგან გერმანულ კლუბებს და განსაკუთრებით „ბაიერნს", ყოველთვის ბევრ გოლს უტანთ ხოლმე. ამასთან, გერმანელი გულშემატკივრები ყოველთვის ბრაზობენ იმის გამო, რომ ბევრს სიმულანტობთ. ამაზე რას იტყვით?**

**ინძაგი:** - ეს არ არის მართალი. როგორც ჩანს, გერმანელ ფანებს ჩემზე მცდარი შთაბეჭდილება შეექმნათ. მიუნხენთან შესანიშნავი მოგონებები მაკავშირებს. ჩემპიონთა ლიგის თამაშებში, „ბაიერნის" კარში ყოველთვის გოლი გამქონდა, მაგრამ გამიმართლა კიდეც. სიმულანტი კი ნამდვილად არ ვარ. უბრალოდ, იოლად ვეცემი ხოლმე, რადგან ფიზიკურად სუსტი ვარ.

**- თქვენი აზრით, ვინ არის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელი?**

**მიულერი:** - ჩვენ, ორივე ერთად, რა თქმა უნდა!

**ინძაგი:** - (იცინის) სიამოვნებით და უდიდესი სიამაყით დაგეთანხმებით.

**- ერთად რომ გეთამაშათ, როგორ ფიქრობთ, რამდენად სასარგებლო იქნებოდა მიულერისა და ინძაგის დუეტი თავდასხმაში?**

**მიულერი:** - საჯარიმოს არ გავაკარებდი, იქ ჩემი ადგილია! ხუმრობა იქით იყოს და ვფიქრობ, ძალიან ბევრ გოლს გავიტანდით.

**ინძაგი:** - არა მგონია, ერთმანეთისთვის ხელი შეგვეშალა. ჩემი ადგილიც საჯარიმოშია, რადგან დრიბლინგები ჩემი საქმე არ არის.

**მიულერი:** - ახლა წარმოვიდგინე და დარწმუნებით გეუბნებით, ძალიან ბევრ, უამრავ გოლს გავიტანდით.

**- გერდ მიულერს თავის დროზე „ბარსელონასგან" შესანიშნავი წინადადება ჰქონდა. კატალონიური გრანდი მზად იყო, თქვენს სანაცვლოდ „ბაიერნისთვის" 100 000 მარკა გადაეხადა და ეს მაშინ წარმოუდგენლად დიდი ფული იყო. ახლა კი, „რეალმა" კრისტიანო რონალდო 94 მილიონ ევროდ შეიძინა. რა აზრის ხართ ამ ტენდენციაზე?**

**მიულერი:** - არც ერთი ფეხბურთელი არ ფასობს 94 მილიონი! დღესდღეობით 30 მილიონზე კიდევ ვიტყოდი, რომ ნორმალური ფასია, მაგრამ 94 მილიონი მართლაც ასტრონომიული თანხაა. ამ ფულით ერთი მაგარი გუნდის გაკეთება შეიძლება.

**ინძაგი:** - 2001 წელს, როცა „იუვენტუსიდან" „მილანში" გადავედი, „როსონერიმ" ჩემში 40 მილიონი ევრო გადაიხადა. საბედნიეროდ, იმედები გავამართლე ორჯერ მოვიგე ჩემპიონთა ლიგა. მიმაჩნია, რომ 94 მილიონი ევრო ნამდვილად გადამეტებული თანხაა. რონალდო ცუდი ფეხბურთელი მართლა არ არის, მაგრამ ამდენიც არ ღირს.

**- რა ეღირებოდა გერდ მიულერი დღეს?**

**ინძაგი:** - ცხადია, უძვირესი ფეხბურთელი იქნებოდა. მის მიერ გატანილი გოლების კვოტას თუ გავითვალისწინებთ, მისი ფასი მინიმუმ 100 მილიონი ევრო იქნებოდა.

**- როგორ გგონიათ, რას მიაღწევს მიუნხენის „ბაიერნი" წელს ჩემპიონთა ლიგაში და რისი იმედი უნდა ჰქონდეს „მილანს"?**

**ინძაგი:** - ვფიქრობ, მიუნხენური კლუბი გერმანიის ჩემპიონატს ამჯერად ძალიან იოლად მოიგებს, რადგან წინა სეზონში ჩემპიონი ვერ გახდა, „ბაიერნი" კი ის გუნდია, რომლისთვისაც ზედიზედ ორ სეზონში ჩემპიონობის გარეშე დარჩენა წარმოუდგენელია. მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალიან ძნელია. „ბარსელონა", „რეალი", „მანჩესტერი", „ინტერი" - ეს გუნდები „ბაიერნზე" ერთი თავით მაღლა დგანან და „მილანზეც". თუმცა ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, სადაც ყოველთვის ყველაფერი შეიძლება მოხდეს და როგორც „ბაიერნს", ისე „მილანსაც", ყოველთვის შეუძლიათ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება.

**მიულერი:** - მე კი ვფიქრობ, რომ როცა ფრანკ რიბერი საუკეთესო ფორმაში იქნება და ლუკა ტონი გამოჯანმრთელდება, „ბაიერნს" შესანიშნავი გუნდი ეყოლება. რეალურია ის, რომ რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგა მოიგოს.

**ინძაგი:** - (იცინის) ამისათვის „ბაიერნმა" „მილანი" უნდა დაამარცხოს, ეს კი მიუნხენურ კლუბს არ შეუძლია. ხუმრობა იქით იყოს, ჩვენ ლეონარდოს სახით ახალი მწვრთნელი გყავს და გუნდიც სხვანაირად თამაშობს. მას დრო სჭირდება იმისათვის, რომ ყველაფერი თავის გემოზე გადაანყოს.

**- ფილიპო, 37 წლის ხდებით და ამ სეზონის ბოლოს „მილანთან" კონტრაქტი გიმთავრდებათ. რას აპირებთ?**

**ინძაგი:** - პირველ რიგში, ამ სეზონში ძალიან ბევრი გოლის გატანას ვაპირებ. მერე კი არ ვიცი, ყველაფერს სეზონის ბოლოს გადავწყვეტ. შორეულ მომავალში კი, როცა დავბერდები, მეც მინდა, შევხვდე ისეთ თავდამსხმელს, რომელიც ჩემს რეკორდს დაამხობს...

**გოტფრიდ ლენცი**

### უეფას ყველა ევროტურნირის ტოპბომბარდირები

| თავდამსხმელი | გუნდი | კვოტა | თამაში | გოლი |
|---|---|---|---|---|
| 1. ფილიპო ინძაგი | მილანი, იუვენტუსი, პარმა | 0.62 | 106 | 68 |
| 2. რაული | რეალი | 0.50 | 132 | 67 |
| 3. გერდ მიულერი | ბაიერნი | 0.95 | 65 | 62 |
| 4. ანდრეი შევჩენკო | მილანი, ჩელსი, დინამო (კ) | 0.50 | 121 | 61 |

ტრავმა

# ფილი მაყურებელი გახდა

„ევერტონის" ვეტერანი ვარსკვლავი **ფილ ნევილი** კვირას, „ფულჰემთან" შეხვედრაში დაშავდა. სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა რომ მას მუხლის მყესები აქვს დაზიანებული, რის მოშუშებასაც გვარიანი დრო დასჭირდება, ასე რომ, ნევილი ჯერჯერობით მაყურებლის მდგომარეობას უნდა შეეჩვიოს. „კრეივენ კოტეჯის" მოედნიდან ნევილი **დიკსონ ეტუჰუსთან** ძლიერი შეჯახების გამო საკაცით გაიყვანეს.

ევერტონელთა ფიზიოთერაპევტმა **მიკ რეთბონმა** შემთხვევის მეორე დღეს პრესას ასეთი სურათი დაუხატა: „შეჯახებიდან ერთი ღამე რომ გავიდა, დილის სკანირებამ ჩვენი შიში დაადასტურა. სამწუხაროდ, ფილს მუხლის უკანა მხარეს მყესები აქვს დაზიანებული და იმისათვის, რომ შემდგომი მკურნალობის საუკეთესო მეთოდი შევარჩიოთ, ნევილმა ფეხი 48 საათით უნდა დაასვენოს. ამ დროის განმავლობაში შეშუპებაც შედარებით ჩაცხრება და კაპიტანს ლონდონში სპეციალისტთან მივიყვანთ. კონკრეტული ვადების გამოცხადება ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ ვშიშობ, რომ მკურნალობას დიდი ხანი დასჭირდება".

ფილ ნევილის გამოკლება ევერტონელთა მწვრთნელისთვის, **დევიდ მოიესისთვის** ძალიან დიდი დანაკარგია. უპირველეს ყოვლისა ეს იმას ნიშნავს, რომ მერსისაიდის გუნდს ხვალ, ევროლიგაში ათენის აეკ-თან დაცვის მარჯვენა ფრთაზე პრობლემა ექნება. კლუბის ახალი შენაძენს, **ჯონი ჰეიტინგას** თამაშის უფლება არ აქვს, ხოლო **ტონი ჰიბერტი** ჩეხურ „სიგმასთან" შეხვედრაში გააძევეს და დისკვალიფიცირებულია.

**ილია ბაბუნაშვილი**



ფილ ნევილი

იუვენტუსი

# ჯოვინკოს მინუსი: ის იტალიელია

## ფერარას დიეგოს ტრავმა არ აშინებს



შაბათს „იუვენტუსმა" სერია A-ს მორიგი მატჩი მოიგო და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მიმდინარე სეზონში „ინტერის" მთავარი კონკურენტი იქნება. ტურინელებმა რომში „ლაციო" დაამარცხეს, გუნდი, რომელიც თავის მხრივ უდანაკარგოდ ასპარეზობდა და წარმატებული სერიის გაგრძელებას აპირებდა. „ბიანკონერესტემ" მთლიანობაში კარგი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ გამარჯვება მაინც უფრო ძლიერს დარჩა. აღნიშნულ პაექრობაში მონაწილეობა მიიღო **სებასტიან ჯოვინკომ**, რომელსაც არც თუ ისე ხშირად უწევს მოედანზე გასლა. პრესასთან საუბარში ახალგაზრდა შემტევმა განვლილი პაექრობა შეაფასა და ჟურნალისტებს მისი სატკივარი გაანდო:

*„ძალიან რთული თამაში იყო, რომელშიც მასპინძლებსაც შეეძლოთ წარმატების მიღწევა. პირველ ტაიმში მათ გოლიც გაიტანეს, მაგრამ მატჩის არბიტრმა არ ჩათვალა. მეორე ნახევარში ჩვენ უკეთესად გამოვიყურებოდით და გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ. მიხარია, რომ თამაშმა მომინია, რადგან სათამაშო დროით განებივრებული ნამდვილად არ ვარ. სამწუხაროდ, იშვიათად მიწევს მოედანზე გასვლა. ერთი დიდი მინუსი მაქვს – მე იტალიელი ვარ და ამიტომაც არ მაფასებენ სათანადოდ. ამ ქვეყანაში უცხოელებზე გაცილებით დიდ იმედებს ამყარებენ, რაც ძალიან მიკვირს. დარწმუნებული ვარ, მე რომ არგენტინელი ან ბრაზილიელი ვიყო, „იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა არ გამიჭირდებოდა. ხანდახან ვნანობ კიდეც, რომ აპენინის ნახევარკუნძულზე დავიბადე".*

ჯოვინკოს მართლაც იშვიათად უწევს თამაში, მაგრამ მისი დასკვნა ძალიან საკამათოა. „იუვენტუსი" ყველაზე უფრო იტალიური გუნდია სერია A-ში და ალბათ ვერავინ იტყვის, რომ ტურინში იტალიელებს არ აფასებენ. აპენინელი ჟურნალისტები თვლიან, რომ ჯოვინკომ ამ განცხადებით **ჩირო ფერარას** მიმართა და მას ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად დაყენება მოსთხოვა. ვნახოთ, ჯერი ჩიროზეა, ვისი თავკაცობითაც „იუვე" შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებს.

სხვათა შორის, პრესასთან გუშინ ფერარამაც ისაუბრა და სერია A-ში მისი გუნდის სტარტი შეაფასა. ამასთან, **დიეგოს** ტრავმაზე გააკეთა კომენტარი. როგორც იცით, „ლაციოსთან" პაექრობაში ბრაზილიელი დაშავდა და მოედნის ნაადრევად დატოვება მოუხდა. ექიმების ვერდიქტი უკვე ცნობილია, დიეგოს ორი კვირა მოუწევს უქმობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლეიმეიკერი ჩემპიონთა ლიგის ერთ და იტალიის ჩემპიონატის ორ შეხვედრას გამოტოვებს. ტურინელები დიეგოს გარეშე „ბორდოს", „ლივორნოს" და „ჯენოას" დაუპირისპირდებიან. აი რას ამბობს „ვეკია სენიორას" თავკაცი:

*„ყველაფერი იმაზე უკეთესად მიდის, ვიდრე წარმოვიდგენდი. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ასეთ წარმატებულ სტარტს ავიღებდით. მით უმეტეს, სტარტზე საკმაოდ მძიმე კალენდარი გვქონდა, რთულ მეტოქეებს შევხდით, მათთან ქულათა მაქსიმუმის მოპოვება კი იოლი საქმე ნამდვილად არ გახლავთ. რომში ჩასატარებელი თამაშები პირველობის სტარტ ზევე მოვილიეთ და ექვსი ქულა მოვიპოვეთ. დარწმუნებული ვარ, ანალოგიური შედეგის მიღწევა სხვებისთვის ურთულესი იქნება. „ლაციომ" ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ვგონებ, ეს გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. „ბიანკონერესტე" გაცილებით უფრო ძლიერი მეჩვენა, ვიდრე გასულ წლებში იყო. თუ ასე გააგრძელეს, ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის აუცილებლად იბრძოლებენ. რაც შეეხება ჩემს გუნდს, თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ და მჯერა, რომ მომატება კიდევ შეგვიძლია. ოპტიმალურ კონდიციას წესით ოქტომბრის მეორე ნახევარში უნდა მივაღწიოთ და იმედია ასეც იქნება. დიეგოს ტრავმამ ძალიან დაგვწყვიტა გული, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. ბრაზილიელი დიდი ძალაა ჩვენი გუნდისთვის, მაგრამ ფონს გასვლა მის გარეშეც შეგვიძლია. თანაც, როგორც მითხრეს, არც თუ მძიმე ტრავმაა და დიეგო ალბათ მალე დაგვიბრუნდება. ვინ შეასრულებს პლეიმეიკერის ფუნქციებს? - ეს ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, თუმცა დიდია შანსი აქცენტი სებასტიან ჯოვინკოზე გაკეთდეს. არ არის გამორიცხული, უახლოესი მატჩებისთვის ტაქტიკა შევცვალო. მოკლედ, ამ საკითხზე ჯერ ჩამოყალიბებული არ ვარ".*

როგორც ჩანს, დიეგოს ტრავმა ჯოვინკოს შანსს მისცემს და პერსპექტიულმა შემტევმა ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს. სებასტიანი უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა და თუ თავს გამოიჩენს, არის შანსი, რომ დიეგოს დაბრუნების შემდეგაც დარჩეს სასტარტო შემადგენლობაში.

სულ ბოლოს **ფაბიო კანავაროს** მოვუსმინოთ, ვინაც ძველ-ახალ კლუბში თავს ბედნიერად გრძნობს: *„მადრიდის „რეალი"? - ჩემს ყოფილ გუნდზე საერთოდ არ ვფიქრობ და არც ნოსტალგია მაწუხებს. ისე არ გაიგოთ, ესპანური ცხოვრებით უკმაყოფილო ვიყავი, უბრალოდ „იუვენტუსში" ბევრად უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს. „ვეკია სენიორა" დღეს კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე კალჩოპოლამდე იყო. უახლოესი თამაში „ბორდოსთან" გვაქვს და სწორედ ამ პაექრობისთვის ვემზადებით. ფრანგებს კარგი გუნდი ჰყავთ, რაც შესანიშნავი მწვრთნელის ლორან ბლანის დამსახურებაა. საერთოდ, საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდით, მაგრამ ეს არ გვაშინებს - ჩვენი მიზანია, ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ და პლეიოფში გავიდეთ, თანაც სასურველია პირველი ადგილიდან".*

**ლაშა ნიკლაური**



მთავარი თემა

# ყველას თავისი აქვს საზრუნავი

„მანჩესტერ იუნაიტედი" ამბობდა, რომ „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელი, **ემანუელ ადებაიორი** აუცილებლად უნდა დაისაჯოს, ოღონდ ფეხბურთელის დანაშაულთაგან ჯერ **რობინ ვან პერსისთვის** სახეზე ფეხის დაბიჯებას ასახელებდა და მერე „არსენალის" ქომაგების გაღიზიანებას. შეგახსენებთ, რომ ამ გაღიზიანებამ კინაღამ მასშტაბური უწესრიგობები გამოიწვია - ადებაიორმა „არსენალს" გოლი რომ გაუტანა მთელი მოედანი გადაირბინა, იმ სექტორთან მივარდა სადაც ლონდონელი ქომაგები ისხდნენ და მუხლებზე იქ გასრიალდა. პასუხად ფანებმა ტრიბუნიდან ათასგვარი ნივთი, მათ რიცხვში სკამიც კი ისროლეს, რამაც, საბოლოოდ ის მოიტანა, რომ ერთ-ერთ სტიუარდს თავში „კოკა კოლას" ნახევრად სავსე ბოთლი მოხვდა და გონება დააკარგინა. თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის", როგორც ფეხბურთის კლუბისთვის, ეტყობა, მასობრივ უწესრიგობებსა და სტიუარდის ჯანმრთელობაზე უფრო მნიშვნელოვანი მოედანზე მომხდარი ეპიზოდია, როდესაც ადებაიორმა ბურთისთვის ბრძოლაში დაცემულ ყოფილ თანაგუნდელს სახეზე ფეხი ჩამოჰკრა.

და კიდევ, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი**, როგორც შოტლანდიურად ეშმაკი კაცი მომდევნო კვირაზე ფიქრობს, კვირას კი „ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერული დერბია. ერთი სიტყვით, თუკი ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო საქმეთა ბატონ-პატრონები სერ ალექსს მოწინააღმდეგის მრისხანე თავდამსხმელს ჩამოაშორებდნენ, ის ძალიან კმაყოფილი დარჩებოდა და ამისკენაც იყო ამ კვირის დასაწყისში მიმართული მისი ბრძოლა. თან, მოგეხსენებათ, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" შეხვედრაში „იუნაიტედს" მოედნიდან **პოლ სქოულზი** გაუგდეს და ასეთი მდგომარეობა ფერგიუსონს ხელს არ აძლევდა.

საინტერესო ფაქტი: როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, „მანჩესტერ სიტის" შეფები ოფიციალურმა პირებმა ჯერ კიდევ „არსენალთან" შეხვედრის წინ გააფრთხილეს. სანამ თამაშის დაწყების ნიშანს მისცემდა, მსაჯმა **მარკ კლეტენბერგმა** ისტლენდელთა კაპიტანი **კოლო ტურე** და ერთ-ერთი მწვრთნელი **მარკ ბოუენი** იხმო და საგანგებოდ შეახსენა ადებაიორისა და „არსენასლის" ურთიერთობა, რათა მათ შესაძლო პროვოკაციებისთვის ყურადღება მიექციათ.

პოლიციის ყოფილი კომანდორი, მავანი **ჯონ ოკონორი**: *„დარწმუნებული ვარ, ადებაიორის ამბავს პოლიცია სანიმუშოდ გამოიყენებს. სამართლის თვალსაზრისით „სიტის" ფეხბურთელი" ვან პერსის ეპიზოდში ადამიანის სხეულის განზრახ დაზიანებისთვის დასაპატიმრებელია. წესით, მისი საქმე ყველა ნორმის დაცვით სასამართლომ უნდა განიხილოს".*

„არსენალის" ლეგენდამ **იან რაიტმა** კი თავის ტრადიციულ საგაზეთო სვეტში საკითხს უფრო ფრთხილად შეხედა, რადგან თავად ფეხბურთელი გახლდათ და ადებაიორის მსგავსი ისტორიაც გადახდენია. ეს მაშინ მოხდა, როდესაც რაიტი „კრისტალ პალასიდან" „არსენალში" გადავიდა. საქმე იქამდე იყო მისული, რომ „პალასის" ფანები დედაჩემის სახლის კედელზე წერდნენ, რომ ებრაელი ვარ და დასჯით მემუქრებოდნენო, იგონებს რაიტი. და როგორ გგონიათ, მას მერე რაც „მეთოფე" გახდა ამ დიდმა თავდამსხმელმა „კრისტალ პალასის" კარში გოლი ველარ გაიტანა? გაიტანა, რასაკვირველია გაიტანა, მაგრამ საზეიმოდ თავისი ყოფილი ფანების სექტორთან არ მიურბენია და არა იმიტომ, რომ არ უნდოდა - თავად აღიარებს, რომ უნდოდა და მერე როგორ - უბრალოდ ვერ გაბედა. საერთოდ კი, წერს რაიტი, რამდენჯერაც მოწინააღმდეგის ფანებისთვის ნიშნი მომიგია, იმდენჯერ თამაშის შემდეგ გასახდელთან პოლიციელი დამხვედრია და გამსაუბრებიაო.

ერთი სიტყვით, იან რაიტის აზრით, ემანუელ ადებაიორი ძალიან ცუდად მოიქცა, როდესაც „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" კინაღამ მასობრივი არეულობა გამოიწვია, მით უფრო, რომ დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც „ვესტ ჰემისა" და „მილუოლის" შეხვედრაში 70-იანი წლების ბადალი აყალმაყალი ატყდა და ფანები მოედანზეც კი გადახტნენ, მაგრამ ლეგენდა არც იმას მალავს, რომ „სიტის" ტოგოელმა ფორვარდმა გააკეთა ის, რის გაკეთებაზეც უამრავი ფეხბურთელი ოცნებობდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, თუ როგორ მოიქცნენ „არსენალის" ქომაგები. ისინი ხომ მათგან ამ ზაფხულს წასული ადებაიორის მიმართ აუტანლად აგრესიულნი იყვნენ.

*„თუმცა, ტოგოელმა თავისი იმდღევანდელი საქციელით მათ ახალი მიზეზი მისცა და ამიერიდან მთელი კარიერის განმავლობაში ერთსა და იმავე ისტორიას უნდა ვუყუროთ. ამას დასასრული აღარ ექნება. ახლა, ძალიან საინტერესოა, რა მოხდება 24 აპრილს, როდესაც „მანჩესტერ სიტი" ლონდონში, „ემირეიტ სთედიუმზე" ჩავა", - წერს რაიტი.*



ემანუელ ადებაიორი

რა იქნება და... ერთი სული მაქვს როდის ჩამოვალ იმ თქვენს „ემირეიტზეო", - აღმოხდა ადებაიორს.

*„მეორე წრეში „ემირეიტ სთედიუმზე" თუ ჩავალ სათამაშოდ? რატომაც არა? - უთხრა მან ჟურნალისტებს - მე „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი ვარ და თუ გუნდი წამიყვანს, წავალ და ვითამაშებ".*

რასაკვირველია, შაბათის ისტორიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისტლენდელთა მწვრთნელის, **მარკ ჰიუზის** პოზიციაც, თუმცა ჰიუზმა თავის კომენტარში ძირითადი აქცენტი ვან პერსის ინციდენტზე გააკეთა.

*„ადე მოედანზე გამოჩენის პირველივე წამიდან საშინელი ზეწოლის ქვეშ მოექცა. „არსენალის" ფანებმა ის ენითაუწერელ წნეხში გაატარეს, მაგრამ ვან პერსის ეპიზოდზე თავად ამბობს, რომ განზრახ არაფერი გაუკეთებია. თამაში რომ დამთავრდა მივიდა და ბოდიშიც მოუხადა. თან, მსაჯი ამ ინციდენტის ადგილთან ძალიან ახლოს იდგა და ყველაფერი კარგად დაინახა, ადეს მოქმედებაც და მანამდე ვან პერსის თამაშიც. როგორც ნახეთ, არბიტრმა ფეხბურთელებს სრულიად შეგნებულად, არც ყვითელი ბარათი ამოუღო და არც წითელი, ასე რომ, აქ სალაპარაკოც არაფერია.*

*ზოგადად კი ჩვენი და „არსენალის" შაბათის შეხვედრამ ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია. ამ დღეებში ამ თამაშის სხვადასხვა ეპიზოდზე ძალიან ბევრი ილაპარაკეს, თუმცა როდესაც ორგანიზმში გამოყოფილი ადრენალინის რაოდენობა ძალიან დიდია, მტკნარი საუბარი, ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო და ვინ როგორ არ უნდა მოქცეულიყო, იოლ საქმედ მეჩვენება".*

და ბოლოს, პრემიერლიგის კიდევ ერთი ვარსკვლავის, „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი კაპიტნის, **როი კინის** მოსაზრებასაც გაგაცნობთ. ვის ვის და დღეს „იფსვიჩის" მწვრთნელად მომუშავე კინს ბრიტანეთში ავტორიტეტული სიტყვა ეთქმის.

*„მოდი, ამ ბიჭს პატიოსნად მოვექცეთ. თამაშის მერე ბოდიში მოიხადა და ვფიქრობ, ყველამ დავინახეთ, რომ ჩადენილს ნანობს. „არსენალის" ფანები მისმა საქციელმა აშკარად გააღიზიანა, მაგრამ ფეხბურთელებს შეცდომები მოსდით. რას იზამ, გოლი რომ გაიტანა, ცოტა არ იყოს, ემოციას აჰყვა. ვფიქრობ, სწორედ ახლა არ უნდა დავაწვეთ, სწორედ ახლა უნდა შევუმსუბუქოთ ფსიქოლოგიური ტვირთი. ვიმეორებ მან ბოდიში მოიხადა და დასჯას არ იმსახურებს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ჭირვეული კაცი

# სამპდორიას ექვსეული მოუნდა

## კასანომ ლიპის იტალია დაუპირისპირა

**ანტონიო კასანო** ის კაცია, რომლის გამოც იტალიაში ძალიან ბევრი **მარჩელო ლიპის** დაუპირისპირდა. ეს სახუმარო ამბავი არ გეგონოთ, თავის მხრივ, ლიპი ის კაცია, ვინც ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუტანა და მის წინააღმდეგ წასვლა ასე იოლი ნამდვილად არ გახლავთ. ლიპი ეროვნული გმირია, რომლის გადაწყვეტილებებს ხშირად უსიტყვოდ ილებენ და ეთანხმებიან, მაგრამ კასანოს შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად არის. ანტონიო იმდენად შთამბეჭდავად ასპარეზობს „სამპდორიაში", რომ მის ეროვნულ გუნდში გამოძახებას ტიფოზები, ჟურნალისტები და ექსპერტები აქტიურად ითხოვენ. შთამბეჭდავად ასპარეზობს „სამპდორიაც" და ესეც მეტწილად სწორედ კასანოს დამსახურებაა.



იტალიურ პრესაში კასანოზე ძალიან ბევრი იწერება, ბევრი იწერება „სამპდორიაზეც" და „გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული მასალაც არ ყოფილა შემთხვევითი. სტატიაში სიტყვა თავად კასანოს, კლუბის მწვრთნელს და პრეზიდენტს ეთმობა. ალბათ, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესოა იმის გაგება, თუ რა მდგომარეობაა გუნდში, რომელიც დღეისათვის სერია A-ს ერთ-ერთი ლიდერია. „სამპას" პრეზიდენტ **ჯუზეპე მაროტას** არ გაკვირვებია მისი გუნდის ასეთი სტარტი და მომავალსაც ოპტიმისტურად უყურებს:

*„ჯერ მხოლოდ სამი ტურია გასული და დასკვნების გამოტანა ნაადრევია, მაგრამ ის, რომ ცხრილს სათავეში ვუდგავართ, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. სიმართლე გითხრათ, ველოდებოდი, რომ წარმატებით დავიწყებდით ახალ სეზონს. გუნდის ვარჯიშებს ვესწრებოდი, ახლოს ვიყავი მწვრთნელთან, ფეხბურთელებთან და ნათლად ვხედავდი, რომ ჩემპიონატისთვის მზად ვიყავით. დიდი ხანია ფეხბურთში ვარ და კარგად ვიცი, რას მოაქვს წარმატება. უპირველეს ყოვლისა, გუნდი ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული და ერთი სულისკვეთება უნდა იგრძნობოდეს. სწორედ ამას ვხედავ „სამპდორიაში" და არ შეიძლება ამან შედეგი არ მოიტანოს. რამდენი ვარსკვლავიც უნდა ჰყავდეს გუნდს, თუ ფეხბურთელები ერთ მუშტად არ არიან შეკრულნი, საქმე არ გამოვა. ამიტომ არის, რომ ხშირად გალაქტიკოდ მონათლული გუნდები ვერაფერს აღწევენ. „სამპდორიას" მიზანი? - ევროსაგზურისთვის ბრძოლა. ჩვენი სურვილია მომავალ სეზონში ექვსეულში მოვხვდეთ, ამასთან იტალიის თასის მოგება გვსურს. კარგად მესმის, რომ ექვსეულში მოხვედრა ურთულესი საქმე იქნება, მაგრამ ჩვენ ამის ძალა ნამდვილად შეგვწევს".*

მაროტამ კასანოზე და გუნდიდან მის შესაძლო წასვლაზე ილაპარაკა: *„შეიძლება გაგიკვირდეთ ის, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას. ის, რომ გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული, ამაში ლომის წილი ანტონიო კასანოს მიუძღვის. ვერ გეტყვით როგორ იყო ის სხვა გუნდებში, რა ახასიათებდა, მაგრამ ჩვენთან სამაგალითოდ იქცევა. ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება და გასახდელშიც ნამდვილი ლიდერია. მოედანზე რასაც სჩადის, ამას თქვენც ხედავთ და ჩემი სიტყვები საჭირო ალარც არის. რამდენ ხანს დარჩება „სამპდორიაში"? - ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. ჩემი სურვილია, რომ მან კიდევ დიდხანს ითამაშოს „სამპას" მაისურით, მაგრამ არც ის მინდა, რალაცის ილუზიები მქონდეს და შემდეგ იმედგაცრუებული დავრჩე. კარგად მესმის, რომ კასანოს დონის ფეხბურთელს უფრო ამბიციურ გუნდშიც შეუძლია თამაში. გამომდინარე აქედან, ანტონიომ შესაძლოა ნებისმიერ ზაფხულს დაგვტოვოს და ამასთან შეგუებულები უნდა ვიყოთ. სასიხარულოა ის, რომ ჯერჯერობით მას ჩვენთან სურს თამაში და არსად წასვლას არ აპირებს".*

ახლა კი სიტყვა **ლუიჯი დელ ნერის** გადავცეთ, ვისი საუბრიდანაც ორი საინტერესო თემა შეგვიძლია გამოვყოთ:

### კასანო-პაცინი

იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი შეგირდები არიან, უბრალოდ ისინი იმსახურებენ იმას, რომ მათ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ტანდემი ვუწოდო. აბსოლუტურად სხვადასხვა ტიპის თავდამსხმელები არიან, მაგრამ ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ. ჩემი აზრით, ევროპაში ცოტა გუნდი თუ დაიკვეხნის ასეთი შემსრულებლებით და ბუნებრივია, ჩვენ ეს დამატებით სტიმულს გვაძლევს. ჩემი აზრით, ორივე მათგანი იმსახურებს ეროვნულ ნაკრებში მიწვევას. ისე არ გაიგოთ, მარჩელო ლიპის კომპეტენციაში ვიჭრებოდე, უბრალოდ, მე ჩემს პირად მოსაზრებას ვაფიქსირებ. „სკუადრა აძურას" დღეს კარგი დამგვირგვინებელიც სჭირდება და შემოქმედი ფეხბურთელიც. პაცინის და კასანოს კი ამ ფუნქციების შესრულება შესანიშნავად შეუძლიათ.

### გენუური დერბი

„ჯენოას" მიმართ მხოლოდ პატივისცემით ვარ განწყობილი. ამ გუნდმა კრიზისი დაძლია, სერია A-ში დაბრუნდა და მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. „როსობლუმ" „სამპდორიასაც" დამატებითი მოტივაცია მისცა, რადგან თანაქალაქელთან კონკურენციას განსხვავებული დატვირთვა აქვს. გასულ სეზონში, „სამპდორია", „ჯენოასგან" განსხვავებით, მაღალი ადგილებისთვის არ იბრძოდა, მიუხედავად ამისა, ორივე დერბი უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. თუ რა იქნება ამ სეზონში, წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ეს იქნება ემოციების ზღვა, რადგან დარწმუნებული ვარ, ორივე გუნდი სატურნირო ცხრილში საკმაოდ მაღლა იქნება. სიმართლე გითხრათ, დერბის უკვე მოუთმენლად ველოდები - წარმომიდგენია როგორი ატმოსფერო იქნება ქალაქსა და სტადიონზე.

სულ ბოლოს კი კასანოს მოვუსმინოთ, ის საამსეზონო და სამომავლო გეგმებზე საუბრობს:

*„გუნდს ევროსაგზურის მოპოვება აქვს დასახული, მაგრამ სიმართლე გითხრათ, პირადად მე მიზნებზე ნაკლებად ვფიქრობ. ჩემი ამოცანაა თითოეული შეხვედრისთვის მაქსიმალურად კარგად მოვემზადო და გავიმარჯვო. სწორედ ასეთი მიდგომით ვითამაშებ მთელი სეზონის განმავლობაში და შედეგებს ბოლოს გადავხედავ. სასურველია მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ, რადგან ჩვენ ამის უნარი ნამდვილად შეგვწევს. რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, დღეს მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ „სამპდორიაში" ასპარეზობაზე ვარ კონცენტრირებული. მინდა ყველას დავანახვო, რომ ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვარ და თუ ბედმა გამიღიმა, იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავემგზავრო. აი, რა იქნება შემდეგ, დღეს ამაზე საუბარი ძალიან გამიჭირდება და იმედია, არ მიწყენთ".*

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პანდევი ინტერს მოუნდა

სეზონი დაიწყო, ნელ-ნელა ხურდება, **გორან პანდევი** კი კვლავაც ჩრდილშია და „ლაციოს" განაცხადშიც კი ვერ ხვდება. მას კლუბის პრეზიდენტთან გაურთულდა ურთიერთობა და სწორედ ამის გამო ისჯება. **კლაუდიო ლოტიტო** ამ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ მაკედონიელი ფორვარდი უბრალოდ მწვრთნელის მონახაზში ვერ ჯდება. თუმცა, ამის არავის სჯერა და ყველამ კარგად იცის, რა ხდება სინამდვილეში. ფეხბურთელის და პრეზიდენტის კონფლიქტის ამბავს აღარ მოვყვებით, პირდაპირ იმ ინფორმაციას გაგაცნობთ, რომელიც გუშინ იტალიურ პრესაში გავრცელდა.

დიდია შანსი, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას პანდევმა „ინტერთან" გააფორმოს ხელშეკრულება. თუ „ტუტოსპორტს" ვენდობით, მილანელებმა უკვე წამოიწყეს მოლაპარაკებები და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. საერთოდ, ლოტიტოსთან შეთანხმების მიღწევა ძალიან რთული გახლავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში „ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტს დიდი არჩევანი ნამდვილად არ აქვს. თუ გორანს ზამთარში ვერ გაყიდის, მაშინ ზაფხულში მას ისე დაკარგავს, რომ ცენტსაც ვერ მიიღებს. მაკედონიელს „ლაციოსთან" ხელშეკრულების ვადა სწორედ 2010 წლის ივნისში ეწურება. მოკლედ, ლოტიტო გასაღებაზეა და „ინტერის" შეთავაზებულ ათ მილიონ ევროს სავარაუდოდ დიდი სიამოვნებით დათანხმდება. თანაც, ათ მილიონს მილანელები ჰონდურასელ ფორვარდს, **დავიდ სუასოსაც** მიაყოლებენ.



მილანი



# გალიანი გურკუფის გაყიდვას არ ნანობს

„მილანის" წარუმატებლობებს ყველაზე ხშირად **ადრიანო გალიანის** და მის სატრანსფერო პოლიტიკას აბრალებენ. გულშემატკივრები **კაკას** გაყიდვას გალიანის და **ბერლუსკონის** ალბათ არასდროს აპატიებენ და ეს მათ უკვე კარგად ესმით. ამას წინათ, „როსონერის" პრეზიდენტმა აღიარა კიდეც, რიკის გაყიდვა დიდი შეცდომა იყოო. არის კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის გასხვისებაც ტიფოზებს ასევე შეცდომად მიაჩნიათ. ლაპარაკია **იოან გურკუფზე**, რომელიც „ბორდოში" შესანიშნავად ასპარეზობს. ამ საკითხზე გუშინ გალიანიმ ისაუბრა:

*„გურკუფის გაყიდვას ნამდვილად არ ვნანობ, პირიქით, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი გარიგება ბოლო ათი წლის განმავლობაში. თავის დროზე, ფრანგი ორ მილიონ ევროდ ვიყიდეთ, „ბორდოში" კი ცამეტ მილიონად გავასხვისეთ. თუმცა, აქ ფულში არ არის საქმე. იოანთან პირადად მე მქონდა საუბარი და მან მითხრა, რომ „მილანიდან" წასვლა სურდა. გურკუფის მიზანი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობაა. „მილანში" კი სათამაშო დროის დეფიციტი ჰქონდა და ეშინოდა, რომ ასეთ სიტუაციაში, ნაკრებში მას არ გამოიძახებდნენ. „ბორდოში" გადასვლა მისი სურვილი იყო და ამ გადაწყვეტილებას პატივისცემით მოვეკიდეთ".*

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედია

# ქართულმა ჰოკეიმ დენისი და ლაშა დაკარგა

დღეს ტუნისში ყინულის ჰოკეის მსოფლიო ფედერაციის კონგრესი დაიწყო, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში თამაშის საკითხი უნდა გადაწყდეს.

საუბედუროდ, ამ ისტორიულ მოვლენამდე ერთი დღით ადრე შეწყდა იმ ხალხის სიცოცხლე, რომლებმაც საკუთარი მხრებით მოიყვანეს ქართული ჰოკეი დღევანდელობამდე.

ტუნისისკენ თურქეთის გავლით მიემგზავრებოდნენ საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი, ბოლო პერიოდში ვიცე-პრეზიდენტი დენის დავიდოვი და გენერალური მდივანი ლაშა ცაგარეიშვილი. მსუბუქი ავტომობილი, რომელიც ერზინჯანის რეგიონის ტერიტორიაზე, სტამბულის მიმართულებით მიემგზავრებოდა, ავტობუსს შეეჯახა და მანქანაში მსხდომი ექვსივე ადამიანი ადგილზე დაიღუპა. სამწუხაროდ, დენისთან და ლაშასთან ერთად დაიღუპნენ ლაშას მეუღლე თეო ბერძენიშვილი, სომხეთის ყინულის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი კარენ ხაჩატრიანი, მისი მეუღლე გაიანე ჰარუთუნიანი და ვაჟი ლევონ ხაჩატრიანი, რომელიც სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო.

ქართული ჰოკეი, რომელიც დენისისა და ლაშას მონდომებით დგამდა პირველ ნაბიჯებს საერთაშორისო ასპარეზისკენ, გუშინდელი დღიდან დიდ საფრთხეშია. ამ ორი ადამიანის ლვაწლის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მოკლედ კი იმის თქმა შეიძლება, რომ მათ ამ საქმეს მთელი ცხოვრება უანგაროდ შესწირეს და რაოდენ სიმბოლურია, რომ სწორედ ქართული ჰოკეისთვის უმნიშვნელოვანესი ლონისძიებისკენ მიმავალნი შეუერთდნენ მარადისობას.



მარცხნიდან: ლაშა ცაგარეიშვილი, დენის დავიდოვი და კარენ ხაჩატრიანი

ახალგაზრდები და სიცოცხლით სავსენი იყვნენ, სჯეროდათ, რომ საქართველოს ჰოკეითაც შეეძლო თავისი სათქმელის თქმა და სკეპტიკოსების სიმრავლის მიუხედავად, საკუთარი საქმის სისწორეში ეჭვი არასოდეს შეჰპარვიათ.

პატარა ბავშვებივით უხაროდათ, რომ მალე საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებდა და ხუთჯვრიანი დროშით ისინიც გავიდოდნენ ყინულზე, ბავშვობის ოცნებას აიხდენდნენ და საქართველოს ნაკრების ფორმას ჩაიცვამდნენ.

ტუნისიდან ქართული ჰოკეისთვის ახალი ერა უნდა დაწყებულიყო და ამ ღირსსახსოვარ მომენტს ვერაფრით გამოტოვებდნენ. ახალი ერა მართლაც დაიწყო, ოღონდ ვაი, რომ დენისისა და ლაშას გარეშე. ქართული ჰოკეის პატარა ოჯახს ორი უმნიშვნელოვანესი წევრი გამოაკლდა. ცხოვრება გრძელდება, ქართული ჰოკეი კი გამწევი ძალის გარეშე დარჩა.

და მაინც, იმედი გვაქვს, რომ ფედერაციის სხვა მესვეურები მათ დანატოვარს გაუფრთხილდებიან და ქართულ ჰოკეის იმ სიმაღლეზე აიყვანენ, დენისსა და ლაშას რომ ეკადრებათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ თურქეთში მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **დენის დავიდოვი** და გენერალური მდივანი **ლაშა ცაგარეიშვილი** და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

ძალოსნობა

## რამაზ გურგენიძე
# ბევრ ძლიერ ქვეყანას გავუსწარით...

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ისრაელიდან დაბრუნებულმა ძალოსნებმა პრესკონფერენცია გამართეს. ევროპის პირველობაზე ასპარეზობის შესახებ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რამაზ გურგენიძემ ილაპარაკა. გიორგი ლომთაძესა და ვილიამინ ალექსიძეს ოქროს მედლები ოლიმპიურმა ჩემპიონმა, პარლამენტარმა გიორგი ასანიძემ და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავამ მიულოცეს.**

**რამაზ გურგენიძე:** - კონტინენტის პირველობაზე იმ იმედით გავემგზავრეთ, რომ ორ უმაღლეს ჯილდოს მოვიპოვებდით, თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ ოქროები ჩვენთვის იქ სურვილის მიხედვით არავის დაურიგებია - ძნელი ორთაბრძოლები გადავიტანეთ, მათ შორის ტაქტიკურიცა და ფსიქოლოგიურიც. გამარჯვებაში იმანაც შეგვიწყო ხელი, რომ მასპინძლებმა აქტიური დასვენებისთვის, სავარჯიშოდ და შეჯიბრებისთვის შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს. გიორგი ლომთაძე თავიდანვე უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, რადგან უკვე გამოცდილი სპორტსმენია - მესამედ მონაწილეობდა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში. მართალია, ისრაელში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე იგი მოიწამლა და გადასხმები დასჭირდა, მაგრამ ეილათში თავისი უპირატესობა მაინც დაამტკიცა. სამი ოქროს მედლით დაბრუნდა სამშობლოში. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ სპორტსმენს, მათ საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი ჰქონდათ, თვითმფრინავშიც კი პირველად ისხდნენ. თუმცა თავიდანვე ვილიამინ ალექსიძის იმედიც გვქონდა და მანაც გაგვიმართლა, იმის მიუხედავად, რომ სომეხ ჰამლეტ პოლოსიანთან და რუს ტიმურ ნანიევთან პაექრობა უშელავათო გამოდგა. მართალია, ვილიამინი ატაცში უმედლოდ დარჩა პირადი წონის გამო - ბრინჯაოსთვის პოლოსიანმა გაუსწრო, აკვრაში შეუდარებელი გახლდათ. ფიცარნაგზე გასვლის წინ გვითხრა, ნებისმიერ წონაზე მიმიშვით, ავწევო. დიდი რისკი მაინც არ გაგვიწევია - 172 კილოს დავჯერდით, რადგან პირველი ცდის შემდეგ დავრწმუნდით, რომ პოლოსიანი ტაქტიკურ ბრძოლაში ვერ გაგვიმკლავდებოდა. ასეც მოხდა. ბედნიერი ვარ, რომ ისრაელში ორჯერ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. ორჭიდში ორი ოქროს მედალი, ჩვენ გარდა, მხოლოდ ალბანელებმა მოიპოვეს. ბევრი ძლიერი ქვეყანა მოვიტოვეთ უკან, მათ შორის - რუსეთი, ბულგარეთი და თურქეთი. ამ წარმატებას განმტკიცება უნდა. კეთილი ადამიანების დაუხმარებლად გამარჯვების მოპოვება გაგვიჭირდებოდა. მომავალშიც მათი თანადგომის იმედი გვაქვს.




მარცხნიდან: ვილიამინ ალექსიძე, რამაზ გურგენიძე, გიორგი ასანიძე, გია გალდავა, გიორგი ლომთაძე და მალხაზ ლომთაძე

**- წლის ბოლომდე კიდევ ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გელით. მათ შესახებ რას იტყვით?**

- პოლონეთის ქალაქი ვლადისლავო 10-18 ოქტომბერს ოცდასამწლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ ტურნირზე ორი სპორტსმენი გაემგზავრება - ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი ზვიად სამუკაშვილი (56 კგ) და ალუდა მანაგაძე (94). სამუკაშვილს ვერცხლის მოპოვების შანსი აქვს, მანაგაძეს - ბრინჯაოსი, თუმცა საამისოდ ასპარეზობამდე დარჩენილ დროში ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ.

20-29 ნოემბერს კორეაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის 5 სპორტსმენი ემზადება. მათგან ორს - გია მაჭავარიანსა და ალბერტ კუზილოვს, ასე ვთქვათ, თვითმფრინავის ბილეთები უკვე დაჯავშნული აქვთ, ხოლო თემურ ჩხეიძემ (85), თემურ გოგიამ (94) და ირაკლი თურმანიძემ (მძიმე წონა) საამისოდ ჯერ შედეგები უნდა აჩვენონ, ანუ დასამტკიცებელი აქვთ, რომ კორეაში წასვლას იმსახურებენ. საქართველოს ნაკრებს ახლახან სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა კაცი, სახელოვანი სპორტსმენი ალეკო ნოზაძე, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს ბიჭების დასაკვალიანებლად, რათა ჩვენმა სპორტსმენებმა კორეაში მედლებისთვის იბრძოლონ. რაც მთავარია, ათლეტებს ფედერაციისა და მისი თავკაცის თანადგომა არ მოაკლდებათ.

**გიორგი ასანიძე:** - გიორგი ლომთაძესა და ვილიამინ ალექსიძეს ევროპის ჩემპიონობას ვულოცავ. ნამდვილად სასახელო ბიჭები არიან. ხუთი ოქროს მედლის მოპოვება იოლი არ იყო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ მათ მეტი შეუძლიათ. მომავალი სეზონიდან ისინი სალიცენზიო შეჯიბრებებშიც ჩაებმებიან, რათა საქართველოს ნაკრებს ლონდონის ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად ქულები შესძინონ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ბიჭებს აქედანვე დავუგეგმოთ 2012 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლა. ჯერჯერობით ისინი საამისოდ ძალიან ახალგაზრდები არიან. აჩქარებითა და ფორსირებით, შეიძლება, საქმე გავაფუჭოთ. მთავარია, ბიჭები თანდათან გაიზარდონ, მომძლავრდნენ და დიდ ფიცარნაგზე წარმატებების დროც მოვა. დღევანდელი გამარჯვებები ამის საწინდარია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტს, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ სამი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შტანგა შეგვიძინა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სპორტსმენები ვარჯიშებზე უნდა შეეჩვიონ იმ ინვენტარს, რომლითაც საერთაშორისო სარბიელზე მოუწევთ ასპარეზობა. ამჟამინდელ იარაღებს ხომ თავისებური მოქნილობა და ამორტიზაცია ახასიათებთ. შეჯიბრებაზე კი თითოეულმა ნიუანსმა, შესაძლოა, მედლის ბედიც გადაწყვიტოს. ფედერაციის მესვეურთა გადაწყვეტილებით, 2010 წლის ბოლომდე საქართველოს ძალოსანთა ნაკრები თანამედროვე ინვენტარის სრული კომპლექტით იქნება უზრუნველყოფილი.

**გიორგი ლომთაძე:** - ექვსი წელიწადია, ძალოსნობაში ვვარჯიშობ. პირველი დღიდანვე მამაჩემი, მალხაზ ლომთაძე მამეცადინებს, რომელიც სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ათგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია. საერთაშორისო სარბიელზე პირველად 2007 წელს მოვსინჯე ძალები. მაშინ ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე მე-5 ადგილი დავიკავე, შარშან კი 20-წლამდე ახალგაზრდების კონტინენტის პირველობაზეც მეხუთე ვიყავი. ძალიან გამახარა ისრაელში ერთბაშად სამი ოქროს მედლის მოპოვებამ. მართალი გითხრათ, ამ წარმატებისთვის მზად ვიყავი. გაისად ახალგაზრდებში გადავინაცვლებ და წონასაც გამოვიცვლი - 69 კილოში ვიასპარეზებ. ვეცდები, იქაც გავახარო ქომაგები.

**ვილიამინ ალექსიძე:** - ბათუმის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში (დირექტორი მუხრან ვახტანგაძე - ავტ.) ვვარჯიშობ ავთანდილ გახოკიძის ხელმძღვანელობით. მართალია, ევროპის პირველობაზე დებიუტი მქონდა, მაგრამ იმედიანად ვიყავი, რადგან საქართველოს პირველობებზე ისეთი წონები მქონდა დაძლეული (ატაცში - 140 კგ, აკვრაში - 175 კგ.), რომ მჯეროდა, ისრაელში უმედლოდ არ დავრჩებოდი. ეილათში ატაცისას მესამე ცდაზე 137 კილო რომ შევუკვეთეთ, სიჩქარეში ტექნიკური წუნი დავუშვი და სამ მეტოქეს გასწრების საშუალება მივეცი, სამაგიეროდ, აკვრაში მწვრთნელების დახმარებით ყველაფერი სასიკეთოდ შემოვაბრუნეთ და 172 კილოგრამის დაძლევით ორჭიდის ჯამში უმაღლეს ჯილდოსთან ერთად მცირე ოქროს მედალიც დავიმსახურე, რამაც ძალიან გამახარა. წლევანდელ სეზონში მართლაც გამიმართლა - ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვე, ეროვნულ ჩემპიონატში „ბრინჯაო" მხვდა. ასაკის გამო გაისადაც ჭაბუკებში მომიწევს ასპარეზობა. შეჯიბრებებიც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება. ვეცდები, გულშემატკივრები არ გავაწბილო.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

კალათბურთი

სუპერლიგა

# შენგელიამ კვარტეტი დასახა

**გასული სეზონის შემდეგ შსს ერთიორად გაძლიერდა. გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კახა შენგელიამ შემადგენლობაც გაგვაცნო და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.**

*„შემადგენლობას საბოლოო სახე ორი დღის წინ მიეცა. სრული გუნდით პირველი ვარჯიში ორშაბათს ჩავატარეთ. შარშანდელი შემადგენლობიდან დარჩა 6 კალათბურთელი, რომელსაც 8 ახალწვეული დაემატა. გაისად ჩვენი გუნდის ღირსებას გიორგი მარკოიშვილი, სოსო შერმადინი, ლექსო ლაფანაშვილი, ზურაბ კორკოტაძე, დათო და ირაკლი ბერიშვილები დაიცავენ. მათ გარდა, შეგვემატა ორი ახალგაზრდა კალათბურთელი - აკაკი ლომოური და ქუთაისელი გიორგი კვერნაძე".*

აქვე ჩამოგითვლით იმ კალათბურთელებსაც, რომლებიც გუნდში შარშანაც თამაშობდნენ და ახლაც **კახა შენგელიას** განკარგულებაში იქნებიან: **ლევან მიქაბერიძე, ბექა ნოზაძე, ვანო აბულაძე, ვასილ ბერუაშვილი, ოთარ ფაიქრიძე** და **შოთა პატარაია**. მთავარმა მწვრთნელმა ერთი სიახლეც გვამცნო: ახალ სეზონში მოთამაშე-მწვრთნელი არ ვიქნები, მხოლოდ გუნდის თავკაცის ფუნქციებს შევასრულებო. მან შსს-ს მომზადებაზეც გაამახვილა ყურადღება:

*„15 ოქტომბერს დუდუ დადიანის მემორიალი იწყება, 25 ოქტომბერს - სუპერლიგა. მანამდე საკმარისი დროა და ვფიქრობ, ამ შეჯიბრებებს მომზადებულები შევხვდებით".*

როგორც ხედავთ, შსს-ს კარგი შემადგენლობა შეუკრებია. საინტერესოა, რა მიზნებს ისახავენ ძალოვნები მომავალ ჩემპიონატში.

*„წინ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიწიოთ. გვყავს ნორმალური შემადგენლობა და ამ ეტაპზე მიზნად ოთხეულში მოხვედრას ვისახავთ. ვიცი, ბევრი კარგი გუნდი ყალიბდება და ვიმედოვნებ, ჩემპიონატიც საინტერესო იქნება. აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო შსს-სა და დაცვის პოლიციის ხელმძღვანელობას, რომლებიც ბოლომდე გვერდში გვიდგანან".*

ბოლოს კი კახა შენგელიას ვაჟზეც ვკითხეთ. სანაკრებო მატჩების დასრულების შემდეგ თორნიკე ესპანეთში გაემგზავრა.

*„ის ვალენსიაში კვირას წავიდა. ამ ზაფხულს თორნიკემ გუნდთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და 12-კაციან შემადგენლობაში იქნება, გაისად კი მხოლოდ უფროსთა შეჯიბრებებში მიიღებს მონაწილეობას".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ძირითადში გააღწია, მაგრამ...



საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (154) კანადაში 220-ათასიან ვტა-ს ტურნირ „ბელ ჩელენჯის" ძირითად ბადეში გაღწევა შეძლო. ანა პირველ ნომრად იყო განთესილი, საკვალიფიკაციო ტურნირში მან ზედიზედ სამი ოპონენტი დაამარცხა, ფინალში სამხრეთაფრიკელ **ნატალი გრანდინს** (242) მოუგო - 6:3, 7:6 (10). როგორც ხედავთ, გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკი ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა და ჩვენმა თანამემამულემ ის 12:10 მოიგო.

კვებეკში ძირითადი ბადის პირველ წრეში ანა ტატიშვილი 20 წლის ამერიკელ **ვანია კინგს** (92) შეხვდა. პირველ სეტში ანა 5:4-ს იგებდა და მის მოწოდებაზე 40:30 იყო, მაგრამ მან ეს გეიმიც დათმო და შემდგომი ორიც - 5:7. მეორე სეტში კინგი თავიდანვე დაწინაურდა და მატჩი 7:5, 6:2 მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

მწვრთნელი

# ამან გადამარჩინა, ეგორმა!

## კოკოშკოვი ბრაიკოვიჩ-ჰერბერტ-შილდსის ჭრილში

მთავარ მწვრთნელ იგორ **კოკოშკოვს** საქართველოს ნაკრებთან აკავშირებდა ორწლიანი ხელშეკრულება, რომელიც ბელარუსთან მეორე მატჩის შემდეგ ამოიწურა. თუმცა აქვე დაგამშვიდებთ - კონტრაქტი 2+2 სისტემისაა და ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, მწვრთნელისა და ფედერაციის თანხმობის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად ორი წლით გახანგრძლივდება. წარმატებული გამოსვლის გამო ორივე მხარე თანახმაა და გაისად საქართველოს ნაკრებს ისევ იგორ კოკოშკოვი უხელმძღვანელებს.

თუ ორი წლის წინათ ამ უცნობი სპეციალისტის დანიშვნას საკალათბურთო საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა, დღეს ყველა აღიარებს, რომ საქართველოს ნაკრების ელიტაში გადასვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ სერბი მწვრთნელი იყო.

აკი აღნიშნა **ვლადიმერ ბოისამ** ბელარუსთან მატჩის მერე:

*- გვყავს მაღალი დონის მწვრთნელი. აქამდეც კარგი სპეციალისტები გვავარჯიშებდნენ, მაგრამ ვფიქრობ, იგორ კოკოშკოვმა ჩვენში რაღაც იპოვა, კარგად გაგვიგო. მის გამოცდილებაში ხომ ეჭვის შეტანა არ შეიძლება. კოკოშკოვთან ერთად საქართველოს ნაკრებს დიდი მომავალი აქვს.*

მართალია, ბოისა იგორის წინამორბედ მწვრთნელებსაც დადებითად ახასიათებს, მაგრამ ცხადია, რომ საქართველოს ნაკრებისთვის საუკეთესო ვარიანტი არა **დრაჟენ ბრაიკოვიჩი**, არა **გორდონ ჰერბერტი**, არა **კენ შილდსი**, არამედ იგორ კოკოშკოვი იყო. ორმოდან (B დივიზიონიდან) სწორედ იგორის დახმარებით ამოვძვერით, ტყვეობას თავი ისე დავაღწიეთ, როგორც დავით გურამიშვილზე შექმნილ ფილმშია. მეფისადმი მისი ნათქვამი სიტყვები საკალათბურთო კონტექსტშიც გამოდგება:

*- ამან გადამარჩინა, ეგორმა!*

შეიძლება გაგიკვირდეთ, რა სჭირდა საქართველოს ნაკრებს გადასარჩენი, მასში ხომ **ფაჩულია, სანიკიძე, ცქიტიშვილი**, ბოისა, **ცინცაძე, ელისი** თამაშობენ, ასეთი შემადგენლობით „მთის გადადგმა" შეიძლებაო?

გაგახსენებთ, რომ 2006-07 წლების საკვალიფიკაციო ეტაპზეც იგივე შემადგენლობა გვყავდა (პლუს **მანუჩარ მარკოიშვილი**), მაგრამ ისლანდიაში წავაგეთ. 2004-05 წლებშიც ეს შემადგენლობა იყო (ელისის ნაცვლად **შემონდ უილიამსი**), მაგრამ მთავარი მწვრთნელი თავის ასისტენტთან გაბუტული იყო და წავაგეთ...

საინტერესოა, რა შეცვალა ნაკრებში იგორ კოკოშკოვმა, ან რით განსხვავდება იგი წინამორბედებისგან? ნამდვილად არ მსურს სხვა მწვრთნელებთან მისი დაპირისპირება, მაგრამ, რომ დავწერ, ვთქვათ, **კოტე ტულუშისადმი** გამოცხადებულმა ნდობამ კოკოშკოვს ბელარუსი დაამარცხებინა, ხომ უნდა დავამატო, მანამდე ვინ არ ენდობოდა კოტეს?!

### ■ დისციპლინა

მწვრთნელზე საუბარი მოედნის გარედან დავიწყოთ. რაც უნდა ვარსკვლავური ნაკრები გყავდეს, თუ გუნდში დისციპლინა არ არის, წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია.

2007 წელს, როცა ისლანდიაში დავმარცხდით, კაპიტანმა **ვატო ნაცვლიშვილმა** თქვა - გუნდში დისციპლინა ნულის ტოლი იყოო. წაგების მიზეზიც იოლი გამოსაცნობი აღმოჩნდა.

იგორ კოკოშკოვის ფორმაციის ნაკრებში სწორედ დისციპლინაა თვალშისაცემი: ეს ვარჯიშისასაც აშკარად ჩანდა, სასტუმროშიც და მოედანზეც.

იგორ კოკოშკოვს, დრაჟენ ბრაიკოვიჩისგან განსხვავებით, კალათბურთელებისთვის ინტერვიუების გაცემა არ აუკრძალავს, თუმცა, თუ სპორტსმენებთან დალაპარაკება გვსურდა, ჩვენც მწვრთნელის მიერ შედგენილ რეჟიმში უნდა ჩავმჯდარიყავით - წუთობრივად უნდა გამოგვეთვალა, როდის სადილობდნენ, როდის ეძინათ, ვარჯიშზე როდის გადიოდნენ... ერთ დღეს ელისთან დასალაპარაკებლად 4 საათზე მივედი, მაგრამ სასტუმრო მთლიანად მიძინებული დამხვდა.

ალბათ, ისიც გაინტერესებთ, როგორ დაამყარა დღევანდელმა მწვრთნელმა წესრიგი. გორდონ ჰერბერტი და კენ შილდსი ჩვენს ახალგაზრდა კალათბურთელებს როგორც ჩამოყალიბებულ პროფესიონალებს, ისე უყურებდნენ და ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა რეჟიმი დაერღვიათ. ნაკრების ბირთვს 20-21 წლის კალათბურთელები შეადგენდნენ, პროფესიონალებად ამ ასაკში ყალიბდებოდნენ და სწორედ მაშინ უნდოდათ ყურადღება. იგორ კოკოშკოვი საქართველოში მომზადებული ჩამოვიდა, მას სერბეთის ნაკრებში ურჩ ვარსკვლავებთანაც ნამუშევარი ჰქონდა და ახალგაზრდებთანაც. ამიტომ ის ნორჩ ქართველ კალათბურთელებს ისე მიუდგა, როგორც კლასის დამრიგებელი: დავალებებსაც ურიგებდა, რეჟიმშიც ჰყავდა, თავისუფალ დროსაც აძლევდა (თითოეული მატჩის შემდეგ), მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ამოწმებდა. იყო შემთხვევა, როცა მწვრთნელს ღამით სასტუმროს ნომერში კალათბურთელთან დაურეკავს და თავისთან დაუბარებია - კოკოშკოვს პირველ რიგში აინტერესებდა, ნომერში იყო თუ არა მოთამაშე...

როცა დისციპლინაზე ვლაპარაკობთ, **ნიკა ცქიტიშვილის** ამბავიც უნდა გავიხსენოთ. იგი ნაკრებს ლუქსემბურგთან მატჩის წინადღეს შეუერთდა. შეიძლება, მიზეზი ვიზასთან დაკავშირებული პრობლემა იყო, მაგრამ შეიძლებოდა, მწვრთნელს ნიკასთვის ეთქვა: შენ რომ დაგიმატო, ის უნდა ამოვაგდო, ვინც მთელი შეკრების განმავლობაში ოფლი ღვარაო... ან კენ შილდსივით მოქცეულიყო და ცქიტოსთვის ეთქვა: ახლა შემოგვიერთდი, ივარჯიშე და თუ პლეიოფში გავედით, იქ დაგვჭირდებიო...

იგორ კოკოშკოვმა ყველა სვლა გათვალა და ის ნაბიჯი გადადგა, რაც ნაკრებისთვის იყო სასარგებლო: ნიკა შემადგენლობაში ჩასვა. მასაც კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს დასაკარგი კალათბურთელები არ ჰყავს. თავად განსაჯეთ: ცქიტომ ბელარუსში მეოთხე პერიოდის ერთ ეპიზოდში 46 წამში ორი სამქულიანი, ერთი ორიანი ჩააგდო და სხვაობა 21 ქულამდე გაზარდა. ეს გახლდათ 10 მატჩში საქართველოს ნაკრების ყველაზე მნიშვნელოვანი გაქცევა.



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

### ■ რეზერვისტები

ამ სტატიაზე მუშაობის დაწყებამდე 2004 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია გადავიკითხე, რომელშიც დრაჟენ ბრაიკოვიჩის ნაკრებიდან წასვლას ვითხოვდით. საინტერესოა, რომ ის უარყოფითი კომპონენტები, რაც ხორვატ მწვრთნელს ჰქონდა, სერბს პლუსად ექცია.

დრაჟენ ბრაიკოვიჩმა მაკედონიაში მარკოიშვილის, ცინცაძისა და უილიამსის შეცვლა ვერ გაბედა (40-40 წუთი). დაღლილობის გამო გადამწყვეტ მომენტში მათი სარგებლიანობა დაქვეითდა და სკოპიეში ამიტომაც დავმარცხდით. ბრაიკოვიჩი მხოლოდ 6 კაცით ცდილობდა ფონს გასვლას. გორდონ ჰერბერტმა სასტარტო შემადგენლობაში **ანატოლი ბოისას** დაყენებით დაგვანახვა, რომ საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთელებსაც ენდობოდა. მან **ლაშა გამყრელიძესაც** საკმარისი სათამაშო დრო გამოუყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ისიც ვერ აკეთებდა თამამ შეცვლებს. მაგალითად, ავსტრიაში ჰერბერტმა ცინცაძე და სანიკიძე სათადარიგოთა სკამზე თითო შეცდომის გამო დასვა. და მატჩის ბოლომდე არ გამოუყენებია. ჰერბერტიც 6-6 კაცს ეყრდნობოდა.

2007 წელს გამოვაქვეყნეთ სტატია, რომელშიც კალათბურთელთა სანაკრებო მონაგარს საკლუბო მაჩვენებლებს ვადარებდით. მოთამაშეებს ნაკრებში ერთიორად უარესი სტატისტიკა აღმოაჩნდათ. ასე რომ, არათუ სათადარიგოები, შესაძლებლობებს სრულად ძირითადის კალათბურთელებიც ვერ ავლენდნენ.

იგორ კოკოშკოვმა კი ყველა კალათბურთელი ბოლომდე გამოიყენა და მათგან მაქსიმუმი გამოწურა. მან შექმნა სქემა, რომლითაც ათივე მატჩისას ხელმძღვანელობდა: პირველი ათწუთეულის ბოლოს თითქმის მთელ შემადგენლობას ცვლიდა და მეორეს სათადარიგოები იწყებდნენ. მესამე პერიოდს კვლავ სასტარტოები იწყებდნენ, თუმცა მეოთხედს რეზერვისტები ასრულებდნენ. მეოთხე პერიოდის დადგომასთან ერთად მოედანზე ნელ-ნელა შემოდიოდა დამრტყმელი ძალა - ფაჩულია, ბოისა, ელისი, სანიკიძე და ცინცაძე გადამწყვეტ წუთებს დასვენებულები ხვდებოდნენ და ამიტომაც ჩავამთავრეთ ყველა მატჩი დამაჯერებლად.

თავის მხრივ, ნიკა ცქიტიშვილმა, კოტე ტულუშმა, ლაშა გამყრელიძემ, გიორგი შერმადინმა, ანატოლი ბოისამ კარგად იცოდნენ, რომ შეიძლებოდა, პირველივე ტაიმში მოედანზე შესულიყვნენ, რისთვისაც ფსიქოლოგიურად მზად იყვნენ. ამიტომაც მათ სასტარტოებზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდათ. ტულუშმა ბელარუსთან თბილისში 16 წუთში 13 ქულა ჩააგდო, ხოლო შერმადინმა ლუქსემბურგთან 10 წუთში 11 ქულა, ხოლო შვედეთთან 9 წუთში - 7.

### ■ პირველი შეტევა

წინა ქვეთავში დაწერილის მიხედვით ნათელია, რომ საქართველოს ნაკრების თითოეულ კალათბურთელს თავისი ფუნქცია ჰქონდა. თუმცა მწვრთნელი არავის ზღუდავდა. მაგალითად, ვლადიმერ ბოისამ ბელარუსში 5-დან 4 სამქულიანის ჩაგდების შემდეგ მითხრა: ერთ-ერთი საკლუბო მწვრთნელი მეუბნება, შენი სამქულიანები არ მჭირდებაო...

კოკოშკოვი კი შესანიშნავად იყენებს ქართველი კალათბურთელების უნივერსალიზმს. როცა თამაშის ფარქვეშ გადატანა დასჭირდა, ბოისა და სანიკიძე ფაჩულიას წაახმარა; ბელარუსთან განმეორებით მატჩში კი მეტოქემ ფარქვეშ თამაში რომ გააფუჭა, გუნდი სამქულიან ტყორცნებზე გადააწყო და პირველ ტაიმში 6 შორეული ტყორცნა გამოვიყენეთ (ბოისა, ცქიტიშვილი, ელისი (2), ტულუში, სანიკიძე)...

2004 წლის სტატიაში („ბატონო დრაჟენ, გმადლობთ, მშვიდობით!") ბრაიკოვიჩს ზედმეტად აკადემიურ კალათბურთში ვადანაშაულებდით: მან არ იცის, რომ ქართული კალათბურთის მთავარი პლუსი სწრაფი თამაში და შეტევის პირველ ფაზაში დაგვირგვინებააო.

იგორ კოკოშკოვის ნაკრები ყველაზე სახიფათო სწორედ პირველი შეტევისას იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, საკუთარ ნახევარზე ბურთს ცქიტიშვილი დაეუფლებოდა, ბოისა, ფაჩულია თუ სანიკიძე (უკანახაზელებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), ყველა ბურთიანად წინ სწრაფად მიიწევდა და ამიტომაც ვიხილეთ არაერთი ეფექტური დრიბლინგი და ჩატენვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამჟამინდელ ნაკრებს ტემპის რეგულირება შესანიშნავად შეუძლია. ზოგჯერ იმდენად აჩქარდებოდა, რომ მეტოქე მწვრთნელები წუთშესვენების აღებას ვერ ასწრებდნენ.

...ხოლო იგორ კოკოშკოვს წუთშესვენებების აღება არ ეშლებოდა. ვერც ერთი კრიტიკოსი ვერ იტყვის: იგორმა ესა თუ ის წუთშესვენება დააგვიანა ან შეცვლა არასწორად გააკეთაო.

ბოლოს ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მწვრთნელს ნაკრებში მუშაობა კალათბურთელთა ზრდამაც გაუიოლა: მოთამაშეები დაღვინდნენ და მიხვდნენ, რომ მხოლოდ დისციპლინით, მწვრთნელის დაჯერებით და ერთ მუშტად შეკვრით მოახერხებდნენ ელიტაში გადასვლას.

### ■ და ბოლოს...

გამოგიტყდებით, მწვრთნელის საქებარი სტატია პირველად დავწერე. შეიძლება, ზედმეტებიც მომივიდა, მაგრამ რა ვქნა, 2004 წლის შემდეგ მწვრთნელთა საქმიანობას ყოველწლიურად ვაფასებ და ყოველთვის წარუმატებელი გუნდის დამარცხებულ მწვრთნელზე მიწევდა წერა. ამან კი გადაგვარჩინა, ეგორმა!

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

ინტერვიუ მალხაზ ურჯუკაშვილთან

# მახო, მეკო და ფიჟაკი



**საქართველოს მორაგბეთა ნაკრების გარემარბ მალხაზ ურჯუკაშვილს ბოლო ხანს ფატალურად არ უმართლებს. ჯერ იყო და, წელიწად-ნახევარზე ცოტა მეტი ტრავმის გამო გაუცდა. მერე, რომ გამოჯანმრთელდა, ნელნელა ფორმაში შევიდა, თამაშიც დაიწყო და ის იყო საკლუბო კარიერაში აღმასვლა უნდა დაწყებულიყო, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ფრანგული სარაგბო კლუბების ხაზინა საგრძნობლად შეათხელა. მახოს ელიტური, მეორე დივიზიონის „ორიაკის" დატოვებამ მოუწია და ფედერალ 2 დივიზიონის „ფიჟაკში" „გადაიხვეწა".**

- ილბალი არ მწყალობს. ფინანსურმა კრიზისმა სერიოზულად მაზარალა – „ორიაკთან" კონტრაქტი დამიმთავრდა. ახალ პირობებზე ვერ შევთანხმდით. ძალიან ცოტა შემომთავაზეს. თავად განსაჯეთ, ჩემი ამპლუის ორი მორაგბე აიყვანეს, რომლებსაც ჯამში იმდენს უხდიან, რამდენსაც მარტო მე მიხდიდნენ. ასეთ მცირე ანაზღაურებაზე ვერაფრით დავთანხმდებოდი.

**- „ორიაკში" დარჩა მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი. მას როგორი პირობები შესთავაზეს?**

- „ჩაქუჩას" ორწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, რომლის თანახმად „ორიაკში" კიდევ ერთი წელი უნდა ითამაშოს. შარშანდლისგან განსხვავებით, წლეულს მისი საქმე გუნდში საგრძნობლად გაუმჯობესდა. გასულ სეზონში საერთოდ არ ათამაშებდნენ. ახლა კი რეგულარულად თამაშობს და ძირითად შემადგენლობაშიც ხშირად აყენებენ.

**- „ფიჟაკი" ფედერალ 2-ის გუნდია. როგორი პირობები და რა მიზნები აქვს?**

- „ფიჟაკი" დაბალი დონის გუნდია. თუმცა ფინანსურად ნორმალურადაა უზრუნველყოფილი და აქ კარგად ვგრძნობ თავს. წლეულს აპირებენ, ფედერალ 1-ის საგზური მოიპოვონ. მოსამზადებელ პერიოდში ოთხი შეხვედრა გავმართეთ. „ტულუზის" ესპუარები და ფედერალ 2-ში მოასპარეზე „ვილფრანში" დავამარცხეთ. ფედერალ 1-ის ორ გუნდთან კი მარცხი ვიწვნიეთ, თუმცა არც ეს თამაშები იყო წასაგები. მწვრთნელი შემადგენლობას ხშირად ცვლიდა. უნდოდა, ყველა ენახა საქმეში, თანაც საჯარიმოებს არ ვურტყამდით, მხოლოდ ლელოს გატანაზე გვქონდა აქცენტი გადატანილი.

**- როგორც ვიცით, თქვენ გარდა „ფიჟაკში" სხვა ქართველი მორაგბეებიც არიან?**

- დიახ, მერაბ კვირიკაშვილზე გუნდის ხელმძღვანელები დიდ იმედებს ამყარებენ. სამწუხაროდ, ერთ-ერთი სავრთნელი შეხვედრისას მან მხარი დაიზიანა. როგორც ექიმებმა უთხრეს, ერთი თვე მკურნალობა დასჭირდება.

კიდევ ერთი ქართველი, მესამეხაზელი დიმა პავლოვი ამჟამად რუსეთშია და კრასნოიარსკის „ენისეიში" ასპარეზობს. „ფიჟაკს" თვის ბოლოს შემოუერთდება.

**- უკვე თქვით, რომ „ორიაკთან" კონტრაქტი დაგიმთავრდათ და ამის გამო გუნდის დატოვება მოგიხდათ. ამ მხრივ „ფიჟაკში" როგორი მდგომარეობაა?**

- „ფიჟაკთან" კონტრაქტი არ მაქვს. ეს არ არის პროფესიული გუნდი და კონტრაქტებს არ აფორმებს. ფაქტობრივად, სიტყვიერად ვართ შეთანხმებული. ასე რომ, ისე გამოდის, ნებისმიერ დროს შეუძლიათ გუნდიდან გამიშვან.

**- შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ გუნდიდან წამოსვლაზე პრობლემები შეგექმნებათ?**

- დიახ, პრობლემები შემექმნება, მაგრამ ვეცდები, მოვაგვარო. როცა მოლაპარაკებას ვაწარმოებდი, „ფიჟაკის" ხელმძღვანელებს ვუთხარი, ერთა თასზე ნაკრებს ხუთი თამაში აქვს, აქედან სამი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული იქნება - რუმინეთის, პორტუგალიის და რუსეთის ნაკრებებთან. ამ სამ თამაშზე აუცილებლად უნდა წავიდე-მეთქი. დავითანხმე. არადა, გაისად ერთა თასზე მართლაც ძალიან რთული მატჩები გველის. მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპია და ყველა გუნდი, ვისაც ზელანდიაში მოხვედრის შანსი აქვს, მაქსიმალურად, ბოლომდე იბრძოლებს. რუმინეთის ნაკრები გაცილებით ძლიერ შემადგენლობას გამოიყვანს, ვიდრე წლეულს ჰყავდა. იქ რაგბის კავშირში ახალი ხელმძღვანელობა მივიდა და ყველა სახელოვანი რუმინელი მორაგბე დააბრუნეს, შემოირიგეს. ხელწამოსაკრავი არც პორტუგალია და რუსეთი იქნებიან.

**- ეს რაც შეეხება მომავალ წელს გასამართი ერთა თასის გათამაშებას. მანამდე კი, ნოემბერში ბორჯღალოსნები ორ შეხვედრას გამართავენ არგენტინისა და იტალიის A ნაკრებებთან.**

- აქ კი პრობლემა ბევრად სერიოზულად შემექმნება. ნაკრების თამაშის თარილი კლუბის თამაშებს ემთხვევა. არადა, ძალიან მინდა, მაგ შეხვედრებში მონაწილეობა მივიღო. ნაკრებში თამაში სულ სხვაა - სხვა ემოცია და სიხარულია. გულშემატკივრისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს, ნაკრებში თამაშს კლუბში თამაშს რატომ ამჯობინებსო. არ ვამჯობინებ. უბრალოდ, იძულებულნი ვართ, ასე მოვიქცეთ. ჩვენ აქ ვცხოვრობთ, ამათით ვარსებობთ, თუმცა ყველანაირად ვეცდებით, რომ ნოემბერში მე და მეკო თითო თამაშზე მაინც ჩამოვიდეთ. მთავარი კი მაინც მომავალი წლის ერთა თასია და ყველა ღონეს ვიხმართ, ისეთივე წარმატებით ვითამაშოთ, როგორც წლეულს.

ბესიკ ჯანგავაძე

ლეგიონერები

# ჩირგაძის და შვანგირაძის ბოლო შანსი

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგაში რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა, მე-9 ტურის შეხვედრები გაიმართა. პლეი ოფის ოთხი მონაწილიდან სამი ცნობილია: ვვა, „ენისეი" და „კრასნი იარი". დარჩენილ ერთ ადგილზე კი, მოსკოვის „სლავასთან" ერთად პრეტენზიას **ზაზა ჩირგაძისა** და **ზაზა შვანგირაძის** „პენზაც" აცხადებს.

მეცხრე ტურში პენზაში ერთმანეთის პირისპირ სწორედ ეს გუნდები წარდგნენ. მასპინძლებმა მოსკოველები ურთულეს ბრძოლაში 13:6 დაამარცხეს. „პენზას" შემადგენლობაში ორივე ქართველმა სრულად ითამაშა და შეხვედრაში ერთადერთი ლელო ჩირგაძის ანგარიშზეა.

„პენზას" ამ გამარჯვების შემდეგ რეალური შანსი გაუჩნდა, პლეი ოფში გასასვლელად იბრძოლოს. საამისოდ ამისათვის ბოლო ტურში პენზელებმა შინ ვვა უნდა დაამარცხონ, ხოლო „სლავა" კრასნოიარსკის „კრასნი იართან" უნდა დამარცხდეს.

თავად იარელები, რომელთა შორის ერთადერთი გამორჩეული მორაგბე მგეზავი **თემურ სოხაძეა**, დიდი ანგარიშით - 7:42 დამარცხდნენ **რატი ურუშაძისა** და **დიმა პავლოვის** „ენისეისთან". ურუშაძემ და სოხაძემ სრულად ითამაშეს. პავლოვი თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

დიდი ანგარიშით - 7:55 დამარცხდა მონინოში ვვა-ისთან **ბექა ყურაშვილის**, **ვალერი** და **გრიგოლ ცნობილაძეების** ნოვოკუზნეცკის „სმენა". სამივე ქართველმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.



რუსეთი. სუპერლიგა: IX ტური: ვვა-სმენა 55:7, ენისეი-კრასნი იარი 42:7, პენზა-სლავა 13:6.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ვვა - 16 ქულა; 2. ენისეი - 16; 3. კრასნი იარი - 10; 4. სლავა - 6; 5. პენზა - 4; 6. სმენა - 2.

ბესიკ ჯანგავაძე

სუმოს სამყარო

აკი ბაშო. 13-27 სექტემბერი



ტოჩინოშინისა (მარჯვნივ) და ასაშორიუს ორთაბრძოლა

# დიდ ჩემპიონებამდე ბევრი გვიკლია

გუშინ სუმოს მექა „კოკუგიკანში" ელიტის ორივე ქართველმა წააგო. 21 წლის **ლევან გორგაძეს** აკი ბაშოზე ურთულესი გამოცდის ჩაბარება უწევს, ყველაზე ახალგაზრდა ელიტელი რიგრიგობით ხვდება ჩემპიონებს და დიდ ჩემპიონებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალზე წარუმატებლად - **ტოჩინოშინის** საბრძოლო სახელით მოასპარეზე სუმოისტმა ზედიზედ მესამე ორთაბრძოლა წააგო და, მეტოქის ვინაობის გათვალისწინებით, უკეთესი შედეგი არც დღევანდელ შეხვედრაში ელის. გუშინ ტოჩინოშინის მეტოქე მონღოლი იოკოძუნა **ჰაკუჰო** იყო, იმპერატორის თასის ამჟამინდელი მფლობელი. მონღოლის უპირატესობა აშკარა იყო, მან ერთი ამოსუნთქვით გაიყვანა ქართველი დოჰიოდან. ოფიციალურად იორიკირის ნაცვლად იორიტაოში დაფიქსირდა, რადგან ლევანმა დოჰიოდან გასვლამდე თავი ვერ შეიკავა და დაეცა.

დღეს ტოჩინოშინის მეტოქე ბულგარელი ოძეკი, 203 სმ სიმაღლის **კოტოოშუა**. აღმოსავლეთევროპული დაპირისპირება გულშემატკივართა დიდ ინტერესს კი იწვევს, მაგრამ კოტოოშუ უეჭველი ფავორიტია. ლევანი კოტოოშუს ერთხელ შეხვდა და სუკუინაგეს ილეთით წააგო.

**ლევან ცაგურიამ (კოკაი)** აკი ბაშოზე პირველი მარცხი იგემა, მან იორიკირით წააგო ელიტის ყველაზე დაბალი რანგის ფალავან **მასაცუკასასთან**. კოკაის 2-1 ბალანსი აქვს. დღეს ჩვენებური მე-15 მაეგაშირა **იოშიკაძეს** შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულების შემთხვევაში, კოკაი მაკუუჩის დივიზიონიდან გავარდება. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოჭიდავე **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** თავის მეორე შეხვედრას დღეს გამართავს, მისი მეტოქე მაკუშიტას მე-9 ნომერი **ნაკანოა**. გაგამარუს 1-0 ბალანსი აქვს.

აკი ბაშოზე დაუმარცხებლად 8 რიკიში ლიდერობს, მათ შორისაა ორივე დიდი ჩემპიონი, ჰაკუჰო და **ასაშორიუ**. პირველმა თუ ქართველ ოპონენტს აჯობა, მეორემ სასტარტო დაჯახებისას ერთი სილის გაწვნით დააგდო 187-კილოიანი **მიაბიამა**. 3-3 მოგებები აქვთ: კოტოოშუს, **კოტომიცუკის**, **კაკურიუს**, **ივაკიამას**, **კაკიძოეს** და მასაცუკასას.

| III დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (ი)-ტოჩინოშინი (მ1) | იორიტაოში |
| ასაშორიუ (ი)-მიაბიამა (მ1) | ჰიკიოტოში |
| ჰარუმაფუჯი (ო)-კოტოშოგიკუ (ს) | ცუკიჰიზა |
| კაიო (ო)-ამინიშიკი (ქ) | ჰიკიოტოში |
| ბარუტო (ქ)-ჩიოტაიკაი (ო) | იორიკირი |
| კოტოოშუ (ო)-შოტენრიუ (მ2) | იორიკირი |
| კოტომიცუკი (ო)-ტამანოშიმა (მ3) | იორიკირი |
| კისენოსატო (ს)-კიოკუტენჰო (მ2) | იორიკირი |
| კაკურიუ (მ3)-ასასეკირიუ (მ6) | იორიკირი |
| ჰომაშო (მ6)-ტოიონოშიმა (მ4) | ოშიდაში |
| ტოკიტენკუ (მ4)-ტაკეკაძე (მ5) | ოშიტაოში |
| არანი (მ7)-გოეიდო (მ5) | შიტატენაგე |
| ტაკამისაკარი (მ7)-მოკონამი (მ9) | ცუკიოტოში |
| ივაკიამა (მ8)-შიმოტორი (მ8) | იორიკირი |
| კაკიძოე (მ11)-ტოიოჰიბიკი (მ9) | ოშიდაში |
| ტოჩიოძანი (მ12)-ტოსაიუტაკა (მ10) | ჰიკიოტოში |
| ბუშუიამა (მ10)-ტამაასუკა (მ13) | იორიკირი |
| ჰოკუტორიკი (მ14)-კასუგაო (მ11) | ოშიდაში |
| ტოჩინონადა (მ12)-იოშიკაძე (მ15) | იორიკირი |
| ვაკანოსატო (მ13)-ფუტენო (მ15) | ჰატაკიკომი |
| მასაცუკასა (M16)-კოკაი (მ14) | იორიკირი |

შენიშვნა: მარცხნივ გამარჯვებული რიკიში

| IV დღე | |
|---|---|
| კოკაი (2-1) | იოშიკაძე (1-2) |
| ტამაასუკა (1-2) | ჰოკუტორიკი (1-2) |
| ტოჩიოძანი (2-1) | მასაცუკასა (3-0) |
| კაკიძოე (3-0) | ფუტენო (0-3) |
| ვაკანოსატო (2-1) | კასუგაო (2-1) |
| ტოჩინონადა (1-2) | ტოიოჰიბიკი (0-3) |
| ბუშუიამა (2-1) | შიმოტორი (0-3) |
| ტოსაიუტაკა (1-2) | ტაკამისაკარი (2-1) |
| მოკონამი (1-2) | ჰომაშო (2-1) |
| ივაკიამა (3-0) | ტაკეკაძე (2-1) |
| ტოიონოშიმა (1-2) | არანი (2-1) |
| ასასეკირიუ (0-3) | ტოკიტენკუ (1-2) |
| გოეიდო (1-2) | კაკურიუ (3-0) |
| კისენოსატო (2-1) | ამინიშიკი (0-3) |
| ჰარუმაფუჯი (2-1) | ტამანოშიმა (0-3) |
| მიაბიამა (0-3) | კოტომიცუკი (3-0) |
| კოტოოშუ (3-0) | ტოჩინოშინი (0-3) |
| ჩიოტაიკაი (1-2) | კოტოშოგიკუ (2-1) |
| ბარუტო (2-1) | კაიო (2-1) |
| ჰაკუჰო (3-0) | კიოკუტენჰო (1-2) |
| შოტენრიო (0-3) | ასაშორიუ (3-0) |

ქართველთა დღევანდელი მეტოქეები

ტოჩინოშინი კოტოოშუ 0:1

კოტოოშუ (ბულგარეთი)



ოძეკი;
26 წლის;
203 სმ და 153 კგ;
ბალანსი 345-180

კოკაი იოშიკაძე 4:5

იოშიკაძე



მე-15 მაეგაშირა;
27 წლის;
176 სმ და 137 კგ;
ბალანსი 225-208

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

ინტერვიუ კიმ კლაისტერსთან



# უბრალოდ, გამიმართლა

ქალთა ტურნირის ტრიუმფატორი კიმ კლაისტერსი ნიუ იორკში თავის ახალგაზრდა ოჯახთან და მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად ჩავიდა. ურეიტინგო, მაგრამ გამოცდილმა ბელგიელმა საყვარელ საფარზე - ამერიკულ ჰარდზე ნამდვილი ფურორი მოახდინა. ტურნირის წინ კიმი მოკრძალებულად აფასებდა საკუთარ შანსს, მაგრამ ფინალისკენ მიმავალ გზაზე კლაისტერსი გახდა პირველი ჩოგბურთელი მსოფლიოში, ვინც უკვე მეორედ ერთ ტურნირზე ორივე უილიამსი დაამარცხა. ამის შემდეგ ფინალში დანიელი „პრინცესას" კაროლინ ვოზნიაცკის დამარცხება ტექნიკის საქმე იყო.

**- თქვენი მიღწევის მასშტაბურობიდან გამომდინარე, შეგიძლიათ აღწეროთ, რას გრძნობს ახლა თქვენი სხეული, გონება და გული...**

- ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არარეალურად მეჩვენება, რადგან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ სამი ტურნირი ვითამაშე და უკვე „დიდი სლემის" ჩემპიონატის გამარჯვებული გავხდი. ეს გამარჯვება დაგეგმილი არ ყოფილა. უბრალოდ, ჩამოვედი აქ, რათა გამეხსენებინა დიდი ტურნირებისთვის დამახასიათებელი ატმოსფერო და მომავალ წელს აღარ დამჭირვებოდა აკლიმატიზაცია. რა თქმა უნდა, უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს. მაგრამ ჯერ ბევრი რამ გაუაზრებელი რჩება, რადგან ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში.

**- 18 თვის წინ, როდესაც ქალიშვილი გააჩინეთ, ვინმეს თქვენთვის საავადმყოფოში რომ დაერეკა და ეთქვა - წელიწად-ნახევრის შემდეგ კორტზე იდგებითო - რას უპასუხებდით?**

- ყურმილს უპასუხოდ დავკიდებდი. ჩოგბურთში დაბრუნების იდეა ამ წლის დასაწყისში გაჩნდა, 18 თვის წინ კი ასეთი რამ გონებაშიც არ გამივლია. მაშინ მხოლოდ შვილი და ოჯახი მაინტერესებდა.

**- ამ ტურნირის მსვლელობისას რა მომენტში გაიფიქრეთ: „მე ვაპირებ ამერიკის ღიას მოგებას"?**

- ვენუს უილიამსის წინააღმდეგ თამაშისას კარგი განწყობა შემექმნა, რადგან მივხვდი, რომ ვუძლებდი იმ ტემპს, რომელსაც დები უილიამსები სთავაზობენ მეტოქეებს. ბევრი ჩოგბურთელი ამას ვერ ახერხებს. მაგრამ ამის მიუხედავად, გამარჯვებაზე ბოლო მომენტამდე არ ვფიქრობდი. ფინალის დროსაც არ გამივლია ეს გონებაში, რადგან ვოზნიაცკი განსხვავებული ყაიდის მოთამაშეა, ვიდრე ვენუსი ან სერენა - ბურთს ძალიან ძლიერად ურტყამს და შეცდომას არ უშვებს. თანაც წარსულის გამოცდილებიდან ვიცი, რომ გამარჯვებაზე ფიქრი კონცენტრაციას გაკარგვინებს.

ვოზნიაცკის წინააღმდეგ ის თამაში ვერ ვაჩვენე, როგორიც სერენასთან მატჩში, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ფინალის დროს ზედმეტად ვინერვიულე. მიუხედავად ამისა, მაინც მოვიგე და ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- შეგიძლიათ შეადაროთ თქვენი ახლანდელი განცდები იმას, რაც ჩოგბურთიდან წასვლის დროს გქონდათ?**

- მაშინ ნაკლები კონცენტრაცია არ მქონია. ისეთ ასაკში შევედი, როცა ტრავმების შემდეგ ჩოგბურთზე ასი პროცენტით კონცენტრირებული არ ვიყავი. როგორც ქალი, ჩემი ცხოვრების იმ ეტაპამდე მივედი, როცა ოჯახის შექმნის სურვილი გიჩნდება. ძალიან გამიმართლა, რომ სწორედ ახლა მომეცა აქ დაბრუნების შესაძლებლობა. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ ვგრძნობდი ამ არჩევანის სისწორეს. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, როგორც დედას ერთადერთი პრიორიტეტი მაქვს, როგორც მეუღლეს კი... უბრალოდ, გამიმართლა, რომ შემიძლია ერთმანეთს შევუთავსო საკუთარი ვალდებულებები და ოჯახი ამაში ძალიან მეხმარება.

**- როჯერ ფედერერი აცხადებს, რომ იქამდე აპირებს ჩოგბურთის თამაშს, სანამ მისი შვილები ჩოგბურთელები არ გახდებიან. თქვენც ასევე ფიქრობთ?**

- არ ვიცი. ამაზე არასოდეს მიფიქრია. ჩვენ არ განვეკუთვნებით მშობელთა იმ ტიპს, რომლებსაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ, რომ მათმა შვილმა ჩოგანი უნდა დაიჭიროს ხელში და აუცილებლად დიდი ჩოგბურთი ითამაშოს. ბუნებრივია, გვინდა, რომ ჩვენმა შვილმა თავისი გატაცება იპოვოს, იქნება ეს სპორტი, მუსიკა თუ სხვა რამ. ჩვენ ვალდებულნი ვართ მივიღოთ მისი არჩევანი, როგორიც უნდა იყოს ის.

**- როდის იყო ქალთა ტურში უფრო დიდი კონკურენცია - მაშინ, როცა პირველად წახვედით ჩოგბურთიდან თუ ახლა? შეიძლება ითქვას, რომ წელს ფინალში უფრო ადვილად გახვედით, ვიდრე 2005 წელს?**

- მახსოვს რამდენიმე წლის წინ, როცა მე და ჟუსტინი ვთამაშობდით ერთმანეთში ან დები უილიამსები არკვევდნენ ურთიერთობას, ხალხი ჩიოდა, რომ ერთი და იგივე მეორდებოდა. ამიტომაც, ჩემი აზრით, კარგია, რომ დღეს ტურში ხშირად ჩნდებიან ახალი მოთამაშეები, რომელთაგანაც ზოგიერთი ძალიან ნიჭიერია. ქალთა ჩოგბურთს ამ მხრივ პრობლემები არ შეექმნება.

ჩემი აზრით, ვოზნიაცკი ბრწყინვალე ჩოგბურთელია და დიდი მომავალი ელოდება. ძალიან ჭკვიანი გოგოა და ეს ფინალში მის თამაშსაც ეტყობოდა. მას არ ახასიათებს მხოლოდ ძალაზე დამოკიდებული ჩოგბურთი და კორტზე აშკარად აზროვნებს. სწორედ ეს სჭირდება დღეს თანამედროვე ჩოგბურთს.

აშშ-ის ღია პირველობა

# ფედერერი ხუთ სეტში დაამხეს

ზედიზედ მეორე წელია ამერიკის ღია პირველობაზე კაცების ფინალი ორშაბათს გაიმართა. შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ლეგენდარული ამერიკელის **ბილ ტილდენის** რეკორდის გამეორების შანსი ჰქონდა, რომელმაც 1920-25 წლებში ზედიზედ ექვსჯერ მოიგო აშშ-ის ღიას მთავარი პრიზი. რაც შეეხება შვეიცარიელის მეტოქე **ხუან მარტინ დელ პოტროს**, მისი ოცნება იყო აშშ-ის ღია პირველობის მეორე არგენტინელი გამარჯვებული გამხდარიყო. პირველი **გილერმო ვილასი** გახლდათ, რომელმაც ამერიკა 1977 წელს დაიპყრო, თუმცა მაშინ კორტის საფარი თიხნარი იყო.



ამ ჩოგბურთელების პირველი ხუთი შეხვედრა გასახსენებლად არც ღირს, რადგან კორტზე ბრძოლა არ ყოფილა - დელ პოტრომ ვერც ერთი სეტი ვერ აიღო, ხოლო წელს ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში ორი პარტია მშრალი ანგარიშით წააგო. რაც შეეხება მათ ბოლო შეხვედრას, რომელიც როლან გაროსის ნახევარფინალში გაიმართა, როჯერს ძალიან გაუჭირდა - შვეიცარიელმა მხოლოდ ხუთ სეტში გაიმარჯვა.

გუშინდელი ფინალური მატჩი ბევრი რამით ჰგავდა პარიზულ შეხვედრას. მაგალითად, ორივე შემთხვევაში წაგებულმა პირველი და მესამე სეტი მოიგო, მეორე კი ტაი-ბრეიკზე დათმო. მაშინ დელ პოტრომ დაიწყო აქტიურად შეხვედრა, ამჯერად კი ინიციატივა თავიდან ფედერერმა მოიპოვა - ეფექტურად უტევდა და ბადესთანაც ხშირად გადიოდა. შედეგად პირველივე გეიმში ბრეიკი მოიპოვა და შემდეგაც ჰქონდა უპირატესობის გამყარების შანსი - 5:2-ზე მიღებისას სამი სეტ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ეს გეიმი არგენტინელმა გადაარჩინა, თუმცა ფედერერმა თავის მოწოდებაზე იოლად აიღო სეტი - 6:3.

მეორე პარტია ორივემ შედარებით სუსტად ჩაატარა, ვიდრე პირველი - გაცილებით ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. ყველაფერი ხუან მარტინის უზუსტობებით დაიწყო - თავიდან თამაშში ორჯერ შეცდა და ამას ორი ორმაგი შეცდომაც დაუმატა, რამაც როჯერს ბრეიკი მოუტანა. იქვე დელ პოტროს მიეცა სტატუს კვოს აღდგენის შანსი, მაგრამ ფედერერმა სამი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა. არგენტინელის ყოველ მოწოდებაზე შვეიცარიელს ბრეიკ-პოინტები ჰქონდა, მაგრამ დელ პოტრო ახერხებდა საკუთარი გეიმების გადარჩენას და პარტიისთვის ინტრიგის შენარჩუნებას. ამან გაამართლა - სეტის ბოლოს სამხრეთამერიკელმა მაინც მოახერხა საპასუხო ბრეიკის გაკეთება, თანაც იმ დროს, როცა ფედერერი 30:0 იყო დაწინაურებული. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ყველაფერი ფედერერის ერთადერთმა შეცდომამ გადაწყვიტა მის მოწოდებაზე. შემოკლებულ გეიმში მინიმალური უპირატესობით დელ პოტრომ მოიგო.

მესამე სეტის დასაწყისში დელ პოტროს მცირე უპირატესობა გამოიკვეთა - ის დამაჯერებლად იღებდა თავის გეიმებს, როჯერს კი ბრეიკ-პოინტების მოგერიება უხდებოდა. ამ სიტუაციაში ხუან მარტინის ბრეიკი ლოგიკური ჩანდა, თუმცა სულ მალე არგენტინელმაც წააგო თავისი მოწოდება, 4:5-ზე კი სეტის ბოლო ჩააგდო - „თანაბარზე" ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა გააკეთა.

ასეთი დასანანი წაგების შემდეგ ბევრი ჩოგბურთელი გატყდებოდა, მაგრამ ხუან მარტინმა ხელები არ ჩამოუშვა და ბრძოლა გააგრძელა. თუმცა მეოთხე პარტიის სტარტზე არგენტინელმა კინაღამ საბოლოო დარტყმა მიიღო - ის ახლო იყო საკუთარი მოწოდების ზედიზედ მესამედ წაგებასთან, მაგრამ გეიმი ორი ბრეიკ-პოინტიდან გადაარჩინა. მას ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ შემდეგ გეიმშიც მოუწია, რის შემდეგაც მოულოდნელად ფედერერმა ნულზე წააგო თავისი მოწოდება. ამის შემდეგ ხუან მარტინი თითქოს ათამაშდა, მაგრამ როჯერმაც მოუმატა და ბრეიკი დაიბრუნა - 4:4. ასეთი თამაში სეტის ბოლომდე გაგრძელდა: ხან ფედერერს ორი ბურთი აშორებდა საბოლოო გამარჯვებამდე, ხან ხუან მარტინი იყო ახლოს კიდევ ერთ ბრეიკამდე. ყველაფერი მეორე ტაი-ბრეიკით დასრულდა. და კვლავ სეტის ბედი ერთადერთმა მინი-ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც გეიმის დასაწყისში მეტოქეს ფედერერმა აჩუქა - ორმაგი შეცდომა დაუშვა.

მეხუთე სეტში თანაბარი ბრძოლა არ გამოვიდა. დელ პოტრომ თავიდანვე ბრეიკი გააკეთა, მომდევნო გეიმში კი ფედერერმა ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და ამის შემდეგ შვეიცარიელს მეტოქის გეიმის აღების შანსი აღარ ჰქონია. ჩოგბურთელები დამაჯერებლად იღებდნენ თავიანთ მოწოდებებს. მერვე გეიმში ხუან მარტინისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა - როჯერმა სამი უხეში შეცდომა დაუშვა, რომელმაც დელ პოტროს ორი მატჩ-პოინტი მისცა. მართალია, შვეიცარიელმა ორივე მოიგერია, მაგრამ ამას იქვე ორმაგი შეცდომა დაუმატა. დელ პოტრომ მესამე ცდაზე გამოიყენა მატჩ-პოინტი და კარიერაში პირველად მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი.

ასე გახდა ხუან მარტინი ნიუიორკული ჰარდის პირველი არგენტინელი დამპყრობელი. მან შეწყვიტა „ფლეშინგ მედოუს" კორტებზე ფედერერის 40-მატჩიან მოგებათა სერია. საინტერესოა, რომ აშშ-ის ღიაზე წინა მარცხი როჯერმა ასევე არგენტინელისგან - **დავიდ ნალბანდიანისგან** იგემა.

**კაცები**

**ფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგ, 6)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 3:6, 7:6(5), 4:6, 7:6(4), 6:2.

# სერენას ორი სლემით დასჯიან



ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილ ბებკოკმა** ESPN.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ განიხილავენ **კიმ კლაისტერსთან** ნახევარფინალური მატჩის დროს **სერენა უილიამსსა** და ხაზის მსაჯს შორის მომხდარ ინციდენტს.

„ამ ინციდენტთან დაკავშირებით დამატებით გამოძიებას ჩავატარებთ. ყველა მხარის დაკითხვას ვაპირებთ, ამიტომაც გამოძიება რამდენიმე კვირა გაგრძელდება. ჩვენ გვყავს მოწმეები, არსებობს ჩანაწერები, ასე რომ, მტკიცებულებებთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გვექნება. სასჯელი სერიოზული იქნება. უილიამსს, შესაძლოა, ჩამოერთვას ტურნირზე მოპოვებული საპრიზო თანხა, აგრეთვე დისკვალიფიკაცია მისცენ „დიდი სლემის" ერთ ან ორ ტურნირზე", - ამბობს ბებკოკი.

ერთადერთი მსგავსი ინციდენტი 1995 წელს უიმბლდონზე მოხდა, როცა ამერიკელმა **ჯეფ ტარანგომ** მატჩის მსვლელობისას მთავარ მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა და კორტი დატოვა. მას 63 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაუწესეს და „დიდი სლემის" ორ მომდევნო ტურნირზე თამაში აუკრძალეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. ევრობასკეტი 2009 || ჯგუფური ეტაპი

# საფრანგეთი დაუმარცხებელია

**E ჯგუფი**

**რუსეთი-მაკედონია 71:69**

14:10, 19:19, 16:20, 22:20

რ: მოზგოვი (25+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვორონცევიჩი (10), პონკრაშოვი (10+6 მოხსნა+7 პასი), მაკარტი (9+6 მოხსნა), ბიკოვი (8+5 მოხსნა), მონია (4), ფრიძონი (3), კურბანოვი (2).

მ: ანტიჩი (19+10 მოხსნა), ვ. სტეფანოვი (16), გეჩევსკი (16), მასეი (8), სტოიანოვსკი (7), ტასოვსკი (2), მირაკოვსკი (1).

ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა რუსეთმა მეორე ჯგუფური ეტაპი ასპროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა და ზედიზედ მეცხრედ მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორი ნაგების შემდეგ, რუსებისგან ასეთ წარმატებას არავინ ელოდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელის **დევიდ ბლატის** უნარიანი მეცადინეობით გუნდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს თამაშს. დაახლოებით ასე იყო ორი წლის წინ ესპანეთში, როცა რუსეთი სენსაციურად გახდა კონტინენტის საუკეთესო გუნდი. ვნახოთ ამჯერად თუ შეძლებენ ბლატის შეგირდები სასწაულის მოხდენას.

რუსეთმა მორიგი მძიმე მატჩი გადაიტანა და კვლავ ბოლო წამებზე გაინაღდა გამარჯვება. მართალია, ევროპის ჩემპიონი თითქმის მთელი მატჩი ლიდერობდა, მაგრამ ბოლო წამზე **მირაკოვსკის** ორქულიანი რომ ჩაეგდო, რუსეთს ოვერტაიმი და გართულებები არ ასცდებოდა.

**კირილენკოს, ხრიაპასა და ჰოლდენის** არყოფნაში რუსეთს ახალი ლიდერი გამოუჩნდა. ეს არის ცენტრი **ტიმოფეი მოზგოვი**, რომელმაც მაკედონიას 25 ქულა ჩაუგდო და ამას 11 მოხსნაც დაუმატა. მან თამაშიდან 17-ჯერ ისროლა და 11 ზუსტი გამოდგა.

**საფრანგეთი-საბერძნეთი 71:69**

18:21, 23:13, 15:19, 15:16

საფ: კოფი (14+6 მოხსნა), პარკერი (12), ბოკოლო (10), ტრაორე (10), ბატუმი (8), დე კოლო (6), ტურიაფი (4), დიო (3), ფ. პიეტრუსი (2), ჟანო (2).

საბ: სპანულისი (16), შორცანიდისი (12), ფოცისი (9), ბურუსისი (8+10 მოხსნა), კალატესი (7+3 ჩაჭრა), პერპეროგლუ (7+4 პასი), ცისისი (4), კაიმაკოგლუ (4), კალამპოკისი (2).

საფრანგეთმა უდანაკარგოდ გაიარა პირველი ორი ეტაპი და ფავორიტის სტატუსით გავიდა მეოთხედფინალში. საბერძნეთმა ოთხიდან სამი მეოთხედი მოუგო მეტოქეს, მაგრამ ძვირად დაუჯდა მეორე 10-წუთეულში ათი ქულით ნაგება და საბოლოოდ ორი ქულით დამარცხდა.

წესით და რიგით, ამ მატჩში ოვერტაიმი უნდა გვეხილა. საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე ბერძნების ლიდერმა **სპანულისმა** სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა - 69:69. ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წამი რჩებოდა, როცა თამაში თავის თავზე აილო **ნანდო დე კოლომ** და მისმა ორქულიანმა გამარჯვება მოუტანა საფრანგეთს.

საერთოდ, ამ მატჩის გმირები საფრანგეთის ნაკრების სათადარიგო მოთამაშეები გახდნენ. დე კოლომ გამარჯვების მომტანი ტყორცნა შეასრულა **ტრაორემ** და **ბოკოლომ** 10-10 ქულა დააგროვეს, ფრანგების რიგებში ყველაზე შედეგიანი კი წარმოშობით კოტდივუარელი **ალენ კოფი** გახდა. ფორვარდმა, რომელმაც წინა მატჩებში საშუალოდ 3.2 ქულა დააგროვა, ბერძნებს 16 ქულა ჩაუგდო. კოფი შარშან „ლე მანის" რიგებში თამაშობდა და საფრანგეთი ჩემპიონატის MVP გახდა, ამ ზაფხულს კი მან „ხუვენტუდთან" გააფორმა კონტრაქტი და ესპანეთის ჩემპიონატში გააგრძელებს კარიერას.

**გერმანია-ხორვატია 68:70**

19:20, 13:17, 18:12, 18:21

გ: შაფარტციკი (18), ფემერლინგი (15), იაგლა (11+5 მოხსნა), ჰამანი (8+7 პასი), შტაიგერი (6), შულტცე (5), ბენცინგი (3), გრინი (2).

ხ: უკიჩი (18), პოპოვიჩი (11), პლანინიჩი (11+4 პასი), ნიჩევიჩი (12+6 მოხსნა), ბანიჩი (7+7 მოხსნა), ლონჩარი (6), როგიჩი (3), კუსი (2), კასუნი (2).

ამ მატჩში ირკვეოდა E ჯგუფიდან მეოთხედფინალის ბოლო საგზურის მფლობელი, შესაბამისად ბრძოლაც დაძაბული გამოვიდა. ხორვატიამ ისეთ ტემპში დაიწყო შეხვედრა, რომ გერმანიას გაუჭირდებოდა მიზნის მიღწევა. სტარტზე ხორვატები 10:2 დაწინაურდნენ, მაგრამ მისმა მეტოქემ უკვე პირველ მეოთხედში მოახერხა წინ გასვლა.

მთელი მატჩი დაახლოების ასეთი სცენარით მიდიოდა - ხორვატია გარბოდა, გერმანია დაწევას ცდილობდა და ხანდახან ახერხებდა კიდეც ამის გაკეთებას. მაგალითად ბოლო მეოთხედის წინ ბუნდესნაკრები ერთი ქულით გავიდა წინ. შემდეგ ეს უპირატესობა სამი ქულამდე გაიზარდა - 57:54 და სწორედ აქ მიაყენა ხორვატიამ გადამწყვეტი დარტყმა მოწინააღმდეგეს. ხუთი წუთი გერმანიამ ქულა ვერ დააგროვა, ხორვატია კი 7:0 გაიქცა და ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.




| | მ/წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 5/0 | 380-334 | 10 |
| 2. რუსეთი | 3/2 | 338-338 | 8 |
| 3. საბერძნეთი | 3/2 | 380-337 | 8 |
| 4. ხორვატია | 2/3 | 357-364 | 7 |
| 5. მაკედონია | 1/4 | 337-396 | 6 |
| 6. გერმანია | 1/4 | 360-383 | 6 |

ევრობასკეტი 2010

# ლიტვა მწვრთნელს შეიცვლის

ესპანეთის ნაკრებთან ნაგების შემდეგ ლიტვის ნაკრებმა ევრობასკეტის მეოთხედფინალში გასვლისა და მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი დაკარგა. ბალტიისპირელთა დამრიგებელმა **რამუნას ბუტაუტასმა** განაცხადა, რომ სერბეთთან დღევანდელი მატჩის შემდეგ დატოვებს მთავარი მწვრთნელის პოსტს.

*„ეს ტურნირი დიდი იმედგაცრუება იყო. ვერ ავხსნი იმას, რატომ გამოვედით ასე ცუდად. ჩვენი მთავარი ნაკლი კარგი გამთამაშებლის დეფიციტია. იმედი მაქვს, ევროპის 2011 წლის ჩემპიონატისთვის, რომელიც ლიტვაში გაიმართება, უფრო ძლიერი შემადგენლობის შეკრებას შევძლებთ"*, - ამბობს ბუტაუტასი.

გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე წლევანდელი ევრობასკეტის ექვსი საუკეთესო ნაკრები გაემგზავრება და მათ ტურნირის ორგანიზატორი თურქეთი დაემატება. ლიტველები იმის იმედად რჩებიან, რომ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია ლიტვისთვის ოთხიდან ერთ-ერთ უაილდ-ქარდს გაიმეტებს.

მძლეოსნობა

# მორბენალი მის იტალიაზე

როგორც წესი, სილამაზის კონკურსებზე ფოტომოდელები ან მსახიობები მონაწილეობენ. გამონაკლისი არც იტალია გახლავთ, მაგრამ წელს აპენინელ ლამაზმანებში ერთი სპორტსმენიც გამოერია.

2009 წელს „მის იტალიას" ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდა 17 წლის მძლეოსანი **სარა გალიმბერტი**. ამ გოგონას იტალიის მასშტაბით უკვე 15 ტურნირი აქვს მოგებული და ქვეყნის ეროვნულ გუნდშიც მიიღო მიწვევა. სარა 800 და 1500 მეტრზე სირბილში სპეციალიზდება. ამჯერად კი სულ სხვა ამპლუაში მოსინჯა ძალები. გალიმბერტი „მის ლომბარდია" გახდა და ამ სტატუსით გავიდა „მის იტალიას" კონკურსზე.

*„სპორტს არასოდეს მივატოვებ*, - მოჰყავს გოგონას სიტყვები Mediaset-ს. - *„მის იტალიაც" რომ გავხდე, მაინც სარბენ ბილიკს მივანიჭებ უპირატესობას, რადგან მძლეოსნობა მთელი ჩემი ცხოვრებაა. კონკურსის ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპის დროს გოგონების სახეზე ისეთივე დაძაბულობა დავინახე, როგორიც ტურნირების დროს არის ხოლმე. მაგრამ კონკურენციას შევეჩვიე და ვიცი, როგორ დავძლიო ეს სირთულე"*.

„მის იტალია" გუშინ გამოვლინდა. გალიმბერტი საუკეთესო რვა გოგონას შორის გავიდა, მაგრამ უფრო შორს ვეღარ წაიწია. 2009 წლის „მის იტალია" გახდა **მარია პერუზი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი. ვუელტა

**XV ეტაპი**

**ხაენი-კორდობა. 168 კმ**

1. **ლარს ბოომი** (ჰოლ, Rabobank) - 4.12,56; 2. **დავიდ გერერო** (ესპ, Xacobeo Galicia) - +1,35; 3. **დომინიკ რელსი** (გერ, Milram) - +1,448 4. **ლეონარდო დუკე** (კოლ, Cofidis) - +2,04; 5. **მაქსიმ იგლინსკი** (ყაზ, Astana) - იგივე დრო... 22. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +25,01... 24. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 28. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - იგივე დრო... 31. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლ, Rabobank) - იგივე დრო... 38. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო...

**XV ეტაპი**

**კორდობა-პუერტოლანო. 170 კმ**

1. **ანდრე გრაიპელი** (გერ, Columbia-High Road) - 4.50,448 2. **ვილიამ ბონე** (საფ, BBox) - იგივე დრო; 3. **დანიელე ბენატი** (იტა, Liquigas) - - იგივე დრო; 4. **გერალდ ჩოლეკი** (გერ, Milram) - - იგივე დრო; 5. **ხოსე ჰაჩეკო** (ესპ, Contentpolis-Ampo) - - იგივე დრო; 6. **ლეონარდო დუკე** (კოლ, Cofidis) - იგივე დრო... 22. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - იგივე დრო... 31. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 34. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო... 38. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლ, Rabobank) - იგივე დრო; 39. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - 69.59,34; 2. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლ, Rabobank) - +0,31; 3. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +1,10; 4. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +1,28; 5. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - +1,51; 6. **ეზეკიელ მოსკერა** (ესპ, Xacobeo Galicia) - +1,54...

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| დინამო (დრ)-შალკე | 1:2 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ქოვენთრი-შეფილდი | 3:2 |
| დერბი-ბარნსლი | 2:3 |
| იფსვიჩი-ნოტინგემი | 1:1 |
| ლესტერი-პიტერბრო | 1:1 |
| პლიმუტი-უოტფორდი | 0:1 |
| სკანთორფი-პრესტონი | 3:1 |
| უენსდი-მიდლსბრო | 1:3 |
| სუონსი-ბრისტოლი | 0:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-დონკასტერი | 3:1 |
| ქუინზ პარკი-კრ. პალასი | გადაიდო |
| **კონფერენსი** | |
| ჩესტერი-გეიტშიდი | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| რეჯინა-ვიჩენცა | 0:2 |
| სასუოლო-ტრიესტინა | 2:1 |
| პადოვა-პიაჩენცა | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ვერდერი A-ოფენბახი | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| ჰართსი-კილმარნოკი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-ჰიონეფოსი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| იორგრიტე-ჰალმსტადი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვასბი-იონჩოპინგი | 0:0 |
| ატვიდაბერგი-ასირისკა | 1:0 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ბრეი-ლონგფორდი | 2:1 |
| სლიგო-ბოჰემიანსი | 2:1 |
| სტ. პატსი-უოტერფორდი | 0:2 |
| შემროკი-სპორტინგი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| **ისლანდია** | |
| ფრამი-ფიოლნირი | 3:1 |
| **ესტონეთი** | |
| ფლორა-ლევადია | 1:3 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| გლენავონი-გლენტორანი | 2:2 |
| ინსტიტუტი-კრუზეიდერსი | 1:0 |
| ლინფილდი-დუნგანონი | 1:0 |
| ლისბურნი-ბალიმენა | 0:2 |
| ნიური-კოლრეინი | 2:1 |
| პორტდაუნი-კლიფტონვილი | 2:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევრობასკეტი 2009** | |
| რუსეთი-მაკედონია | 71:69 |
| საფრანგეთი-საბერძნეთი | 71:69 |
| გერმანია-ხორვატია | 68:70 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ცსკა | 2:3 |
| სიბირი-ვიტიაზი | 4:4 |
| ავტომობილისტი-სკა | 1:4 |
| მეტალურგი (მ)-ატლანტი | 2:0 |
| ტრაქტორი-სევერსტალი | 6:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ნიტრა | 1:4 |
| ზვოლენი-სლოვაკეთი (U20) | 5:4 |
| მარტინი-ბისტრიცა | 4:4 |
| პოპრადი-სლოვანი | 3:2 |
| სკალიცა-ნოვა ვესი | 6:4 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 5:3 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-კალპა | 2:2 |
| ჰიფკ-სეიპა | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ბრნო | 4:0 |
| ლიტვინოვი-ულინი | 1:2 |
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| კარლოვი ვარი-ბოლესლავი | 3:4 |
| სლავია-სპარტა | 4:2 |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 1:3 |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 4:3 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი პიოტა-კლოტენი | 1:2 |
| ბერნი-ჟენევა | 3:5 |
| დავოსი-ლუგანო | 3:1 |
| ლანგნაუ-ბილი | 4:4 |
| ფრიბურგი-ცუგი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **WTA. გუანგჯოუ** | |
| პერი-ვორლე | 6:1, 6:4 |
| ჩანი-იოჰანსონი | 6:1, 6:1 |
| სევასტოვა-ლუ | 6:4, 6:2 |
| ბრიანტი-ფერგიუსონი | 7:6, 6:4 |
| მედინა გარიგესი-დატე | 6:1, 4:6, 6:4 |
| პენგი-ჰეინესი | 6:2, 7:5 |
| სრებოტნიკი-სავჩუკი | 6:3, 5:7, 2:6 |
| შიპერსი-პარა სანტონხა | 7:6, 5:7, 6:3 |
| ჟი-ჰსიე | 3:6, 5:7 |
| **WTA. კვებეკი** | |
| გორჯესი-არვიდსონი | 6:3, 7:5 |
| კინგი-ტატიშვილი | 7:5, 6:2 |
| პერი-ოსტერლო | 1:6, 6:3, 2:6 |
| საფაროვა-დუბუა | 6:1, 6:3 |
| კულიკოვა-კრავერო | 6:4, 6:2 |
| ელ თაბახი-ბრემონი | 0:6, 0:6 |
| მატეკი-ლეპჩენკო | 6:4, 7:5 |

TV პროგრამა

**16 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**I არხი**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
01:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური.

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ინტერი-ბარსელონა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ატლეტიკო-აპოელ.
08:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბეშიქთაში-მანჩესტერ იუნ.
14:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ჩელსი-პორტუ.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მარსელი-მილანი.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ვოლფსბურგი-ცსკა.
21:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. შტუტგარტი-რეინჯერსი.
02:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დინამო-რუბინი.
04:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. სტანდარდი-არსენალი.

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

06:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მაკაბი-ბაიერნი.
10:40 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
13:10 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-მაკედონია. პოლონეთი.
14:45 ჰოკეი. კჰლ-ის ლიგა. მიმოხილვა.
15:00 სპორტული დღე.
15:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ციურიხი-რეალი.
17:40 ახალი ამბები.
18:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. იუვენტუსი-ბორდო.
20:10 ახალი ამბები.
20:20 ჰოკეი. კჰლ. დინამო (რ)-ბარისი (LIVE).
22:20 სპორტული საღამო.
22:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-სლოვენია. პოლონეთი (LIVE).
00:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ოლიმპიაკოსი-ალკმაარი.
02:50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. დღის მიმოხილვა.
03:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ლიონი-ფიორენტინა.
05:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ინტერი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
10:45 ტრიატლონი. მონაკო.
11:15 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი. ესპანეთი.
12:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კანბერა. ავსტრალია.
13:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. გუნდური. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.
14:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი. ესპანეთი.
15:00 სნუკერი. შანხაი მასტერსი. ფინალი. ჩინეთი.
17:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი. ესპანეთი.
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:55 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
20:45 მულტისპორტი.
20:55 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. ბრიტანეთი.
22:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:30 გოლფი. PGA-ის ტური.
23:30 გოლფი. ევროპის ტური.
00:00 გოლფ-კლუბი.
00:05 აფროსნობა. Medcup. პორტიმაუ. პორტუგალია.
00:35 აფროსნობა. რეგატა Rolex Fastnet.
01:05 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:15 მულტისპორტი.
01:30 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. გუნდური. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.

ფორმულა 1

# ფლავიო ბრიატორეს ალენ პროსტი შეცვლის?



ფრანგული პრესა წერს, რომ **ფლავიო ბრიატორეს**, შესაძლოა, ფორმულა 1-ის გუნდ „რენოს“ ხელმძღვანელის პოსტი დაატოვებინონ. როგორც ირკვევა, ფრანგული ავტოკონცერნის ხელმძღვანელობა ძალიან უკმაყოფილოა იტალიელის პოზიციით, რომელიც მან „პიკეს საქმის“ განხილვისას დაიკავა.

საქმე ეხება ბრიატორეს იმ განცხადებას, რომელიც გუშინ გაგაცანით. „რენოს“ შეფმა აღიარა, რომ **ნელსონ პიკე-უფროსის** დავალებით, **ნელსინიო პიკეს** 50 წლის მამაკაცი ჩამოაშორა. ამ სიტყვებით ბრიატორე პირდაპირ მიანიშნებდა თავისი გუნდის ყოფილი პილოტის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ. „რენოს“ ხელმძღვანელთა აზრით, ასეთ სკანდალურ სიტუაციაშიც კი დაუშვებელი იყო პილოტის პირადი ცხოვრების შესახებ განცხადებების გაკეთება.

ჟურნალისტები წერენ, რომ „რენოს“ საჯინიბოს ხელმძღვანელობა უკვე შესთავაზეს ლეგენდარულ **ალენ პროსტს**, რომელმაც ბრიატორე უნდა შეცვალოს.

# ლოტუსი დიდ ცირკში დაბრუნდა

## BMW-ზაუბერმა ახალი მფლობელი იპოვა და საგაისო ჩემპიონატში მე-14 გუნდი იქნება

ფორმულა 1-ის მე-13 გუნდი, რომელიც 2010 წლის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, Lotus F1 იქნება - ეს ახალი ამბავი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გუშინ გავრცელებულ პრესრელიზში წერია.

*„კანდიდატების ინტენსიური შერჩევისა და შესაბამისი შემოწმებების შემდეგ FIA-მ 2010 წლის ჩემპიონატისთვის მეცამეტე გუნდად Lotus F1 შეარჩია - წერია ოფიციალურ დოკუმენტში. - გარდა ამისა, ფედერაციამ დამაჯერებელი განაცხადი მიიღო „BMW-ზაუბერისგან“. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ BMW-მ დატოვა ფორმულა 1, ჯერჯერობით გაურკვეველია ამ გუნდის მომავალი მფლობელების საკითხი.*

*მიუხედავად ამისა, FIA-მ მოიწონა „BMW-ზაუბერის“ განაცხადი და მას მონაწილეთა შორის მე-14 ნომერი მიანიჭა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ 2010 წელს სასტარტო ბილიკზე ვაკანტური ადგილი გაჩნდა, მას სწორედ „BMW-ზაუბერი“ დაიკავებს.*

*ამასთან, FIA ვარაუდობს ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვის 14-მდე გაზრდას. ფედერაცია რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შესატანად კონსულტაციებს გამართავს, რათა 2010 წლის ჩემპიონატზე მანქანების რაოდენობა 28-მდე გაიზარდოს.*

*აქვე გთავაზობთ დეტალურ ინფორმაციას ახალი გუნდის („ლოტუსი“) შესახებ:*

*კომპანიის დასახელება: 1Malaysia F1 Team Sdn Bhd*

*გუნდის დასახელება: Lotus F1 Team*

*ქვეყანა: მალაიზია*

*გუნდის შეფი: ტონი ფერნანდესი*

*მალაიზიის მთავრობისა და ამ ქვეყნის ბიზნესმენთა კონსორციუმის თანამშრომლობის წყალობით 1Malaysia F1 Team ფორმულა 1-ში აბრუნებს „ლოტუსს“ - პირველად 1994 წლის შემდეგ. თავიდან გუნდის შტაბბინა კომპანია RTN-ის (ნორფოლკი, ბრიტანეთი) ტერიტორიაზე იქნება განთავსებული - ავტოქარხანა Lotus Cars-დან 10 მილის მოშორებით.*

*RTN - სრულად აღჭურვილი ბაზაა, რომელიც თავის დროზე ფორმულა 1-ში საკუთარი პროგრამის განსახორციელებლად „ტოიოტამ“ ააშენა, შემდეგ კი მას „ბენტლი“ იყენებდა ლე მანის პროგრამაში მონაწილეობისთვის. მოგვიანებით „ლოტუსის“ ტექნიკური ცენტრი მალაიზიის ავტოდრომ სეპანგთან ახლოს აშენდება.*

*გუნდის ხელმძღვანელი ტონი ფერნანდესი - მალაიზიური Tune Group-ის დამაარსებელი და ავიაკომპანია Air Asia-ს მფლობელია. საჯინიბოს ტექნიკურ დირექტორ **მაიკ გასკოინს** ფორმულა 1-ში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება გააჩნია. ადრე ის ასეთივე პოსტს იკავებდა „ფორს ინდიაში“, „ტოიოტაში“, „რენოსა“ და „ჯორდანში“.*

*გუნდი ძრავებს კომპანია Cosworth-ისგან მიიღებს - შესაბამის კონტრაქტს ხელი უკვე მოეწერა. აგრეთვე ტექნიკური პარტნიორები იქნებიან ფირმები - Xtrac და FondTech“.*

### BMW-ზაუბერმა ინვესტორი იპოვა

FIA-ის პრესრელიზში საინტერესო მომენტი ის არის, რომ „BMW-ზაუბერს“ გაისად მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლის შანსი მიეცა. გუშინ გერმანულმა კონცერნმა ფედერაციის განცხადების პარალელურად გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ კომპანია Qadbak Investments მზად არის ფორმულა 1-ის გუნდის შესაძენად.

*„გუნდმა საიმედო ინვესტორი იპოვა, რომელიც ჰინვილშია განთავსებული. Qadbak-ის ინტერესებს შვეიცარიელი ლიონელ ფიშერი წარმოადგენს. BMW წარმატებას უსურვებს Qadbak-სა და გუნდ „ზაუბერს“ 2010 წლის ჩემპიონატში“*, - წერია გერმანული კომპანიის განცხადებაში.

ახალი მფლობელის პოვნის შემდეგ მიუნხენში ეჭვი არ ეპარებათ, რომ ბავარიული კონცერნის ყოფილი საქარხნო გუნდი მომავალ წლის პირველ რბოლაში სასტარტო ბილიკზე დადგება.

*„ჩვენ სიხარულით ვადასტურებთ: ფედერაციამ ცალსახად მიანიშნა იმის შესახებ, რომ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ 2010 წლის ჩემპიონატში, - წერს BMW. - გუნდი ვარაუდობს, რომ გაისად პირველივე რბოლაში გამოვა სტარტზე“.*

# კანადის გრან-პრი იქნება

კანადის გრან-პრის ორგანიზატორებმა დაადასტურეს, რომ მიღწეულია შეთანხმება ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან და 2010 წელს მონრეალი მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპს უმასპინძლებს.

*„მთელი ამ დროის განმავლობაში დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდით უთანხმოების დაძლევას, რომელიც კანადის გრან-პრის ჩატარებასთან დაკავშირებით შეიქმნა. ეს რბოლა მნიშვნელოვანია არა მარტო ფორმულა 1-ისთვის, არამედ გუნდებისთვის, ავტომწარმოებლებისთვისა და სპონსორებისთვის. კანადელი გულშემატკივრები - ამ სპორტის ნამდვილი მოყვარულები არიან. ისინი აფასებენ ფორმულა 1-ს“*, - ამბობს კანადის გრან-პრის ორგანიზატორი კომპანიის მმართველი **ნორმან ლეგო**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**






არ გამოგრჩეთ სექტემბრის ნომერი!

